ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№ 073 (12752) 30 მარტი ორშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ?



დავით ცაგაძე
ლარნაკა-თბილისი » 2



ეროვნული ბიბლიოთეკა

## გედევანიშვილი მსოფლიოზე მეათეა

» 11



ოთარ გაბელია

## ლომაიას არ უნდა ეჩქარა

» 4

თენგიზ სულაქველიძე

## ნაკრები ქართველს უნდა ჩავაბაროთ

» 3



## ცნობა ქართული ფეხბურთის გარდაცვალების შესახებ... დადასტურებულია!

გია ტუხაშვილი » 3

## ბორჩალოზე არ დავდივართ

არ დაგავიწყდეთ დელიკატურობა. გემოვნება ხომ მაინც შეგვრჩა?!

დავით თავართქილაძე » 4

პე ეს პე
ჩემი ოჯახის აფთიაქია




საქართველო-ჩერნოგორია. 1 აპრილი

# კუპერის ახალი ოთხეული

საქართველოს ნაკრები კვიპროსიდან გუშინ გამთენიისას ჩამოფრინდა. **ჰექტორ კუპერმა** ფეხბურთელები ცოტა ხნით დაასვენა და საღამოს 10 საათზე კვლავ ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" უხმო. ლარნაკას მატჩში მიღებული გაფრთხილებების გამო, ჩერნოგორიასთან საპირველაპრილო დაპირისპირებაში **ზურაბ ხიზანიშვილი, გიორგი შაშიაშვილი** და **უჩა ლობჯანიძე** ვერ ითამაშებენ. დისკვალიფიცირებული ტრიოს ნაცვლად კუპერმა გუნდს 4 ფეხბურთელი დაამატა, აქედან 3 - ახალგაზრდული ნაკრებიდან: **ამირან სანაია** (მცველი, „ლე მანი", საფრანგეთი), **ირაკლი კლიმიაშვილი** (ნახევარმცველი, „ვიტ ჯორჯია"), **ბუბა დაუშვილი** (ნახევარმცველი, „ზესტაფონი"). მეოთხე ფეხბურთელი კი ცხინვალის „სპარტაკის" მცველი **დავით გიგაურია**. საქართველოს ეროვნული ნაკრები ჩერნოგორიასთან მატჩისთვის მზადებას დღეიდან შეუდგება.

**დავით ცაგაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

# რატომ?

## კუპერი ცვლილებებს დაგვპირდა

28.03. ლარნაკა. ა. პაპადოპულოსი
1 150 მაყურებელი

**კვიპროსი-საქართველო 2:1**

1:0 კონსტანტინუ (33), 2:0 კრისტოფი (56), 2:1 კობიაშვილი (71-პენ)

კვიპროსი: გეორგალიდი - კრისტუ, გარპოძისი, ხარალამბუსი (90. იასუმი), მიხაილი - ელია, საციასი (82. ავრაამი), ალექსანდრუ, კრისტოფი - ალონეფტისი (69. პანაგი), კონსტანტინუ.

*სათადარიგოები: ავგუსტი, პავლუ, მარანგოსი, ოკარიდესი.*

საქართველო: ლომაია - ლობჟანიძე, ხიზანიშვილი, ა. კვახაძე, შაშიაშვილი - ოდიკაძე, რაზმაძე, კობიაშვილი, ბ. გოცირიძე, იაშვილი - მჭედლიძე (28. სირაძე).

*სათადარიგოები: მამალაძე, სალუქვაძე, კვირკველია, გ. კაშია, ხმალაძე, მერებაშვილი.*

გაფრთხილება: ლობჟანიძე (25), ბ. გოცირიძე (44), საციასი (57), ხარალამბუსი (63), იაშვილი (69), ხიზანიშვილი (73), შაშიაშვილი (76)

არბიტრი: ფრედ ფოტრე (საფრანგეთი)

საქართველოს ნაკრების წაგება, თუნდაც რიგითი ქართველი გულშემატკივრისთვის, ერთი ჩვეულებრივი, რიგითი გუნდის მარცხი არაა. ეროვნული ნაკრები, ქვეყნის ღირსება და პრესტიჟია. სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ წავაგეთ, კიდევ ერთხელ შეილახა ჩვენი ქვეყნისა და ამ ქვეყნის მთავარი გუნდის იმიჯი, კიდევ ერთხელ ატკინა გული ამ გუნდმა ქომაგს... ამ დროს, რბილად რომ ვთქვათ, გულშემატკივარი განწბილებული, გულჩამწვარია. სწორედ ამ მდგომარეობაში გახლავართ, ლარნაკას მატჩის ერთ-ერთი თვითმხილველი. ხშირად ხდება ხოლმე, როცა წაგებისას მიზეზებს ვეძებთ. ნაწილი ცდილობს, ობიექტური მიზეზი დაინახოს, ნაწილი კი მხოლოდ მიზეზს კი არა, უფრო მარცხის გამართლებას ეძებს. ამჯერად წაგებას არბიტრს, ატალახებულ, წყლით გაჟღენთილ მოედანს, დროის ფაქტორს, ადაპტაციას... და სხვა ფაქტორებს ნამდვილად ვერ დავაბრალებთ. ამ წაგების ერთადერთი მიზეზი ჩვენი გუნდის უსუსური თამაშია. რა თქმა უნდა, ჯოხის მხოლოდ ფეხბურთელებზე გადატეხვა უსამართლობა იქნება. მოგებაც და წაგებაც მწვრთნელებისა და ფეხბურთელების დამსახურებაა და ამჯერადაც, ლარნაკას მარცხში ორივე მხარეს თავისი წვლილი მიუძღვის.

მატჩი პირდაპირი ტრანსლაციით ნახეთ და სათამაშო პერიპეტიების განხილვით თავს აღარ შეგაწყენთ. უბრალოდ, ვეცდებით იქაური ატმოსფერო და განცდები გადმოგცეთ. რამდენიმე წყაროს მონაცემით მატჩს 1 150 მაყურებელი დაესწრო. ამათ შორის კი, 200-300 ქართველი იყო. როგორც იქ მოთამაშე ჩვენებურებმა - **კობა წიტაიშვილმა** და **ლევან ქებაძემ** მითხრეს, კვიპროსში სანაკრებოზე გაცილებით პოპულარულია საკლუბო ფეხბურთი. ამით აიხსნება სწორედ მაყურებელთა სიმწირე, თუმცა მარტო ეს არ ყოფილა მიზეზი - კვიპროსის ნაკრების მეტოქე საქართველოს ნაკრები იყო...

რაც შეეხება წაგების მიზეზებს. ხშირად გვესმის ფეხბურთელებისგან და ჩვენი ფეხბურთის სხვა მესვეურთაგან - **ექტორ კუპერი** მონდომებულია, მუშაობს, უილბლობა გვჭირს, ცოტაც დაველოდოთ და შედეგიც იქნება, ნავსი გატყდეს და მერე ნახე წარმატებებიო და მსგავსი. თუმცა ისიც აშკარად ჩანს და ვიცით, რომ კუპერი ჯიუტად არ ეძახის ნაკრებში მთელ რიგ ფეხბურთელებს. თუნდაც ცქიტიშვილი და ასათიანი ავიღოთ. **კახა კალაძის** არყოფნაში, **მალხაზ ასათიანი** ჩვენს დაცვას, დიდს თუ არა მცირე საიმედობას მაინც შემატებდა. ყენიას არყოფნაში კი **ლევან ცქიტიშვილი** ცენტრში ბურთს დაიჭერდა. დავით მუჯირიც არანაკლებ წაგვადგებოდა. დაშავებული **ლევან მჭედლიძის** ნაცვლად კუპერმა **დავით სირაძე** შეუშვა მოედანზე. სირაძე ცდილობდა თამაში გაემწვავებინა, მაგრამ მეორე ტაიმში შემტევი პოტენციალის გაძლიერების აუცილებლობა გამოჩნდა და კარგი იქნებოდა, კუპერის სიაში ჩეხეთში მოასპარეზე **დიმიტრი ტატანაშვილი** ყოფილიყო. იქნებ, ჯობდა, „სამშაბათობის" გარდა, ეს ფორვარდი თუნდაც რუმინეთთან ამხანაგურ მატჩში გამოეცადა არგენტინელ მწვრთნელს... **რატომ?**



თუმცა ყველაფრს კუპერს ნუ დავაბრალებთ, სანაკრებო დონეზე ფეხბურთელების პასებში ამდენი წუნი უბრალოდ არ შეიძლება. ჩვენი გუნდის თამაში ყველა რგოლში, რბილად რომ ვთქვათ, ძალზედ ცუდი იყო. ასე უილაჯოდ თამაში, მით უმეტეს კვიპროსთან, თუნდაც სტუმრად, დაუშვებელია. შეტევებს სიმწვავე, ორგანიზებულობა აშკარად აკლდა. დამაგვირგვინებელ ფაზაში ჩვენი ფეხბურთელები კარში დარტყმის ნაცვლად, შეტევას ჩაწოდებით აგრძელებდნენ და... კიდევ რომელი ერთი წუნი დავასახელოთ. ყველაფერი გენიალური მარტივია, სწორედ თამაშიც მარტივად, ჭკუით, გააზრებულად თამაშს ნიშნავს და არა „ახალი ველოსიპედის" გამოგონებას. ჩვენს ბიჭებს გაცილებით მეტი შეუძლიათ და იმიტომაა საკრიტიკო და გულდასაწყვეტი. მათგან ბევრად უკეთესი თამაში გვინახავს, ისეთ ნაკრებებთან, როგორიც ირლანდია, ბულგარეთი, იტალიაა. ასე რომ, მოთამაშეების ბრალიც საკმაოა. **რატომ?**

როცა გუნდში დიდია წუნი, სუსტი თამაში აშკარაა, მწვრთნელი შეცვლას მიმართავს. ჩვენი ეროვნულის თავკაცმა კი სამიდან მხოლოდ ერთი ცვლილება გააკეთა, ისიც იძულებითი, რადგან მჭედლიძემ თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო... **რატომ?**

კრიტიკისას არაერთხელ ვახსენე ტერმინი „რბილად რომ ვთქვათ"-თქო. **რატომ?** იმიტომ, რომ 2-3 დღეში ჩერნოგორიასთან მატჩია და არ მინდა ვინმემ ისე ჩამითვალოს ბიჭებს ამ მატჩის წინ გაკრიტიკება კი არა, გამხნევება სჭირდებათ, რათა ცოტა გამოცოცხლდნენ იქნებ მორიგი მატჩი მაინც... (მოგებას ვილა ჩივის) არ წავაგოთო. თუმცა ჩვენი კრიტიკა სწორედ ამ გამოფხიზლებას, გამოცოცხლებას ისახავს მიზნად და იქნებ, წამლადაც შეერგოს გუნდს.

- ეეეჰ, ისევ წავაგეთ. ამისთვის ჩამოვედით პაფოსიდან? ლამის 3 საათი ტაქსით ვიმგზავრეთ, გვინდოდა შინ გახარებული დავბრუნებულიყავით და ისევ გაგვაწბილა ჩვენმა ნაკრებმა...

- ეჰ, კუპერმაც ვერ გვიშველა. კვიპროსმა მოგვიგო და კუნძულელებმა ჩაგვძირეს...

- როგორ ჩაგვძირეს, - მეგობრის გადაკრულად ნათქვამი ვერ გაიგო თანამოსაუბრემ...

- ცხრილში უკვე ფსკერზე ვართ ბოლო ადგილზე... ახლა ჩერნოგორია დაგვანგრევს თბილისში და 7 თამაშიდან ისევ 2 ქულა გვექნება...

- ეჰ, ჩვენი საშველი არაა. კუპერი კი არა, ათი კაპელო და ლიპი რომ დაუნიშნო ჩვენს ნაკრებს, არაფერი გამოვა. „ფორმულა 1-ის" ყველაზე მაგარი პილოტი მიხაელ შუმახერი რომ დასვა „ზაპოროჟეცზე", რა „მერსედესს" და „ბე ემ ვეს" ვერა, მაგრამ თუნდაც „ვოლგას" გაასწრებ? კადრი არაა, ძმაო, ფეხბურთელები არ გვყავს. ჩივაძის ნაკრების დროს მთავრობიდან ფეხბურთში ამდენი ფული რომ წასულიყო, ჯგუფიდან ნამდვილად გავიდოდით. მაშინ ფეხბურთელები გვყავდა, ტოპ კლასის 8-10 მაინც იყო, ახლა ვინ გყავს 2-3, თუნდაც 4 იყოს. ნაკრების თამაში არაა მათგან მინიმუმ 1-2 ტრავმის გამო რომ არ გვაკლდეს და რა ამიტომ არ გვაქვს შედეგი...

- აბა, აღარ ყოფილა ჩვენი საშველი და ეგაა...

- საშველი ყოველთვისაა, სწორად უნდა იმოქმედო. ნაკრებს ქართველი მწვრთნელი დავუნიშნოთ, უცხოელი მწვრთნელისთვის მისაცემი ფულით კი მოედნები, ბაზები ალვადგინოთ და ავაშენოთ, ბავშვთა ფეხბურთს, მწვრთნელთა განათლებას კი მივხედოთ... გავა 5-10, თუნდაც 15 წელი და შედეგი გვექნება. ქართველები იმდენად ამაყები ვართ, რომ კვიპროსმაც გაგვისწრო ფეხბურთში და მაინც არ გვინდა ამისი დაჯერება... ბოლოს და ბოლოს, რომელიმე წაგებამ ხომ უნდა ჩაგვახედოს სარკეში, წინა წაგებებისას ეს არ მოხდა და იქნებ ახლა მოხდეს...

ეს იმ ქართველი გულშემატკივრების საუბრებია, რომლებიც გულჩამწვარი ტოვებდნენ „ანტონის პაპადოპულოსს". ერთმა მათგანმა რომ გაიგო თბილისიდან ჩასული ჟურნალისტი ვიყავი და თანაც „ლელოდან", მითხრა - „ლელოს" ინტერნეტში ხშირად ვკითხულობ. დაწერეთ, ძმაო, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ათ წელზე მეტია ეროვნულ ნაკრებს ვგულშემატკივრობ, თითო ოროლა გამონათებაა, ამდენ წაგებას ვერ გადაფარავს. ნაკრების ყველა ახალი მწვრთნელი თვეების განმავლობაში გაიძახის ახალ გუნდს ვაშენებო, ათ წელში სულ ცოტა ათი ცათამბჯენი აშენდებოდა და რით ველარ აშენდა და ჩამოყალიბდა ჩვენი ნაკრები ძლიერ თუ არა საშუალო დონის გუნდად მაინც. ჩივაძის გადადგომა ნაკრებიდან ჟურნალისტებმა და გულშემატკივრებმა იმიტომ მოვითხოვეთ, ინგლისთან რატომ წააგეო, ახლა კვიპროსმა მოგვიგო... სადამდე დავეცით? კუპერის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაღალი დონის მწვრთნელია, მონდომებულია, მაგრამ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა ძნელადდასაჯერებელია, რომ მის კარიერას წაადგეს, არც ჩვენს ფეხბურთს წაადგება, იმიტომ, რომ ჯერ არ ვართ მზად ამ დონის მწვრთნელისთვის. სკოლის მოსწავლეს მასწავლებლად უნივერსიტეტის პროფესორი რომ დაუნიშნო და მოსთხოვო ერთ-ორ წელში უმაღლესში ჩააბაროსო, გამოვა რამე? ჯერ ის მოსწავლე უნდა გაიზარდოს, IX, X, XI კლასამდე, სკოლა დაამთავროს და უმაღლესში მერე ჩააბაროს. ჩვენი ნაკრების ჯგუფიდან გასვლაც უმაღლესში ჩაბარებას ჰგავს. ასე რომ, ჯერ მასწავლებელი გვჭირდება, პროფესორი, მაღალი დონის უცხოელი მწვრთნელი მერე. „ეს მასწავლებელი კი ქართველებშიც არაერთია". თუ წინა ძველი თაობის მწვრთნელები, „კარუსელის დატრიალება არ გვინდა, მაშინ აგერაა ქეცბაია, არველაძე... ერთ-ერთი ავირჩიოთ...

ლარნაკას ქუჩებში თუ ქართულ საუბარს გაიგონებდით, ყველა თუ არა სრული უმრავლესობა კვიპროსთან მატჩს, განცდილ მარცხს, გამოსავლის გზის ძიებას ეხებოდა. ქომაგები ცვლილებას ელიან, ცვლილებების აუცილებლობაზე ისაუბრა ექტორ კუპერმა ლარნაკაში, მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე...

**- როგორია მატჩის თქვენეული შეფასება? რითი ახსნით წაგებას?**

- ორივე გუნდი ცდილობდა რაც შეიძლება ხშირად მიახლოებოდა მეტოქის საჯარიმო მოედანს. ჩემი აზრით, ამ ორიდან მეტოქის საჯარიმოს უფრო ხშირად საქართველოს ნაკრები უახლოვდებოდა. განსაკუთრებით პირველ ტაიმში. შესვენებამდე დასანანი გოლი გავუშვით ნახევარდაცვაში დაშვებული შეცდომის გამო. სწორედ ეს აღმოჩნდა პირველ ტაიმში მეტოქე გუნდებს შორის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი. მეორე ტაიმში საკმაოდ აქტიურად ვმოქმედებდით, ვცდილობდით, მატჩის გადარჩენას, მაგრამ უაზრო შეცდომის გამო გავუშვით მეორე გოლი. მიუხედავად ამისა, არ გავტყდით და ყველანაირად შევეცადეთ ანგარიშის გათანაბრებას, მაგრამ... ჩვენ ისევე ვიყავით ახლოს ანგარიშის გათანაბრებასთან, როგორც მესამე გოლის გაშვებასთან. შეიძლებოდა მატჩი 2:2 დამთავრებულიყო ან 3:1 წაგვეგო...

**- ალბათ დადგა დრო ცვლილებებს მივმართოთ. ზოგი ფეხბურთელი მწვრთნელის დავალებას ვერ ასრულებს და ჩერნოგორიასთან მატჩამდე რა ცვლილებას გეგმავთ?**

- გაფრთხილებების გამო ჩერნოგორიასთან ლობჟანიძე, ხიზანიშვილი და შაშიაშვილიც არ გვეყოლება. შესაბამისად 3-4 ფეხბურთელის დამატება აუცილებელია. ფეხბურთელების მხრიდან დავალების შეუსრულებლობას რაც შეეხება, უკვე ეჭვგარეშეა, რომ ჩერნოგორიასთან მატჩამდე გარკვეულ ცვლილებებს მივმართავთ, გადავხედავთ, გადავახალისებთ... ასე რომ, ცვლილებები იქნება, მაგრამ ამაზე ჯერ საფუძვლიანად არ მიფიქრია და ამას მოგვიანებით გეტყვით...

**დავით ცაბაძე**
ლარნაკა-თბილისი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 5 | 4 | 1 | 0 | 8-2 | 13 |
| 2. ირლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 6-3 | 11 |
| 3. ბულგარეთი | 4 | 0 | 4 | 0 | 3-3 | 4 |
| 4. კვიპროსი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 5. ჩერნოგორია | 4 | 0 | 2 | 2 | 3-6 | 2 |
| 6. საქართველო | 6 | 0 | 2 | 4 | 4-9 | 2 |

**მომდევნო ტური**

**1 აპრილი**

საქართველო-ჩერნოგორია
იტალია-ირლანდია
ბულგარეთი-კვიპროსი

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრები ნამატჩევს

# ცნობა ქართული ფეხბურთის გარდაცვალების შესახებ... დადასტურებულია!

### მიზანი: ბოლოსწინა ადგილი!

...მწვრთნელი ამბობს: კვიპროსზე მოსაგებად მივდივართო; ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი წევრი შედარებით ფრთხილობს და უკვე იქიდან, კვიპროსიდან გვამშვიდებს: არ წავაგებთ, მაგრამ ქართველი ქომაგისთვის, აბა, ეს საკმარისი როგორ იქნება და ამიტომაც მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთო. ჰო, რა სჯობია, როცა ნაკრების მწვრთნელი თუ ერთ-ერთი ლიდერი მატჩის წინ ასეთ ოპტიმისტურ განცხადებას აკეთებს. თუმცა, რატომ გვიკვირს? უკვე მერამდენე წელიწადია, მხოლოდ ამას ვისმენთ ნებისმიერი სანაკრებო შეხვედრის წინ. აი, მერე კი ტრადიციული და მიჩვეული თავის მართლებაც იწყება: ხან - არაობიექტური მსაჯობაო, ხან - სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე ფსიქოლოგიური წნეხიო, ხან - მოედნის საფარის ხარისხიო, ხან - რაო და ასე შემდეგ. ჩვენც, მართლაც ასე რომ მიგვაჩვიეს ქრონიკულ წაგებებს, სანაკრებო მატჩების მერე, ჭეშმარიტად ქართული ოპტიმიზმით ვიწყებდით „ფეხის აყოლას" და საჯაროდ ვამტკიცებდით: ნაკრებს მწვრთნელის ხელი დაეტყოო, წავაგეთ, მაგრამ ღირსეულად ვითამაშეთო, ერთ-ორ-სამ (!) ეპიზოდში თანამედროვე ფეხბურთის ელემენტები შევამჩნიეთო; ეგ კი არა, ბოლოს „დასკვნასაც" მოვაყოლებდით: სწორი გზით მივდივართ და მალე სასურველ შედეგსაც მივაღწევთო! და, რა არის ეს „სასურველი შედეგი"? ნამდვილად არ არის რთული კითხვა და თუ ვინმეს პასუხის მოფიქრება გაუჭირდება, არა უშავს, ჩვენვე დავეხმარებით: შესარჩევ ჯგუფში... ბოლოსწინა ადგილის დაკავება! აი, **კლაუს ტოპმიოლერის** დროს ფარერებს ხომ გავასწარით; ახლა, მართალია, ბოლოზე ჩამოვქვეითდით, მაგრამ დაკარგული ჯერ არაფერია და გვჯერა, რომ ექვსგუნდიან ჯგუფში სანუკვარ და საპატიო მეხუთე ადგილს დავიკავებთ! მოკლედ, **ექტორ რაულ კუპერს** დიდი გამოცდა ელოდება; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, წინამორბედის შედეგის გაუარესება არ ასცდება. ეს კი, უკაცრავად, სენიორ კუპერ, მაგრამ, მეტისმეტი იქნება; ჰოდა, აღარც თქვენი „სამშაბათობები" გაახსენდება ვინმეს და აღარც წინამორბედისგან მკვეთრად განსხვავებული თავმდაბლობა თუ საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე ბეჯითად სიარული.

### მწარე რეალობა

კვიპროსი-საქართველოს მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, ტელერეპორტაჟის წამყვანმა **დავით მინაშვილმა** ჩვეული გულახდილობით საჯაროდ რომ განაცხადა: უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს ნაკრების ბევრ ფეხბურთელს საშემსრულებლო ოსტატობა არ ჰყოფნისო. სამწუხაროდ, პატივცემულ კოლეგას ერთ რამეში ვერ დავეთანხმებით; უფრო ზუსტად, ბევრს კი არა, აბსოლუტურ უმრავლესობას არ ჰყოფნის საშემსრულებლო ოსტატობა! სასაცილოა, ალბათ, რომ ახლა იმაზე ვილაპარაკოთ, თუ რამდენ ეპიზოდში დაარღვიეს ჩვენმა ფეხბურთელებმა მატჩის მსვლელობის დროს სათამაშო დისციპლინა. ისიც აბსურდად გვეჩვენება, მწვრთნელი წამდაუწუმ რომ მოუწოდებდა ფეხბურთელებს ზონებს შორის მანძილი შეემცირებინათ თუ დაცვის ოთხეულს სიმწყობრე შეენარჩუნებინა. ანუ, ელემენტარულ საფეხბურთო ნიუანსებს... სანაკრებო დონეზე სადმე ასწავლიან? იქნებ ის აგვიხსნას ვინმემ, რომელი ქართველი მწვრთნელი ასწავლის საკუთარ კლუბში ფეხბურთელს პასების 90-95 პროცენტის... უკან გადაწოდებას? მერე, ეს რაღა უბედურება დაგვჩემდა, - ფლანგიდან შეტევა რომ უნდა წამოვიწყოთ, ამის ნაცვლად, ფეხბურთელი ბურთიანად ცენტრისკენ მოიწევს და მერე, გარე ტერფით რომ ცდილობს ბურთის პარტნიორისთვის გადაწოდებას; ამ დროს კი, პარტნიორი საპირისპირო ფრთაზეა და სანამ ბურთი იქამდე მიაღწევდა, უმარტივესი ტაქტიკური განლაგებით მოასპარეზე კვიპროსელებსაც არ გაუჭირდათ ამ „რთული" და „ბრძნული" კომბინაციის გაშიფვრა. ჰო, პასის ელემენტარული ჩაჭრა და არაფრისგან შეტევაც მივიღეთ. არაფრისგანო, იმიტომ ვამბობთ, რომ მასპინძლებს რაიმე გააზრებული თუ უჩვეულო არაფერი შემოუთავაზებიათ; ეგ არის ოღონდ, ორი მეტ-ნაკლებად მწვავე შეტევა განახორციელეს, ორივეჯერ ბავშვურად (სიტყვა „პოზიციურად" რომ ვახსენოთ, შესაძლოა, ზოგისთვის... გაუგებარიც დარჩეს) შეცდნენ ჩვენი მცველები, მეკარემაც ორივე ეპიზოდში ვერ გადაგვარჩინა (თუმცა, წაგების უმთავრესი მიზეზი, რა თქმა უნდა, არ იყო), დაზღვევაზეც ორივეჯერ ვერავინ ითამაშა და... ორი გოლიც გავუშვით! ჰო, საკადრო პრობლემები არ გვიხსენებია და უნდა ვაღიაროთ, რომ **კახა კალაძის** არყოფნა აუნაზღაურებელი დანაკლისი აღმოჩნდა. იმავეს ვიტყოდით **ზურაბ მენთეშაშვილსა** თუ **ლევან ყენიაზეც**; მაგრამ, მოდით, მეტოქის ბანაკშიც „შევიხედოთ" და ისიც ვთქვათ, რომ მასპინძლებს სამი საუკეთესო ფეხბურთელი (**ოკასი, მაკრიდესი, ა. კონსტანტინუ**) აკლდათ. ჯერ სადა ვართ, აგერ, ჩერნოგორიასთან მატჩისთვის უფრო მეტი დანაკლისი გვექნება (ტრავმირებულებს სამი დისკვალიფიცირებული მცველიც დაემატათ); არადა, ეს შეხვედრა ჩვენთვის გადამწყვეტი კი არა, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა - პირველ აპრილს ხომ, ფაქტობრივად, ჯგუფში მეხუთე ადგილის ბედი წყდება!..



### ანტიფეხბურთი ქართულად

...როცა საქმე შენი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს ეხება, მუდამ იმას ვცდილობთ, თითოეული სიტყვა თუ წინადადება მოზომილად გამოგვივიდეს; ჰო, ეს ხომ ჩვეულებრივი გუნდი არ არის და ამიტომაც, არანორმალური სიჯიუტით ველოდებით უკეთესი დროის დადგომას. წლები კი გადის, თუმცა საქმეც უარესობისკენ მიდის და ყველაზე საშინელი რამ შეგუების პროცესიც; აი, კონკრეტული მაგალითიც: ორი უაზროდ გაშვებული გოლის მერე ანგარიშში სხვაობა ხომ შევამცირეთ, მაინც არ გვჯეროდა, რომ კვიპროსიდან თუნდაც ერთ ქულას წამოვიღებდით. არადა, რამდენი წუთი იყო დარჩენილი? ალბათ, ოცამდე, მაგრამ იმ დროში ერთხელ **ლევან კობიაშვილმა** დაარტყა შორიდან, მეორედ ჩინებული პასით მარჯვენა ფლანგზე პარტნიორი მოძებნა (ვინც ყოვლად გაუგებარი გადაწყვეტილება მიიღო) და მესამე დასამახსოვრებელ-აღსანიშნი **ბექა გოცირიძის** აქტიურობა გახლდათ. სხვათა შორის, სწორედ კობიაშვილი და გოცირიძე იმსახურებდნენ ჩვენებიდან ყველაზე ნაკლებ კრიტიკას: ნაკრების კაპიტანს, ფაქტობრივად, წუნი არც ჰქონია ახლო თუ საშუალო მანძილზე გადაცემებში; ამასთან, საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში კობიაშვილი ერთადერთი ფეხბურთელი იყო, ვინც მუდამ „ერთი შეხებით თამაშს" ცდილობდა. დანარჩენი ყველა მისი პარტნიორი კი ბურთის მიღების მომენტში ზედმეტ მოძრაობასაც აკეთებდა და მერე, როგორც წესი, იმ ბურთს... უკან აბრუნებდა! ვერ გეტყვით, როდემდე უნდა გაგრძელდეს: ასე ხომ ეზოშიც აღარ თამაშობენ; აღარაფერს ვამბობთ ისეთ აუცილებელ კომპონენტზე, უბურთოდ თამაში რომ ჰქვია. სანამ მოედანზე იმყოფებოდა, **ლევან მჭედლიძე** უბურთოდ ბევრს გადაადგილდებოდა და ასეთი მანევრებით, ცოტა არ იყოს, აანერვიულა კიდეც მასპინძელთა დაცვა. სამწუხაროდ, იტალიური „პალერმოს" ქართველმა ტალანტმა უკვე მერამდენე ტრავმა მიიღო. მჭედლიძის მოედნიდან გასვლა და... უთავდამსხმელოდ დარჩენა ერთი იყო: აბა, რა უნდა მოგვეთხოვა ფეხბურთელისთვის, ამჟამად უგუნდოდ (!) რომ არის და კლუბში უკანასკნელი ოფიციალური შეხვედრა ხუთი თვის წინ რომ ჩაატარა?

...ექტორ რაულ კუპერს საკუთარი სამწვრთნელო კვალიფიკაცია არაერთხელ დაუმტკიცებია; თუმცა, უიღბლო კაცის იმიჯიც დაიმკვიდრა - ევროტურნირებზე ორ წაგებულ ფინალსა და იტალიაში ბოლო ტურში დაკარგულ „სკუდეტოს" ვგულისხმობთ. სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრების ქრონიკულ წარუმატებლობებს უიღბლობას ნამდვილად ვერ დავაბრალებთ. გავკადნიერდებით და სენიორ კუპერის ტაქტიკურ მონახაზთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციას დავაფიქსირებთ. ჰო, ყველამ ვიცით, რომ არგენტინელი სპეციალისტი ჯიუტად მისდევს ერთსა და იმავე განლაგებას (4-3-2-1), თანაც, ასევე ხშირ შემთხვევებში, სულაც არ აქცევს ყურადღებას, თუ რამდენად ეფექტიანი იქნება კონკრეტული ფეხბურთელისთვის ამპლუის შეცვლა. არადა, იმავე კვიპროსთან შეხვედრაში, როცა მატჩის დასრულებამდე 20 წუთი იყო დარჩენილი, კუპერს შეეძლო საკუთარი გუნდის ტაქტიკური განლაგება შეეცვალა და უფრო შეტევაზე ორიენტირებული გაეხადა. ხვდებით, ალბათ, რომ იმ მოულოდნელ ფაქტს ვგულისხმობთ, კუპერმა შეცვლებს რომ არ მიმართა. თადარიგში მყოფი ფეხბურთელებიდან, ალბათ, პირველ ყოვლისა, **გიორგი მერებაშვილის** გამოჩენას ველოდით.

„დინამოს" შემტევს ინდივიდუალურ ოსტატობასთან ერთად სხვადასხვა პოზიციაზე ერთნაირი წარმატებით ასპარეზობაც შეუძლია. ანუ, 4-4-2 ტაქტიკის პირობებში მეორე ფორვარდად გამოჩენილიყო; ან, დავუშვათ, ჩვენი ნაკრები 4-2-3-1-ზე „გადაწყობილიყო" და ამ შემთხვევაშიც, „საყრდენის" გარდა, ნახევარდაცვის ნებისმიერ ფლანგზე თუ გარემარბადაც შეეძლო საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცება. ცალკე საუბრის თემაა **დავით კვირკველია** - რუსული პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მარცხენაფლანგელი კუპერის ფორმაციის ნაკრებში ეპიზოდურად ჩნდება. შესაძლოა, ამა წლის 11 თებერვლის მატჩში (ირლანდიასთან) კვირკველიამ მთლად დამაჯერებელი შთაბეჭდილება ვერ დატოვა, მაგრამ როცა ანგარიშის შეცვლა არის საჭირო, როგორ უნდა თქვა უარი მკვეთრად გამოხატულ ფლანგის ფეხბურთელზე - სისწრაფისა თუ დრიბლინგის ხარჯზე სიტუაციის გამწვავება რომ შეუძლია. ისიც საინტერესოა, თუ რატომ არ მოეძებნა ადგილი 18-კაციან განაცხადში „ზესტაფონის" ცენტრფორვარდ **ნიკა გელაშვილს**, ვისაც, ალბათ ასევე შეეძლო ტაქტიკის შეცვლის შემთხვევაში გარკვეული დახმარების გაწევა. საერთოდაც, კვიპროსელებმა მეორე გოლი 57-ე წუთზე გაგვიტანეს და კუპერს არც ამის მერე უცდია შეცვლებით თუ გუნდის „გადაწყობით" საქართველოს ნაკრების თამაშში კორექტივების შეტანა. თუმცა, უკაცრავად და, რომელ თამაშზე ვლაპარაკობთ - იმას, რაც საქართველოს ნაკრებმა კვიპროსთან შეხვედრაში უჩვენა, ფეხბურთის გარდა, ყველაფერი უნდა დავარქვათ!..

**გია ტუხაშვილი**

სპეციალისტის აზრი

# თენგიზ სულაქველიძე: ნაკრები ქართველს უნდა ჩავაბაროთ!

## ამდენს ვხარჯავთ და შედეგი არ არისო...

**კვიპროს-საქართველოს მატჩზე და საერთოდ, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში შექმნილ ვითარებაზე აზრის გამოთქმა არაერთ სპეციალისტსა და წარსულში ცნობილ ფეხბურთელს ვთხოვეთ, მაგრამ ბევრმა კომენტარისგან თავი შეიკავა. თბილისის „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა თენგიზ სულაქველიძემ კი სათქმელი პირდაპირ, მიკიბვ-მოკიბვის გარეშე გვითხრა. ვფიქრობთ, ქართულ ფეხბურთში ღვაწლმოსილი ხალხი უფრო აქტიური უნდა იყოს, საზოგადოებრივი აზრის შექმნაში მათი პოზიცია ხომ ერთობ მნიშვნელოვანია...**

**- ბატონო თენგიზ, როგორ შეაფასებდით კვიპროს-საქართველოს შეხვედრას?**

- რაღა შეფასება უნდა, ხომ ყველამ ნახეთ თამაში?! კვიპროსს რომ ველარ მოუგებ, რაზეა ლაპარაკი?!

**- წარუმატებლობის მთავარ მიზეზად რა მიგაჩნიათ?**

- ჩემი აზრით, ყველაფერი მაინც კრიზისის ბრალია.

**- რას გულისხმობთ?**

- არ გვყავს ფეხბურთელების ისეთი პლეადა, 1964 და 1981 წლის ტრიუმფის დროს რომ გვყავდა. როცა იქნება, ალბათ გამოჩნდება ნიჭიერი თაობა, მანამდე კი... თუ მაღალი კლასის ფეხბურთელები არ მოგვეპოვება, ვერც ერთი მწვრთნელი მკვეთრად ვერ შეცვლის ვითარებას. როცა მაღალი კლასის მოთამაშეთა მხრივ კრიზისია და ასეთ დროს გუნდს კახა კალაძეც დააკლდება, ესეც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია.

**- კონცენტრაცია, სწორი თამაში, მობილიზება - ამის მიხედვით რა დაგანახვათ კვიპროს-საქართველოს შეხვედრამ?**

- ჩვენი ფეხბურთელები მონდომებულები იყვნენ, მაგრამ... კლასი თავისას შვება, ამის გარეშე ძალიან ძნელია წარმატების მიღწევა.

**- უკვე აქტუალური გახდა ნაკრებში მწვრთნელის შეცვლის საკითხი. როგორია თქვენი პოზიცია - კუპერი უნდა შეიცვალოს თუ მას კიდევ უნდა მიეცეს დრო?**

- ფაქტია, შედეგი არ არის. მე მაინც მგონია, რომ საქართველოს ნაკრებისთვის ქართველი მწვრთნელი უნდა გამოვნახოთ. უცხოელზე ამხელა თანხას რომ ვხარჯავთ, შედეგი არ უნდა გვქონდეს?!

**- გეგულებათ ისეთი ქართველი მწვრთნელი, ვინც წარმატებით გაუძღვებოდა ჩვენს ეროვნულ გუნდს?**

- მწვრთნელები როგორ არ გვყავს?! ალექსანდრე ჩივაძე, ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, კახა ცხადაძე... ვფიქრობ, ამ სპეციალისტებისგან ეროვნული ნაკრებისთვის კარგი სამწვრთნელო შტაბი ჩამოყალიბდებოდა.

**დავით თავართქილაძე**

ფიქრები ნამატჩევს



# ბორჩალოზე არ დავდივართ

ლარნაკაში ხალხი სტადიონზე არ მივიდა. ვერავის დავაჯერებთ, რომ კვიპროსზე ფეხბურთი არ უყვართ და საკუთარ ეროვნულ გუნდს სასხვათაშორისოდ ქომაგობენ. კვიპროსმა კარგად იცოდა, ვის ეთამაშებოდა მათი გუნდი - საქართველოს ნაკრებს, რომელსაც კაცი თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს. სწორედ უთავობით გვჭირს ბევრი რამ, დაწყებული უცხოელი მწვრთნელის მოწვევით და დამთავრებული - ეროვნული ჩემპიონატით. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ახლა უფრო მეტი შემოსავალი აქვს, ვიდრე მაშინ, როცა ამ ორგანიზაციას ნოდარ ახალკაციუფროსი თუ მერაბ ჟორდანია ხელმძღვანელობდნენ, საქართველოს ნაკრებებს ახლა გაცილებით უკეთესი პირობები აქვთ, ვიდრე დიდი ახალკაცისა თუ ჟორდანიას მმართველობისას ჰქონდათ, მაგრამ საქმე წინ ვერ მიდის. სამუშაოს შეფასების მთავარი კრიტერიუმი - ეროვნული ნაკრები შავ დღეშია.

საქართველოს ნაკრებს უკვე ისე აქვს გატეხილი სახელი, სტუმრად რომ თამაშობს, იქაური მაყურებელი სტადიონზე არ მიდის. კვიპროსი არ არის ბრიტანეთი, რომ რაგინდარა მეტოქის სტუმრობაზე ბევრი ხალხი წავიდეს სტადიონზე, რადგან მათი ეროვნული გუნდი თამაშობს. კვიპროსი სამხრეთული ქვეყანაა და იქ თავიანთი გაგება აქვთ - ბორჩალოს მაზრის გუნდებს სათვალავში არ აგდებენ. უკვე ყველამ იცის, რომ საქართველოს ნაკრებმა მოგება არ იცის და ასეთ თამაშზე წასვლით დიდად ვერ ისიამოვნებ...

## ვინ ამოჭრა საქართველოს ჰიმნი?

პირველმა არხმა კვიპროსი-საქართველოს პირდაპირი ტრანსლაცია მოაწყო და ყველას მისცა საშუალება, ეხილა ჩვენი ბედოვლათი ნაკრების თამაში. მატჩი კი მინდორზე გასვლით არ იწყება, წინ მთელი პერიპეტიები უძღვის. მწრთნელსაც რამდენიმე დღე მიჰყავს ფეხბურთელები თამაშამდე და ასეა გულშემატკივარიც, ისიც ემზადება სტადიონზე წასასვლელად თუ თამაშის ტელევიზორში საყურებლად.

ნაკრების თამაში კი მართლაც განსაკუთრებული მოვლენაა გულშემატკივრისთვის და ასეთი მატჩიც მსაჯის სასტვენით როდი იწყება. გუნდები მოედანზე რომ გადიან, ეროვნული ჰიმნები სრულდება. ასე იქნებოდა კვიპროსზეც, მაგრამ...

სარეკლამო ბლოკის შემდეგ ტრანსლაცია მასპინძელი ქვეყნის ეროვნული ჰიმნით დაიწყო... ეს არ იყო პირველი შემთხვევა და საინტერესოა, ვინ დაადგინა, რომ ეროვნული ნაკრების მატჩის პირდაპირი ტრანსლაციის დროს მხოლოდ მეტოქის ჰიმნი უნდა მოვისმინოთ, ჩვენს ჰიმნზე გამწკრივებული საქართველოს ნაკრები კი ვერ უნდა ვნახოთ. მარტივად რომ ვთქვათ, ნორმალურ ქვეყანაში ასეთი რამ არ ხდება, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ საქართველოში და ჩვენნაირ ქვეყნებში. და გგონიათ, რომ ამაზე ფიქრით და ამის გამოსასწორებლად ვინმე თავს შეიწუხებს?

## მშვიდობით, იარაღო!

რაც შეეხება უშუალოდ თამაშს, ტელევიზორიდან ყველაფერი ვერ გამოჩნდებოდა, მაგრამ ის კი კარგად ვნახეთ, რომ **ექტორ კუპერის** გუნდი ჩაფლავდა. თამაშის წინ კუპერი დაგვპირდა, საკვიპროსედ საიდუმლო იარაღი გვაქვსო, მაგრამ ან მოგვატყუა, ან იარაღის დამზადება არ სცოდნია.

ფეხბურთს ასე მხოლოდ საქართველოს ნაკრები თამაშობს. ვინ არ ჩაფლავებულა, ვის არ წაუგია, მაგრამ ჩვენს ეროვნულ გუნდს ჰყოფნის თვითმყოფადობა, ისე წააგოს და გააწბილოს გულშემატკივარი, რომ პერსპექტივაც არ დაანახოს.

საინტერესოა, რას გვეტყვის ის ხალხი, კუპერზე რომ გვეუბნებოდა - კარგად მუშაობს, დღეს თუ არ აქვს შედეგი, ხვალ ექნება, გუნდს ხელახლა ქმნის და უნდა ვადროვოთო. გამოჩნდა კვიპროსთან მატჩში ისეთი რამ, რასაც უნდა ჩავეჭიდოთ, როგორც იმედს?

სათამაშო დისციპლინა - არა; ინდივიდუალური თამაშით ფონს გასვლა - მხოლოდ მწირი ეპიზოდები; გუნდური სული - არა; მწვრთნელის გონივრული შეცვლები - არა; მაღალი კონცენტრაცია - არა და არა!

რაღა დარჩა? ფეხბურთელები, რომელთა ნაკრებში გამოძახება მართლა შეიძლება, მაგრამ კუპერი ჯიუტობს და უნდა დაგვიმტკიცოს, რომ მის რჩეულ ფეხბურთელებსაც შეუძლიათ თამაშის მოგება. ის ალბათ მოჩვენებებს ებრძვის. სხვა საქმეა, ჩვენ თუ გავისულელებთ ამით თავს...

## არ დაგავიწყდეთ დელიკატურობა...

რა პოზიციას დაიკავებს ფეხბურთის ფედერაცია? სულ მალე, 1 აპრილს, ჩვენს ნაკრებს ჩერნოგორიასთან ელის მატჩი. ვფიქრობთ, ფედერაციის გადაწყვეტილება არ იქნება დამოკიდებული ბალკანელებთან შეხვედრის შედეგზე. მაგრამ ისიც საკითხავია, ფედერაციას თუ შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს რაღაც გადაწყვეტილება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კუპერის ჯამაგირისთვის ფულს სახელმწიფო იხდის. არის ერთი ვარიანტი - ფედერაციამ როგორმე უნდა დაუმტკიცოს ხელისუფლებას, რომ კუპერი საქართველოს ნაკრებს არ გამოადგა. ეს ძალიან დელიკატური საკითხია და ფედერაციას რომც მოუნდეს არგენტინელის გაშვება, ვინძლო, სურვილი გულში ჩაიკლას. ფაქტია - ფედერაცია კიდევ ერთხელ აღმოჩნდა ძალზე უხერხულ სიტუაციაში...

ერთი რამ დავაზუსტოთ - რაც საქართველოს ნაკრებს სჭირს, ეს კუპერის ხელში არ დამართნია, მაგრამ რა შეიცვალა არგენტინელის მოსვლით? გუნდის ჩამოყალიბებას დრო უნდა, მაგრამ ეს არ უნდა გამოდგეს თავის გასამართლებელ არგუმენტად მწვრთნელისა და მისი დამნიშნავისთვის. ასე გრძელდება უსასრულოდ - საქართველოს ნაკრებში მოდის მწვრთნელი, არ აქვს კარგი შედეგი და მიდის ლაპარაკი იმაზე, რომ ამისთვის დრო არის საჭირო, მაგრამ მწვრთნელი მაინც იცვლება და მეორდება ერთი და იგივე. არავინ ზრუნავს იმაზე, რომ რაღაც შეიცვალოს სისტემურად... თუნდაც ის ვთქვათ, რომ საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებები ერთიან სისტემაში არ არიან მოქცეულნი. ქართულ ფეხბურთს კონცეპტუალურად სჭირდება მიდგომა, მაგრამ ამის გამკეთებელი არავინაა. ქართული ფეხბურთიც ჩაიკარგა - სადღა არიან მოდრიბლინგე, გონებაგახსნილი, ლამაზად მოთამაშე ქართველი ფეხბურთელები... ქართულმა ფეხბურთმა თავისი სახე დაკარგა.

## ...გემოვნება ხომ მაინც შეგვრჩა?!

რაც ალხანაა, ის ჩალხანაა. საქართველოს ნაკრებისა და საერთოდ, ქართული ფეხბურთის წარუმატებლობები, რა თქმა უნდა, შემთხვევითი ვერ იქნება. რაღაც კეთდება, რაღაც შენდება, მაგრამ ამ ყველაფერს რაღაც აკლდება, რაღაც გადაკეტილია - ასე ხდება ჩვენს ქვეყანაში.

ეს ძალიან სპეციფიკური ქვეყანაა. აქ ბევრი რამ ძალიან ადვილია და ძალიან ბევრიც - ძალზე ძნელი. ხელისუფლების სტილი ფეხბურთშიც იგრძნობა. ფული იხარჯება, მაგრამ საქმე არ გამოდის. არის ვიშვიში, ბრძოლა, დაპირისპირება და... არაფერი.

ფეხბურთი თუ არა, გემოვნება ხომ მაინც შეგვრჩა?!

დავით თავართქილაძე

---

*ოთარ გაბელია*

# ლომაიას არ უნდა ეჩქარა

**ყველაზე წარმატებული თბილისის „დინამოს“ გოლკიპერი ოთარ გაბელია წლების განმავლობაში იყო საქართველოს ეროვნული გუნდის მეკარეთა მწვრთნელი, ამ დროსთვის კი 21-წლამდელთა ნაკრებში მუშაობს მეკარეებთან. გაბელიას კვიპროს-საქართველოს მატჩში ჩვენი ნაკრების მეკარის თამაშზეც ვკითხეთ, საერთოდ ამ შეხვედრაზეც და ცხადია, კუპერზეც...**

- შედეგიდან გამომდინარე, კვიპროსთან საქართველოს ეროვნული ნაკრების თამაში უარყოფითად უნდა შეფასდეს. ჩვენს ფეხბურთელებს მეტი ფხა რომ გამოეჩინათ... კვიპროსის ნაკრებმა ვერ ითამაშა ისე კარგად, როგორც ამ შესარჩევში იტალიასთან და მერე ჩვენთან, თბილისში. მე პირადად, მეტოქისგან მეტს ველოდი, მეგონა, მათთან თამაში ძალიან ძნელი იქნებოდა, თუმცა ასე არ მოხდა, რაც წარმატების მეტს შანსს გვიტოვებდა, მაგრამ...

**- როგორ ფიქრობთ, გიორგი ლომაიას არ შეეძლო, ეხსნა გუნდი?**

- ვფიქრობ, პირველი გოლის დროს ლომაია უცბად კი არა, ნელ-ნელა უნდა გამოსულიყო კარიდან, კუთხე დაეპატარავებინა თავდამსხმელისთვის... ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ ხიზანიშვილი ახლოს იყო მეტოქესთან. მეორე გოლის დროს კი რეაქციის გაკეთება ძალიან რთული იყო. საერთო ჯამში, ისეთი გოლები გავუშვით, ნაგებას მეკარეს რომ ვერ დააბრალებ.

**- ექტორ კუპერი უნდა დარჩეს საქართველოს ნაკრების მწვრთნელად?**

- ამ კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავს შევიკავებ. საქართველოს ნაკრებში მაღალი კლასის ფეხბურთელების ნაკლებობაა, ამ პრობლემის მოგვარებას კი დრო სჭირდება. მხოლოდ 4-5 მაღალი კლასის ფეხბურთელით ვერ მიაღწევ რიგიან შედეგს.

დავით თავართქილაძე



---

VIII ჯგუფი. მეტოქეები

# იტალიამ მოგებას დი ნატალე შესწირა

**ჩერნოგორია-იტალია 0:2**

**ჩერნოგორია:** პოლეკშიჩი, პავლიჩევიჩი, ბასა, ბატაკი, ბოჟოვიჩი, დრინჩიჩი, პეკოვიჩი (79. ვუიოვიჩი), ბოშკოვიჩი, იოვეტიჩი, ვუკჩევიჩი (88. ზვეროტიჩი), დიალოვიჩი (71. ბეჩირაი).

**იტალია:** ბუფონი, ძამბროტა, კანავარო, კიელინი, გროსო, პალომბო, პირლო (81. ბრიგი), დე როსი, კვალიარელა, იაკვინტა (58. პაცინი), დი ნატალე (8. პეპე).

**გოლები:** 0:1 პირლო (10-პენ), 0:2 პაცინი (74)

**მაყურებელი:** 11 000

**ირლანდია-ბულგარეთი 1:1**

**ირლანდია:** გივენი, მაკშეინი, ო'ში, დანი, კილბეინი, მაკგიდი (90. კეფი), ველანი, ანდრიუსი, ჰანტი, კინი, დოილი.

**ბულგარეთი:** ივანკოვი, სტოიანოვი, ტომაშიჩი, მალონევი, მილანოვი (23. კიშიშევი), ანგელოვი, ს. პეტროვი, პოპოვი (46. დიმიტროვი), გეორგიევი (66. მარკიევი), ტელკიისკი, რანგელოვი.

**გოლები:** 1:0 დანი (1), 1:1 კილბეინი (74-საკ. კარში)

**მაყურებელი:** 30 000

მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის მორიგი რაუნდით ყველაზე მეტად იტალიამ მოიგო, „სკუადრა აძურამ“ „პოდგორიცომის“ სტადიონზე 10 ათასზე მეტი ჩერნოგორიელი გულშემატკივარი დაამწუხრა და შინ სამი ქულა წაიღო - 2:0. მაშინ როცა მსოფლიოს ჩემპიონთა უშუალო კონკურენტებმა, **ჯოვანი ტრაპატონის** ირლანდიამ და ბულგარეთმა, დუბლინში ქულები გაიყვეს, ერთი კი ქარს გაატანეს.

ბალკანეთში თავი იტალიის ნაკრების დებიუტანტმა **ჯამპაოლო პაცინიმ** გამოიჩინა, რომელმაც მთელი შემოდგომა „ფიორენტინას“ სათადარიგოთა სკამზე გაატარა. იანვარში მან კლუბი შეიცვალა და... „სამპდორიას“ მაისურით 10 მატჩში 8 გოლი გაიტანა. შაბათს პაცინი მეორე ტაიმში გამოჩნდა და 15 წუთზე ნაკლებ დროში სადებიუტო გოლიც გაიტანა. ახლა ჯგუფის უმთავრესი თამაში ოთხშაბათს ბარიში შედგება, სადაც ლიდერი იტალია (5 თამაში, 13 ქულა) ირლანდიას უმასპინძლებს, რომელიც უკვე ორი ქულით ჩამორჩება იტალიას.

*„მართლაც საუკეთესო დროება მაქვს კარიერაში. ბოლო თვეებში ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. იტალიის ნაკრებში დებიუტი ჩემთვის უდიდესი პატივია, ხოლო სადებიუტო მატჩში გოლის გატანა ახდენილი ოცნებაა. თანაც ჩემი გოლი ეროვნულ გუნდს გამარჯვებაში დაეხმარა. ორშაბათს ნაკრების ვარჯიშზე პირველ მისვლას ცხოვრებაში ვერასოდეს დავივიწყებ“*, - განაცხადა 24 წლის პაცინიმ.

ჩერნოგორია-იტალიის მატჩზე თხრობისას ჩვენ ქრონოლოგია დავარღვიეთ, პირველი გოლი თამაშის მე-11 წუთზე **ანდრეა პირლომ** პენალტით გაიტანა. პენალტი თავად მილანელმა დაიმსახურა, როცა მის ჩაწოდებულს **რადოსლავ ბატაკი** ხელით ნასწვდა. პირლომ **კობიაშვილის** მსგავსად ცენტრში დაარტყა, ოდნავ უფრო დამაჯერებლად და ანგარიშიც გაიხსნა - 1:0. პირველ ტაიმში **მარჩელო ლიპის** ბიჭებმა ორი სერიოზული მომენტი გაანიავეს, **ვინჩენცო იაკვინტამ** თავით ააცილა, ხოლო ტრავმირებული **ანტონიო დი ნატალეს** ნაცვლად შემოსულმა **სიმონე პეპემ** ერთი-ერთზე ვერ აჯობა მასპინძელთა გოლკიპერს. მეორე ტაიმში იაკვინტა კიდევ ერთხელ დაემუქრა თავით მასპინძელთა კარს, პაცინიმ 74-ე წუთზე პეპეს პასით გაიტანა, მანამდე კი მასპინძელ **რადომირ ჯალოვიჩს** შეეძლო გატანა. ჩერნოგორიას დისკვალიფიკაციის გამო ლიდერი, რომაელი **მირკო ვუჩინიჩი** აკლდა, რომელიც საქართველოსთან ითამაშებს. დი ნატალეს მარცხენა მუხლი აქვს დაზიანებული.

დუბლინის „კროკ პარკზე“ 60 ათასი კათოლიკე ირლანდიელი ფანი დებიუტანტი მწვრთნელის, **სტანიმირ სტოილოვის** ბულგარეთმა დაალონა - 1:1. არადა, ირლანდიამ დიდებულად დაიწყო, პირველივე წუთზე, უფრო ზუსტად, მე-40 წამზე **რიჩარდ დანმა** თავით გახსნა ანგარიში. მასპინძლებს მოგება ისევ ირლანდიელმა არ დაანება, ჩვენთვის კარგად ნაცნობმა **კევინ კილბეინმა სტილიან პეტროვის** ჩაწოდებული ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და **შეი გივენი** ხახამშრალი დატოვა. ბულგარეთის ნაკრებს იშვიათი შედეგი აქვს ამ შესარჩევ ჯგუფში - 4 თამაში და ყველა ფრე. ოთხშაბათს ბულგარელები საქართველოს ნაკრების მძლეველ კუნძულელებს, კვიპროსელებს უმასპინძლებენ...

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდული ნაკრები

**27 მარტს კახა ცხადაძემ სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა. თუ თვითმხილველებსა და ფეხბურთელებს დავუჯერებთ, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა კვიპროსში საკმაოდ კარგად ითამაშა. თუმცა ცხადაძე მაქსიმალისტია და მიაჩნია, რომ ყველაფერი თავიდანაა დასაწყები. კვიპროსიდან დაბრუნებული შეგირდები ცხადაძეს სახლში არ გაუშვია, კვლავ „მცხეთა პალასში“ დააბინავა და ბელარუსთან 1 აპრილის საშინაო მატჩისთვის მზადებას შეუდგა. გუშინ 17 საათზე ახალგაზრდულმა ნაკრებმა საგურამოში ივარჯიშა...**



მარცხნიდან: ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ შელია და კახა ცხადაძე

*ინტერვიუ კახა ცხადაძესთან*

# ეტყობა, სელექციაში არ ვცდებით...

**- გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენებმა კვიპროსელ თანატოლებთან მეტი საგოლე მომენტი შექმნეს, უნდა ვიფიქროთ, რომ გუნდს ცუდად არ უთამაშია...**

- თამაშის დასაწყისი, სადღაც ნახევარი ტაიმი, ყველა კომპონენტში ქაოტური გამოდგა - დაცვითი ფუნქციების შესრულებაშიც, ბურთის „ამოტანასა“ და შეტევებშიც. თუმცა ეს უფრო იმით იყო გამოწვეული, რომ მეტოქეს არ ვიცნობდით. არა, მასპინძლებზე რაღაც წარმოდგენა კი გვქონდა, მაგრამ სანამ უშუალოდ გავარკვიეთ, რა გუნდი იყო, რაზე უნდა გაგვეკეთებინა აქცენტი, ამასობაში დრო დავკარგეთ. მერე დავინახეთ, საიდან მოდიოდა საფრთხე. რაც შეეხება შეტევას, 4-3-3 სქემით ბიჭებმა პირველად ითამაშეს და იმასაც გარკვეული დრო დასჭირდა, რომ ფეხბურთელებს დავალება ზუსტად გაეგოთ. ფაქტობრივად, ამან მთელი ტაიმი წაიღო... თანაც ბიჭები ჩქარობდნენ და შეცდომები ამითიც იყო გამოწვეული.

**- შეტევის ფლანგებზე ნახევარმცველები - ირაკლი კლიმიაშვილი და გიორგი გაბედავა დააყენეთ. ანუ, ფრთხილი ტაქტიკა აირჩიეთ?**

- ვერ ვიტყვი, რომ ფრთხილი ტაქტიკა იყო.

**- თქვენ მაქსიმალისტი ბრძანდებით, ფრედ დამთავრებულ მატჩსაც კრიტიკულად აფასებთ.**

- სწორედაც რომ კრიტიკული უნდა ვიყო, რათა უკეთ ვითამაშოთ. თუმცა მატჩის მეორე ნაწილში ჩვენებმა ისე ითამაშეს, რომ რაღაც-რაღაცები მომეწონა.

**- კონკრეტულად?**

- რამდენიმე ფაქტორს გამოვყოფ. მაგალითად იმას, რომ ბიჭებმა დავალების 100 თუ არა, 90 პროცენტი მაინც შეასრულეს. სხვათა შორის, ძალიან კარგად ჩაერთო მეორე ტაიმში ირაკლი ხუციძე. მან ჩვენი იმედები გაამართლა. კიდევ ერთი მომენტი, რამაც ძალიან გამახარა - ფაქტობრივად, მთელი 90 წუთის განმავლობაში მეტოქეს პრესინგი ვეთამაშეთ.

**- პრესინგი?**

- დიახ, პრესინგი.

**- მოთამაშეთა უმრავლესობა საქართველოს ჩემპიონატიდანაა და მათი ფიზიკური მომზადების დონიდან გამომდინარე, 90 წუთის განმავლობაში პრესინგით თამაში ძნელი წარმოსადგენია...**

- ბიჭებმა არათუ გაძლეს, ფიზიკურად მასპინძლებზე უკეთაც გამოიყურებოდნენ. ბოლოს აშკარად გამოჩნდა, რომ კვიპროსელები დაილალნენ... სხვათა შორის, მასპინძელთა გოლი მსაჯის „დამსახურება“ იყო - მოგონილი პენალტი დაგვინიშნა და ასე დაწინაურდნენ კვიპროსელები. ჩვენების ამბავი ხომ იცით? - ტრადიციულად, ასეთ დროს ქართველი ფეხბურთელები იბნევიან ხოლმე. და ძალიან გამიკვირდა და გამიხარდა, რომ ამ შემთხვევაში საწინააღმდეგო ვნახეთ - ბიჭებმა თამაში გამოასწორეს, ინიციატივა მოიპოვეს, ანგარიში გაათანაბრეს და საგოლე მომენტებიც მასპინძლებზე გაცილებით მეტი შექმნეს. ის კი მინუსია, რომ ამ საგოლე მომენტების რეალიზაცია ვერ მოვახერხეთ. თუმცა, საერთო ჯამში, პირველი თამაშის კვალობაზე ცუდი ფეხბურთი არ გვითამაშია.

**- ყველაზე მეტად რომელი ნაკლის გამოსწორებაზე მოგიწევთ მუშაობა?**

- აბსოლუტურად ყველა მიმართულებითაა სამუშაო. ბევრი რამაა დასახვეწი...

**- საკმაოდ უცნაური იყო, რომ მარცხენაფლანგელი ლაშა თოთაძე დაცვის ცენტრში დააყენეთ.**

- ლაშას ცენტრალურ მცველად აქამდე არასოდეს უთამაშია. კიევის „დინამოს“ დუბლებში მარცხენა მცველად და ნახევარმცველად აყენებენ. არ ვიცი, რა მოტივით გადაწყვიტეს ასე, მაგრამ პირადად მე ჩავთვალე, რომ მისი დაცვის ცენტრში დაყენება უფრო გამართლებული იქნებოდა და ნაკრებსაც მეტ სარგებელს მოუტანდა. სხვათა შორის, თოთაძემ საკმაოდ დიდი მოწონებაც დაიმსახურა. შეიძლება, მე რაღაც არ მესმის, მაგრამ ლამის ორი მეტრია სიმაღლეში და რა უნდა მარცხენა ნახევარმცველად?! ჩემი აზრით, ის სუფთა ცენტრალური მცველია, აღნაგობითაც და თამაშის სტილითაც.

**- კვიპროსში გამგზავრებამდე ბრძანეთ, რომ ბელარუსთან მატჩამდე ცვლილებები იქნებოდა. ყვითელი ბარათების სიჭარბის გამო ეროვნულ ნაკრებს ბევრი მოთამაშე დააკლდა და კუპერმა თქვენი რომელიმე შეგირდი პირველ გუნდში ხომ არ წაიყვანა?**

- ცვლილებებზე გითხარით და აუცილებლად იქნება კიდეც. ეროვნული ნაკრების მატჩის შემდეგ კუპერმა სამი ფეხბურთელის - ამირან სანაიას, ბუბა დაუშვილისა და ირაკლი კლიმიაშვილის გადაყვანა მთხოვა. აქვე, მინდა მივულოცო ამ ბიჭებს ეს ფაქტი - ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა მათ ნდობა გამოუცხადა და ეს პატარა ამბავი არ არის. მეორე მხრივ, ჩვენი უპირველესი მიზანი ხომ ქვეყნის მთავარი გუნდის ფეხბურთელებით მომარაგებაა. პირადად ჩემთვისაც სასიამოვნოა ეს - ეტყობა, სელექციაში არ ვცდებით. თავად კუპერი ჩვენს შეხვედრას დაესწრო. ახალგაზრდულიც ეროვნული ნაკრების სქემით, 4-3-3-ით ვათამაშე და ეს 3 ფეხბურთელიც იმიტომ მოეწონა. მათ კარგად შეასრულეს ამ ტაქტიკური სქემიდან გამომდინარე მიცემული დავალებები. ვფიქრობ, ისინი ეროვნულში მიწვევას იმსახურებდნენ - კლიმიაშვილიც, სანაიაც და დაუშვილიც ძალიან აქტიურობდნენ.

**- თავად ვინ გამოიძახეთ მათ ნაცვლად?**

- მხოლოდ ერთი ფეხბურთელი მივიწვიეთ - თამაზ შონია ცხინვალის „სპარტაკიდან“.

**მერაბ მამულაშვილი**

*ბუბა დაუშვილი:*

# მოსაგები თამაში გვქონდა

**ბუბა დაუშვილი** ერთ-ერთია, ვინც ჰექტორ კუპერმა ჩერნოგორიასთან საშინაო მატჩისთვის ეროვნულ გუნდში მიიწვია. 19 წლის ნახევარმცველი, რომელიც „ზესტაფონის“ ღირსებას იცავს, კვიპროსთან მატჩში აქტიური და სასარგებლო იყო და ეტყობა, არგენტინელ სპეციალისტს შუა ხაზში შექმნილი პრობლემის მოგვარება მისი დახმარებით სურს. კვიპროსულ დაპირისპირებაზე დაუშვილი საკუთარ მოსაზრებებს გვიზიარებს.

**- ახალი მთავარი მწვრთნელის ხელმძღვანელობით პირველი შეხვედრა ყოველთვის განსაკუთრებით საინტერესოა. რა სტილით ითამაშებს გუნდი? რა სიახლეა შემადგენლობაში?**

- მართალია ფრედ ვითამაშეთ, მაგრამ ცუდი შთაბეჭდილება ნამდვილად არ დაგვიტოვებია. ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით და ყველა რომ გამოგვეყენებინა, მატჩი საჩვენოდ დასრულდებოდა.

**- მეტოქეზე რას იტყოდი?**

- კვიპროსს საკმაოდ ბრძოლისუნარიანი ნაკრები ჰყავს.

**- მოსაგები შეხვედრა გქონდათ?**

- მიმაჩნია, რომ აუცილებლად უნდა მოგვეგო. ჩვენ გაცილებით მეტი 100-პროცენტიანი მომენტი შევქმენით.

**- საგოლე მომენტების რეალიზაციის დაბალი პროცენტი ქართველებს სენად გვექცა...**

- რა გითხრათ... შეიძლება, მეტი შეთამაშება გვჭირდება. ეს ყველაზე თვალში საცემი იყო. მაინც ახალი გუნდი ყალიბდება და ბუნებრივიცაა ასეთი შეცდომები. დარწმუნებული ვარ, უფრო კარგად რომ შევთამაშდებით და შევეჩვევით ერთმანეთს, მეტ გამოცდილებას მივიღებთ და ასეთ მომენტებს აუცილებლად გამოვიყენებთ. ამას მოევლება, მაგრამ იმას რა ვუყოთ, მსაჯმა წარმოუდგენელი, არარსებული პენალტი რომ დაგვინიშნა? ამის შემდეგ ანგარიში გავათანაბრეთ და მეორე ტაიმში სრული უპირატესობა გვქონდა... თუმცა მეტი ვერ შევძელით, არადა, ჩვენი მოსაგები თამაში იყო...

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონის ექოები

# ქართველებს რუსეთის ვიზას არ აძლევენ

რუსეთის პირველი დივიზიონი მცირე სკანდალით გაიხსნა - მიზეზი „ანჟის“ სამი ქართველი ლეგიონერია, უფრო ზუსტად ის, რაც მათ შეემთხვათ. „ანჟიში“ მხოლოდ **კახა ალადაშვილი, სანდრო იაშვილი** და **ოთარ მარცვალაძე** ინარჩუნებენ საქართველოს მოქალაქეობას. სწორედ მათ არ მისცეს ჯერჯერობით რუსეთის ვიზები. ასე რომ, ჩემპიონატის პირველ ტურში „ნიჟნი ნოვგოროდთან“ სათამაშოდ ეს სამეული ვერ გაემგზავრა გუნდთან ერთად. **ომარ თეთრაძის** გუნდის სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ **გიორგი ნავალოვსკი** და **გოჩა ხოჯავა** მოხვდნენ. **ედიკ საჯაია** და **ზურაბ არზიანი** განაცხადში არ ყოფილან. 29-ე წუთზე ნავალოვსკი გააძევეს, მან თავის საჯარიმოში მეტოქე წააქცია, პენალტი კი „ნიჟნი ნოვგოროდმა“ გოლად აქცია. „ანჟიმ“ თავი 87- ენუთზე დაიძვრინა, როცა გოლი **ნაზირ კაჟაროვმა** გაიტანა - 1:1. თამაშის შემდეგ თეთრაძე უკმაყოფილო იყო, ასეთი თამაშით პრემიერლიგაში ვერ გადავალთო.

*„განსაკუთრებით ცუდად პირველ ტაიმში ვითამაშეთ. მადლობა ბიჭებს, რომ მეორე ტაიმში შეძლეს ათი კაცით გოლის გატანა“*, - განაცხადა ომარმა.

## ნაკრებში არგამოძახებულებმა იამხანაგეს

სანაკრებო პაუზით რუსული პრემიერლიგის რამდენიმე კლუბმა ისარგებლა, ზოგიერთი თურქეთში შეკრებაზეც წავიდა. **გია გრიგალავას** „მოსკვამ“ კი თურქეთში „გლორიის თასზეც“ მოასწრო ასპარეზობა. ფინალში „მოსკვამ“ 1:2 წააგო „ანკარასფორთან“. ამ მატჩში ქართველმა მცველმა პირველი 71 წუთი ითამაშა. მოსკოვის „ლოკომოტივი“ რუსეთის დედაქალაქში დარჩა, **დავით მუჯირის** გუნდმა 2:1 მოუგო „ხიმკის“, ქართველი ნახევარმცველი მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე. კიევში „დინამომ“ ტესტმატჩი გამართა თავისივე ახალგაზრდულ გუნდთან - 6:1. **მალხაზ ასათიანს** პირველად ეღირსა თამაში, მან მთელი მატჩი მოედანზე დაყო. „ტავრიამ“ თავის ბაზაზე 5:1 დაამარცხა ჩერნიგოვის „დესნა“. **ვლადიმერ ბურდულმა** და **ვასილ გიგიაძემ** ითამაშეს. გიგიაძემ ერთი გოლი (პენალტით) გაიტანა.

## მოდებაძე სეზონის ბოლომდე ოდესელია

24 წლის ფორვარდი **ირაკლი მოდებაძე** ორი ცდის შემდეგ ჩაირიცხა ოდესის „ჩერნომორეცში“. მან უკრაინის ჩემპიონატის წინა ტური იმის გამო გამოტოვა, რომ დროულად ვერ მოხერხდა მისი განაცხადში შეყვანა. შემდეგი ტურიდან „ჩერნომორეცის“ 40 ნომერს უკვე შეუძლია თამაში. მოდებაძე სეზონის ბოლომდე ოდესელია. 2002 წლიდან ხუთი სეზონის განმავლობაში ირაკლი მოდებაძემ ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ მაისურით 81 მატჩში 16 გოლი გაიტანა.

## ხუბუტია და კაუნასი დააქვეითეს

ლიტვის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი „კაუნასი“ ლიტვის ფეხბურთის ფედერაციამ ფინანსური პრობლემების გამო რანგით მესამე დივიზიონში დააქვეითა. შეგახსენებთ, რომ „კაუნასი“ ლიტვის 8-გზის ჩემპიონია და დღეისათვის მეორე ადგილზეა A ლიგის გათამაშებაში. ამ სეზონის შუაში გუნდიდან წავიდნენ **გივი კვარაცხელია** და **ნუკრი მანჩხავა**, იქ მხოლოდ **აკაკი ხუბუტია** დარჩა ქართველთაგან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




საქართველოს ჩემპიონატი. I და II ლიგები

### პირველი ლიგა

**აღმოსავლეთი — III წრე — XXIII ტური — 29 მარტი, კვირა**

| | |
|---|---|
| ჰერეთი-ვიტ ჯორჯია 2 | 2:1 |
| ნ/დინამო-თბილისი | 1:3 |
| ამერი-გაგრა 2 | 1:1 |
| სიონი 2-კახეთი | 2:1 |
| დილა-დინამო 2 | 1:3 |

*ჩიხურა ისვენებდა*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ამერი | 21 | 13 | 6 | 2 | 34-9 | 45 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 21 | 13 | 5 | 3 | 32-8 | 44 |
| 3. ჩიხურა | 20 | 13 | 4 | 3 | 38-13 | 43 |
| 4. დინამო 2 | 21 | 11 | 7 | 3 | 34-16 | 40 |
| 5. თბილისი | 21 | 9 | 3 | 9 | 35-31 | 30 |
| 6. დილა | 21 | 8 | 6 | 7 | 27-20 | 30 |
| 7. სიონი 2 | 21 | 6 | 5 | 10 | 25-45 | 23 |
| 8. გაგრა 2 | 21 | 5 | 4 | 12 | 28-43 | 19 |
| 9. ჰერეთი | 21 | 2 | 8 | 11 | 16-44 | 14 |
| 10. ნ/დინამო | 20 | 2 | 7 | 11 | 21-36 | 13 |
| 11. კახეთი | 20 | 2 | 5 | 13 | 12-40 | 11 |

**დასავლეთი — III წრე — XXIII ტური — 29 მარტი, კვირა**

| | |
|---|---|
| მარტვილი-ზესტაფონი 2 | 1:0 |
| ხობი-ბაია | 0:2 |
| სამტრედია-ჭიათურა | 4:0 |
| გურია-კოლხეთი | 1:0 |
| მეშახტე-ტორპედო | *ჩაიშალა* |

*ბათუმი ისვენებდა*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 21 | 15 | 2 | 4 | 39-16 | 47 |
| 2. ბაია | 21 | 14 | 5 | 2 | 39-11 | 47 |
| 3. მარტვილი | 21 | 13 | 6 | 2 | 31-15 | 45 |
| 4. კოლხეთი | 21 | 9 | 4 | 8 | 28-21 | 31 |
| 5. ხობი | 21 | 9 | 3 | 9 | 24-33 | 30 |
| 6. ტორპედო 2008 | 20 | 8 | 2 | 10 | 18-15 | 26 |
| 7. გურია | 21 | 7 | 4 | 10 | 28-32 | 25 |
| 8. ჭიათურა | 21 | 7 | 2 | 12 | 27-34 | 23 |
| 9. ბათუმი | 20 | 6 | 4 | 10 | 23-32 | 22 |
| 10. ზესტაფონი 2 | 21 | 5 | 5 | 11 | 17-29 | 20 |
| 11. მეშახტე | 20 | 1 | 3 | 16 | 9-45 | 6 |

### მეორე ლიგა

**აღმოსავლეთი — გამოტოვებული მატჩები**

| | |
|---|---|
| 35-ე სკოლა-დუშეთი | 5:0 |
| არაგველები-ალაზანი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ამერი 2 | 21 | 14 | 3 | 4 | 42-13 | 45 |
| 2. ლოკომოტივი 2 | 21 | 14 | 3 | 4 | 50-24 | 45 |
| 3. დუშეთი | 21 | 13 | 3 | 5 | 41-22 | 42 |
| 4. სპარტაკი 2 | 21 | 12 | 5 | 4 | 52-24 | 41 |
| 5. I.B.S.U. | 21 | 12 | 1 | 8 | 45-34 | 37 |
| 6. 35 ს.ს. | 21 | 11 | 4 | 6 | 41-32 | 37 |
| 7. გარეჯი | 21 | 11 | 3 | 7 | 34-23 | 36 |
| 8. ლიახვი | 21 | 10 | 4 | 7 | 37-31 | 34 |
| 9. იმედი | 21 | 7 | 6 | 8 | 29-24 | 27 |
| 10. სამგორი | 21 | 7 | 6 | 8 | 39-35 | 27 |
| 11. ჰერეთი 2 | 21 | 8 | 2 | 11 | 39-35 | 26 |
| 12. არაგველები | 21 | 7 | 5 | 9 | 25-29 | 26 |
| 13. ერთობა | 21 | 7 | 2 | 12 | 25-47 | 23 |
| 14. ბორჯომი 2* | 21 | 7 | 1 | 13 | 23-46 | 22 |
| 15. ალგეთი | 21 | 6 | 4 | 11 | 26-44 | 22 |
| 16. ალაზანი | 21 | 5 | 3 | 13 | 15-36 | 18 |
| 17. ზოოვეტი | 21 | 4 | 4 | 13 | 23-45 | 16 |
| 18. ნ. დინამო 2 | 21 | 3 | 3 | 15 | 15-47 | 12 |

** ბორჯომი 2 მოხსნილია გათამაშებიდან*

# უცხოური ფეხბურთი

## ინგლისი

### I ლიგა

XL ტური

| | |
|---|---|
| საუთენდი-ჰარტლპული | 3:2 |
| პიტერბორო-ლესტერი | 2:0 |
| ბრაიტონი-ტრანმერი | 0:0 |
| როვერსი-სტოკპორტი | 2:0 |
| კარლაილი-ნორთჰემპტონი | 1:1 |
| კრიუ-მილუოლი | 0:1 |
| ჰერეფორდი-ჰადერსფილდი | 0:1 |
| ლიდსი-მილტონი | 2:0 |
| ლეიტონი-ოლდჰემი | 2:1 |
| სკანთორპი-კოლჩესტერი | 3:0 |
| უოლსოლი-ჩელტენემი | 1:1 |
| იეოვილი-სუინდონი | 1:0 |

### II ლიგა

XL ტური

| | |
|---|---|
| უიკომბი-შრუსბერი | 1:1 |
| ბარნეტი-დარლინგტონი | 0:1 |
| ბრენტფორდი-ჯილინგემი | 1:1 |
| ბერი-ბორნმუთი | 1:0 |
| ჩესტერი-ბრედფორდი | 0:0 |
| ჩესტერფილდი-პორტ ვეილი | 2:1 |
| დაგენჰემი-მაკლსფილდი | 2:1 |
| გრიმსბი-ალდერშოტი | 1:0 |
| ლინკოლნი-ნოტსი | 1:1 |
| მორეკამბი-ლუტონი | 1:2 |
| როჩდეილი-ექსეტერი | 2:2 |
| როტერჰემი-აკრინგტონი | 0:0 |

### კონფერენსი

XL ტური

| | |
|---|---|
| ალტრინჩემი-კროული | 2:2 |
| ბარტონი-გრეისი | 4:0 |
| ფორესტ გრინი-ლუისი | 4:1 |
| ჰისტონი-რექსჰემი | 1:0 |
| კეტერინგი-ებსფლიტი | 2:1 |
| მენსფილდი-ტორკი | 1:1 |
| ნორთვიჩი-რაშდენი | 4:2 |
| სალისბერი-ისტბურნი | 2:0 |
| სტივენეიჯი-ოქსფორდი | 1:1 |
| იორკი-კიდერმინსტერი | 0:0 |
| უეიმაუთი-ბაროუ | 0:3 |
| უოკინგი-კემბრიჯი | დღეს |

## ესპანეთი

### II დივიზიონი

XXX ტური

| | |
|---|---|
| სელტა-ალბასეტე | 0:0 |
| ხირონა-ლას პალმასი | 2:2 |
| სევილია II-მურსია | 3:3 |
| ხერესი-სარაგოსა | 1:2 |
| კასტელონი-სოსიედადი | 0:3 |
| ალიკანტე-ელჩე | 0:3 |
| ხიმნასტიკი-ლევანტე | 2:0 |
| ეიბარი-ვალეკანო | 0:1 |
| უესკა-სალამანკა | 0:0 |
| ტენერიფე-კორდობა | 2:0 |
| ალავესი-ერკულესი | 1:3 |

## ჰოლანდია

### II დივიზიონი

XXXII ტური

| | |
|---|---|
| ვაალვიკი-ჰელმონდი | 3:0 |
| კამბური-ექსელსიორი | 1:1 |
| მაასტრიხტი-ვენლო | 2:0 |
| ემენი-ტელსტარი | 0:2 |
| ეინდჰოვენი A-ფორტუნა | 2:4 |
| ჰაარლემი-ომნივორლდი | 2:1 |
| ტოპ ოსი-ვეენდამი | 2:3 |
| ცვოლე-დენ ბოში | 1:0 |
| როსენდალი-დორდრეხტი | 2:3 |
| აპელდორნი-იგლზი | 1:5 |

## შოტლანდია

### I დივიზიონი

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| როსი-დანდი | 1:1 |

### II დივიზიონი

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| ბრეჩინი-არბროა | 0:1 |
| სტირლინგი-ისტ ფაიფი | 2:0 |
| სტრანრარი-პირი | 1:4 |

### III დივიზიონი

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| ბერუიკი-ისტ სტირლინგი | 1:2 |
| ელჯინი-ანენი | 0:1 |
| ფორფარი-მონროუზი | 0:3 |

## შვეიცარია

### ჩელენჯლიგა

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| იევერდონი-კონკორდია | 1:1 |
| შო დე ფონი-ლუგანო | 1:2 |
| გოსაუ-ვილი | 0:0 |
| სტ. გალენი-ვოლენი | 4:0 |
| ბილი-ნიონე | 4:2 |
| თუნი-ლოზანა | 2:0 |

## აშშ

II ტური

| | |
|---|---|
| კოლამბუსი-ტორონტო | 1:1 |
| დი სი იუნაიტედი-ჩიკაგო | 1:1 |
| ნიუ იორკი-ნიუ ინგლენდი | 1:1 |
| კოლორადო-კანზასი | 2:1 |
| სან ხოსე-ჰიუსტონი | 3:2 |
| სიეტლი-სოლტ ლეიკი | 2:0 |
| დალასი-ჩივასი | 0:2 |

## იტალია

### სერია B

XXXIII ტური

| | |
|---|---|
| ალბინოლეფე-ტრევიზო | 2:0 |
| ანკონა-ემპოლი | 1:2 |
| ბრეშია-ლივორნო | 2:2 |
| ჩიტადელა-მოდენა | 4:0 |
| ფროზინონე-ტრიესტინა | 2:2 |
| გროსეტო-მანტოვა | 1:1 |
| პარმა-პიაჩენცა | 1:1 |
| ვიჩენცა-სალერნიტანა | 2:0 |
| პიზა-ბარი | 0:1 |
| რიმინი-ასკოლი | დღეს |

### სერია C1/A

XXVII ტური

| | |
|---|---|
| კრემონეზე-ლუმეცანე | 0:0 |
| ლეკო-პერგოკრემა | 1:0 |
| მონცა-სამბენედეტეზე | 0:1 |
| ნოვარა-ჩეზენა | 1:1 |
| პადოვა-სპალ | 0:0 |
| პრო სესტო-პროპატრია | 0:2 |
| რავენა-რეჯინა | 0:0 |
| ვერონა-პორტოგრუარო | 1:1 |
| ვენეცია-ლენიანი | გადაიდო |

### სერია C1/B

XXVII ტური

| | |
|---|---|
| რეალ მარჩიანიზე-ბენევენტო | 2:2 |
| არეცო-ფოჯა | 1:0 |
| კავეზე-გალიპოლი | 1:0 |
| კროტონე-ტარანტო | 2:0 |
| პერუჯა-პაგანეზე | 1:2 |
| პესკარა-ფოლინო | 2:1 |
| პისტოიეზე-იუვე სტაბია | 1:0 |
| სორენტო-პოტენცა | 1:1 |
| ტერნანა-ლანჩანო | 3:0 |

## გერმანია

### III ბუნდესლიგა

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| პადერბორნი-შტუტგარტი A | 1:1 |
| ბრაუნშვაიგი-დინამო (დრ) | 0:1 |
| კარლ ცაისი-ვუპერტალი | 0:0 |
| ფორტუნა-ემდენი | 1:1 |
| რეგენსბურგი-ბურგჰაუზენი | 1:0 |
| ზანდჰაუზენი-აუე | 0:2 |
| უნტერჰახინგი-ერფურტი | 4:0 |
| ვერდერი A-ოფენბახი | 3:1 |
| შტ. კიკერსი-ბაიერნი A | 0:0 |
| აალენი-უნიონი | 1:4 |

## საფრანგეთი

### II დივიზიონი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ანჟერსი-აიაჩო | 0:1 |
| ბასტია-მეცი | 1:2 |
| ბრესტი-რეიმსი | 0:0 |
| შატორუ-დიჟონი | 2:0 |
| კლერმონი-ამიენი | 2:0 |
| ნიმი-გინგამი | 1:0 |
| სედანი-ბულონი | 0:1 |
| ტრუა-სტრასბური | 1:2 |
| ვანი-მონპელიე | 1:0 |
| ლანსი-ტური | დღეს |

## ბელგია

### II დივიზიონი

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| ჰამე-ოსტენდე | 1:1 |
| ტინენი-ბრიუსელი | 2:0 |

## დანია

### II დივიზიონი

XVII ტური

| | |
|---|---|
| როსკილდე-ჰვიდოვრე | 3:1 |
| ფრემი-კიოლდინგი | 2:2 |
| აკადემისკი-ფრემადი | 3:0 |
| ლუნგბიუ-ფრედერისია | 1:1 |
| ნაესტვედი-სკივე | 0:0 |
| ტისტედი-ნიკობინგი | 7:0 |
| ვიბორგი-კიოგე | 3:0 |
| ჰერფიოლგე-სილკებორგი | 1:3 |

## საბერძნეთი

### II დივიზიონი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ეთნიკოსი-ოლიმპიაკოსი (ვ) | 1:0 |
| ანაგენისი-დიაგორასი | 2:1 |
| იონიკოსი-კასტორია | 2:0 |
| კალამატა-კალითეა | 2:0 |
| კავალა-ილისიაკოსი | 2:0 |
| იანინა-ეთნიკოსი (ა) | 1:0 |
| პიერიკოსი-აპოლონი | 1:1 |
| ვერია-აგროტიკოსი | 1:1 |
| ატრომიტოსი-კერკირა | დღეს |

## თურქეთი

### II დივიზიონი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ქარსიაკა-გირესუნი | 1:1 |
| მანისა-ერჩიესი | 1:1 |
| ბოლუსი-საკარია | 2:2 |
| გიუნგორენი-ქართალი | 0:0 |
| ქარაბუქი-სამსუნი | 1:1 |
| ორდუ-ადანა | 0:2 |
| რიზე-ბბ გაზიანთეფი | 2:2 |
| ალთაი-დიარბაქირი | 0:0 |
| მალათია-ქასიმფაშა | დღეს |

## უელსი

XXX ტური

| | |
|---|---|
| ნიუი-ქონესი | 6:0 |
| უელშპული-ბანგორი | 1:1 |
| ეირბასი-ქერსოუსი | 0:2 |
| ქერნარფონი-ჰევერფორდვესტი | 0:1 |
| ლანელი-პორტმედოგი | 5:0 |
| ნითი-ნიუთაუნი | 3:0 |
| პორტ ტელბოტი-რილი | 2:2 |
| პრესტატინი-ებერისვითი | 1:0 |
| ტნს-კარმარტენი | 8:0 |

## ჩეხეთი

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| პრშიბრამი-ტეპლიცე | 0:3 |

### II დივიზიონი

XX ტური

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-სპარტა II | 1:1 |
| დუკლა-პრადეცი | 0:0 |
| ისლავა-უსტი | 4:0 |
| სოკოლოვი-კარვინა | 2:2 |
| ტრშინეცი-ოპავა | 0:0 |
| ოლომოუცი-ფულნეკი | 6:1 |
| ჩასლავი-სლოვაცკო | 0:0 |
| მოსტი-ბოჰემიანსი | 0:1 |

## რუსეთი

### II დივიზიონი

I ტური

| | |
|---|---|
| ლ-ენერგია-მვდ | 0:0 |
| სკა ენერგია-ჩიტა | 1:0 |
| ნ. ნოვგოროდი-ანჟი | 1:1 |
| სიბირი-ურალი | 1:0 |
| მეტალურგი-კამაზი | 0:2 |
| ვიტიაზი-ნოსტა | 2:1 |
| ალანია-გაზპრომი | 3:1 |
| სალიუტი-ვოლგა | 1:1 |
| ბალტიკა-ჩერნომორეცი | 1:0 |
| შინიკი-ყუბანი | 1:1 |

## ჩილე

X ტური

| | |
|---|---|
| უაჩიპატო-კობრელოა | 3:2 |
| ს. მორნინგი-კურიკო | 0:1 |
| რეინჯერსი-უნ. ესპანიოლა | 1:3 |
| ნუბლენსე-ევერტონი | 1:1 |
| ლა სერენა-პალესტინო | 0:3 |
| მუნისიპალი-უნ. კონსეპსიონი | 1:1 |

## მუნდიალი 2010

### აფრიკა

I ჯგუფი

| | |
|---|---|
| ტოგო-კამერუნი | 1:0 |
| მაროკო-გაბონი | 1:2 |

II ჯგუფი

| | |
|---|---|
| კენია-ტუნისი | 1:2 |
| მოზამბიკი-ნიგერია | 0:0 |

III ჯგუფი

| | |
|---|---|
| რუანდა-ალჟირი | 0:0 |
| ეგვიპტე-ზამბია | 1:1 |

IV ჯგუფი

| | |
|---|---|
| სუდანი-მალი | 1:1 |
| განა-ბენინი | 1:0 |

V ჯგუფი

| | |
|---|---|
| ბურკინა ფასო-გვინეა | 4:2 |
| კოტ დ'ივუარი-მალავი | 5:0 |

### აზია

I ჯგუფი

| | |
|---|---|
| იაპონია-ბაჰრეინი | 1:0 |
| უზბეკეთი-კატარი | 4:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იაპონია | 5 | 3 | 2 | 0 | 8-3 | 11 |
| 2. ავსტრალია | 4 | 3 | 1 | 0 | 6-0 | 10 |
| 3. უზბეკეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-6 | 4 |
| 4. ბაჰრეინი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-6 | 4 |
| 5. კატარი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-12 | 4 |

II ჯგუფი

| | |
|---|---|
| ჩრ. კორეა-საემიროები | 2:0 |
| ირანი-ს. არაბეთი | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩრ. კორეა | 5 | 3 | 1 | 1 | 7-4 | 10 |
| 2. ს. კორეა | 4 | 2 | 2 | 0 | 8-3 | 8 |
| 3. ს. არაბეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-6 | 7 |
| 4. ირანი | 5 | 1 | 3 | 1 | 6-6 | 6 |
| 5. საემიროები | 5 | 0 | 1 | 4 | 4-11 | 1 |

### კონკაკაფი

I ჯგუფი

| | |
|---|---|
| მექსიკა-კოსტა რიკა | 2:0 |
| ტრინიდადი-ჰონდურასი | 1:1 |
| სალვადორი-აშშ | 2:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 2. მექსიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 3. კოსტა რიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 4. სალვადორი | 2 | 0 | 2 | 0 | 4-4 | 2 |
| 5. ტრინიდადი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 6. ჰონდურასი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ს. კორეა-ერაყი | 2:1 |
| ტაილანდი-ახ. ზელანდია | 3:1 |
| ს. აფრიკა-ნორვეგია | 2:1 |
| ომანი-სენეგალი | 2:0 |
| ინგლისი-სლოვაკეთი | 4:0 |

## უნგრეთი

### ლიგის თასი

| | |
|---|---|
| ჰონვედი-პაქში | 0:1 |
| ვიდეოტონი-დიოში | 2:0 |

მოსალოდნელი ტრანსფერი

# დიეგო იუვეს შეუთანხმდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტუტოსპორტი: ტურინელები ბრაზილიელს მოურიგდნენ, გასარკვევია მხოლოდ სატრანსფერო თანხა

ტურინის „იუვენტუსი" პაველ ნედვედის შემცვლელს რომ ეძებს, ეს ძველი ამბავია – ჩეხი ნახევარმცველი ზაფხულში აქტიურ სპორტულ კარიერას ასრულებს. „ლელოს" მკითხველმა ისიც იცის, რომ „ბებერი ქალბატონის" ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი „ვერდერისა" და ბრაზილიის ნაკრების ფლეიმეიქერი **დიეგოა**. უქმეებზე იტალიური და გერმანული გაზეთები ერთხმად იტყობინებოდნენ, რომ დიეგოს „იუვეში" გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი ამბავია. ბრაზილიელი ზაფხულში ტურინულ გრანდთან ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. „იუვენტუსის" ხელმძღვანელებს ბრემენელ კოლეგებთან სატრანსფერო თანხის შესახებ მოლაპარაკებების დასრულება აპრილის ბოლომდე სურთ.

იტალიური გამოცემა „ტუტოსპორტი" წერს, რომ დიეგოს „იუვეში" გადასვლას წინ ველარაფერი დაუდგება და 24 წლის გამთამაშებელი მომავალი სეზონიდან ტურინული გრანდის ღირსებას დაიცავს. ხსენებული გამოცემა იმასაც იუწყება, რომ დიეგოს ტურინში საკმაოდ მაღალი ხელფასი ექნება – 5 მილიონ ევრომდე წელიწადში. ჩვენი გერმანელი კოლეგები, კერძოდ კი გაზეთი „ველტი" იუწყება, რომ თვითონ ბრაზილიელს ან „იუვენტუსში" სურს გადასვლა, ანაც მადრიდის „რეალში".

ტურინელებს ბრაზილიელის შეძენა შარშანაც სურდათ, მაგრამ ერთი წლის წინ დიეგო მადრიდში გადასვლას ანიჭებდა უპირატესობას. ახლა კი, ფეხბურთელის მამა **დაირ და კუნია**, რომელიც მისი მრჩეველიცაა, აცხადებს, რომ დიეგოს ფავორიტი „იუვენტუსია". როგორც ირკვევა, მან უკვე დაასრულა მოლაპარაკებები „იუვეს" შეფებთან, რომლებიც ახლა უკვე „ვერდერის" სპორტულ დირექტორ **კლაუს ალოფსს** უნდა შეუთანხმდნენ სატრანსფერო თანხაზე, რომელსაც „იუვენტუსი" „ვერდერს" გადაუხდის.

„ტუტოსპორტის" ცნობით, „იუვეს" შეფები ალოფსთან მოლაპარაკებას უახლოეს მომავალში დაიწყებენ. იტალიელების გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ აპრილის ბოლომდე ტრანსფერი დასრულებული იყოს. დიეგოს „მუსიკოსებთან" კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს. ალოფსს ამ თემაზე კომენტარის გაკეთება ჯერჯერობით არ სურს. ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით კი, საუბარია მინიმუმ 20 და მაქსიმუმ 30 მილიონ ევროზე. აღსანიშნავია, რომ „ვერდერს" ფინანსურად ძალიან უჭირს და დიეგოს სანაცვლოდ მიღებული მილიონები ძალიან წაადგება. როგორც იცით, ბრემენული კლუბი ჩემპიონთა ლიგის საგზურისგან ძალიან შორსაა, რაც იმას ნიშნავს, რომ „ვერდერს" გაისადაც ვერ ექნება საჩემპიონთალიგო შემოსავალი, რის გამოც გუნდი, ფაქტობრივად, იძულებულია, თავის ლიდერს შეელიოს. მართალია, ბრემენული გუნდი ზედიზედ 5 წლის განმავლობაში გამოდიოდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, მაგრამ ეტაპობრივად ძვირდებოდა შემადგენლობაც, იზრდებოდა სახელფასო ფონდი და რაკი „მუსიკოსებს" ახლა უეფას თასის საგზურიც სანატრელი გაუხდათ, წამყვან ფეხბურთელებს უნდა გამოეთხოვონ. როგორც „ბილდი" იუწყება, სწორედ ამიტომ უთხრა ალოფსმა წლის დასაწყისში დიეგოს, თუ ზაფხულში რომელიმე სუპერგრანდისგან წინადადება გექნება, ხელს არ შეგიშლითო. „იუვეს" გენერალური მენეჯერი **ჟან-კლოდ ბლანი** კი თავის ქომაგებს დაჰპირდა, ზაფხულში მინიმუმ ერთ უმაღლესი კლასის ფეხბურთელს გადმოვიბირებთო

გოტფრიდ ლენცი



დიეგოს ბრემენული ეპოპეა მთავრდება

ამბები

### ივანკოვიჩი პრემიერლიგაში?

ხორვატი მწვრთნელი **ბრანკო ივანკოვიჩი**, რომელიც ზაგრების „დინამოში" წარმატებული მუშაობით არის ცნობილი, შეიძლება მომავალი სეზონიდან ინგლისის პრემიერლიგის ერთ-ერთი კლუბის მთავარი მწვრთნელი გახდეს. აღნიშნულ ინფორმაციას თავად სპეციალისტი ავრცელებს. *„ზაფხულზე სამწვრთნელო სარბიელს ვუბრუნდები,* - აცხადებს ის. - *ამ ეტაპზე ზუსტად არ ვიცი, რას გადავწყვეტ, მაგრამ წინადადებები უხვად მაქვს. კონკრეტულად ინგლისის პრემიერლიგიდან და ავსტრიიდან. მაქვს შემოთავაზებები აზიიდანაც. ყოველ ასეთ წინადადებას ყურადღებით განვიხილავ და გადაწყვეტილებას მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებ".*

### ფაბრეგასი სიტისთან დაბრუნდება

ესპანელი ნახევარმცველი **ფრანსესკ ფაბრეგასი** მინდორს მუხლის ტრავმით გამოწვეული სამთვიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდება. ეს განცხადება „არსენალის" თავკაცმა **არსენ ვენგერმა** გააკეთა. კაპიტნის შეცვლა ხან **სონგს** ევალა, ხან **დენილსონს** და ხანაც **დიაბის**, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა დაკისრებულ ამოცანას ფაბრეგასის დონეზე თავი ვერ გაართვა. ეს გასაკვირი არც უნდა იყოს. *„შაბათს „მანჩესტერ სიტისთან" სათამაშოდ ფრანსესკი უკვე მზად იქნება. ამ ეტაპზე ძირითადი შემადგენლობა, რასაკვირველია, არ შემირჩევია, მაგრამ სესკი ნამდვილად მზად იქნება",* - განაცხადა ვენგერმა.

### აგერმა ლივერპულის შეთავაზება უარყო

„ნიუს ოფ ზე უორლდის" ინფორმაციით, **დანიელ აგერმა** „ლივერპულის" მიერ შეთავაზებულ ახალ კონტრაქტზე თავაზიანი უარი თქვა. ფეხბურთელის აგენტის განცხადებით, მათთვის გარიგების ფინანსური მხარეა მიუღებელი. მოგეხსენებათ, ცენტრალურ მცველს კონტრაქტი სეზონის დასრულებისთანავე უმთავრდება. მისი გადაბირების სურვილი უკვე რამდენჯერმე გამოთქვა „მილანმა". დანიელი ფეხბურთელი **რაფაელ ბენიტესის** უნდობლობით უაღრესად შეშფოთებულია. მიმდინარე სეზონში მან სულ რაღაც 10 შეხვედრა ჩაატარა. მერსისაიდელთა ესპანელი დამრიგებელი მასზე წინ აყენებს **ჯეიმი კარაგერს, სემი ჰიპიასა და მარტინ შკრტელს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთ აფრიკა 2010. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

# ნარინჯისფერთა ბრწყინვალება



კრისტიანო რონალდომ და პორტუგალიამ მუნდიალისკენ გზა გაირთულეს

## I ჯგუფი

### მალტა-დანია 0:3

**მალტა:** ჰაბერი, კარუანა (69. მუსკატი), პ. აგიუსი, ბოგდანოვიჩი, დიმეში, ბრიფა (84. ბარბარა), მიფსუდი, კოენი, შემბრი (72. ჯ. აგიუსი), ბაიადა, პეისი.

**დანია:** სორენსენი, პოულსენი, კროლდრუპი, აგერი, მ. იაკობსენი, ლ. იაკობსენი, დ. იენსენი (62. ანდრეასენი), ლარსენი (82. ნორდსტრანდი), ბენდტნერი (30. ბორიგი), იორგენსენი, რომედალი.

**გოლები:** 0:1 ლარსენი (12), 0:2 ლარსენი (23), 0:3 ნორდსტრანდი (89)

**მაყურებელი:** 10 500

დანიელები თამაშის დაწყებამდეც არ მალავდნენ საკუთარ ამბიციას, რომ ლა ვალეტაში სამი ქულისთვის იყვნენ ჩასულები. მათ მასპინძლებს დებიუტშივე შეტევების ქარიშხალი დაატეხეს თავს. **ჯასტინ ჰაბერის** კარში **სიორენ ლარსენის** მიერ გატანილმა ორმა სწრაფმა გოლმა მატჩის ბედი მალევე გადაწყვიტა. პირველი მომენტი **ნიკლას ბენდტნერმა** შექმნა, მაგრამ ბადე მხოლოდ გარეთა მხრიდან შეარხია. შემდეგ მასპინძელთა კარის დარაჯმა **დანიელ იენსენის** მძლავრი დარტყმა მოიგერია. ანგარიში მე-12 წუთზე გაიხსნა. მალტელები ხელოვნური თამაშგარეს შექმნას ცდილობდნენ და გულუბრყვილო შეცდომა დაუშვეს, ლარსენმა **დენის რომედალის** უზუსტესი პასით ისარგებლა. რამდენიმე წუთში 27 წლის ფეხბურთელმა მე-10 სანაკრებო გოლი გაიტანა. ამჯერად ასისტენტობა **მარტინ იორგენსენმა** იკისრა.

მეორე ტაიმში **მორტენ ოლსენის** შეგირდებმა თამაშის ტემპი დააგდეს. დანიელებმა, შეიძლება ითქვას, უკანაც კი დაიხიეს. ამასთან, ყოველ შემთხვევას იყენებდნენ, რათა მწვავე კონტრიერიში მოეწყოთ. თავის გამოჩენა შეეძლო დენის რომედალს, მაგრამ მისი თავური მასპინძელთა მცველებმა დაბლოკეს. საბოლოო შედეგი შეცვლაზე შესულმა **მორტენ ნორდსტრანდმა** დააფიქსირა.

### ალბანეთი-უნგრეთი 0:1

**ალბანეთი:** ჰიდი, ვანგელი, დალკუ, კური, კანა, დურო, შკელა, ლალა, ლიკა (69. ბაკაი), ბერიშა, სალიჰი.

**უნგრეთი:** ბაბოში, ვასკო, ვანჩაკი, ბოდორი, შელეში, ჰალმოში (90. გერა), დარდაი, ჰაინალი (79. ვადოში), ჰუშტი, რუდოლფი, ტორგელე.

**გოლი:** 0:1 ტორგელე (38)

**მაყურებელი:** 15 200

თამაში სასიამოვნო საყურებელი გამოდგა, რადგან ორივე გუნდი საკუთარ ბედს, პირველ რიგში, შეტევაში ეძებდა. ეს გასაკვირი სულაც არ არის, რადგან ორივე ნაკრებს ჰოლანდიელი სპეციალისტი ავარჯიშებს. ალბანეთს **არი ჰაანი** წვრთნის, ხოლო უნგრელებს - **ერვინ კუმანი**. მასპინძელთაგან ორი საგოლე მომენტი ჰქონდა **ჰამდი სალიჰის**. პირველ ჯერზე მან **სობოლტ ჰუშტის** შეცდომა ვერ გამოიყენა და მცირედით ააცილა კარს. შემდეგ კი მისმა თავურმა ვერ უწია მიზანს. უნგრეთმა **ტომაშ ჰაინალის** ორი დარტყმით უპასუხა. ერთადერთი გოლი 38-ე წუთზე გავიდა. საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი **დალკუმ** თავით პირდაპირ **ტორგელეს** დაუგდო, მანაც არ დაახანა და მეკარეს აუღებელი დაურტყა. ალბანელებმა მეორე ტაიმში რამდენიმე საგოლე მომენტი კი შექმნეს, მაგრამ **გაბორ ბაბოშს** ვერაფერი დააკლეს.

### პორტუგალია-შვედეთი 0:0

**პორტუგალია:** ედუარდო კარვალიო, ბრუნო ალვეში, ბოსინგვა (46. ჟორჟე პირეში), რიკარდო კარვალიო, დუდა, პეპე, მეირელეში, ტიაგო (62. დეკუ), კრისტიანო რონალდო, დანი (66. უგო ალმეიდა), სიმაო.

**შვედეთი:** ისაკსონი, ნილსონი, მელბერგი, მაისტროვიჩი, იოჰანსონი, ა. სვენსონი (81. ს. ლარსონი), ელმი, ჰოლმენი (58. ვილჰელმსონი), კალსტრიომი, ელმანდერი (86. ბერგი), ჰ. ლარსონი.

**მაყურებელი:** 40 180

პორტუგალია მთელი შეხვედრის განმავლობაში სათამაშო უპირატესობას ფლობდა, მაგრამ ცივსისხლიან შვედებთან ვერაფერი გააწყო. მე-15 წუთზე გოლის გატანა შეეძლო **პეპეს**. ამ ეპიზოდს **კრისტიანო რონალდოსა** და **ბრუნო ალვეშის** მიერ გაფუჭებული მომენტები მოჰყვა. სტუმრები დაცვაში სრული კონცენტრაციით თამაშობდნენ და სწორედ ამის წყალობაა, რომ კარი უვნებლად შეინახეს. ტაიმის მიწურულს ტრავმა მიიღო და შეცვლა ითხოვა **ჟოზე ბოსინგვამ**.

მეორე ნახევარი ისევ პორტუგალიელთა შეტევებით განახლდა. შესანიშნავი მომენტი ვერ გამოიყენა ზენიტელმა **დანიმ**. დანის მომენტს სტუმრებმა **იოჰან ელმანდერის** დარტყმით უპასუხეს, თუმცა ბურთს ადგილზე დახვდა ნაკრების დებიუტანტი **ედუარდო**. **კარლუშ კეიროშმა** თამაშში არცთუ საუკეთესო ფორმაში მყოფი **დეკუ** ჩართო. მან თავისი გუნდის შეტევები აშკარად გამოაცოცხლა. „ჩელსის" ფეხბურთელმა 71-ე წუთზე საშუალო დისტანციიდან შეამოწმა **ანდრეას ისაკსონის** მზადყოფნა, რამდენიმე წუთში მასვე შეეძლო გატანა, მაგრამ კარს მცირედით ააცილა.

ყველაზე კარგი შანსი შეხვედრის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე რონალდოს ჰქონდა: „იუნაიტედის" შემტევს ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ ხუთი მეტრიდან ბურთი ხარიხას ზემოდან გადაავლო. პორტუგალიელებმა მსოფლიოს ჩემპიონატისკენ მიმავალი გზა ბევრად გაირთულეს. ვერ ვიტყვით, რომ მათ შანსი ალარ აქვთ, მაგრამ...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დანია | 4 | 3 | 1 | 0 | 9-2 | 10 |
| 2. უნგრეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 5-2 | 10 |
| 3. პორტუგალია | 5 | 1 | 3 | 1 | 6-3 | 6 |
| 4. შვედეთი | 4 | 1 | 3 | 0 | 2-1 | 6 |
| 5. ალბანეთი | 6 | 1 | 3 | 2 | 3-3 | 6 |
| 6. მალტა | 6 | 0 | 1 | 5 | 0-14 | 1 |

**1 აპრილი**

დანია-ალბანეთი

უნგრეთი-მალტა

## II ჯგუფი

### მოლდოვა-შვეიცარია 0:2

**მოლდოვა:** ნამაში, სავინოვი, ლაშჩენკოვი, გოლოვატენკო, ეპურეანუ, არმაში (86. მანოლიუ), ბუგაიოვი, გატკანი, ალექსეევი, კალინკოვი, იონიცა (56. ჩებოტარუ).

**შვეიცარია:** ბენალიო, ლიხტშტაინერი, მანინი, სენდეროსი, ჰუგელი, ბარნეტა (90. ჯურუ), ინლერი, ფრაი, ნკუფო (79. დერდიოკი), პადალინო (79. ფერნანდესი), გრიხტინგი.

**გოლები:** 0:1 ფრაი (33), 0:2 ფერნანდესი (90)

**მაყურებელი:** 11 000

შვეიცარიელთა ლეგენდარული მწვრთნელი **ოტმარ ჰიტცფელდი იგორ დობროვოლსკის** დაუპირისპირდა, რაც თავისთავად ზრდიდა სტუმართა შანსებს. გარდა მწვრთნელთა კალიბრისა, აშკარა იყო ევროპელთა ბევრად მაღალი სათამაშო კლასიც. მიუხედავად შემტევი 4-3-3 სქემისა, მოლდოველებს **დიეგო ბენალიოს** კართან საგოლე მომენტი, პრაქტიკულად, არ შეუქმნიათ. სტუმრები კი უტევდნენ იშვიათად, მაგრამ მწვავედ. 32-ე წუთზე შვეიცარიელთა კაპიტანმა **ალექსანდერ ფრაიმ** ანგარიში ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე გახსნა. ის ტექნიკური მოძრაობით რამდენიმე მცველს გასცდა, დარჩა **სტანისლავ ნამაშთან** პირისპირ და გოლის გატანა ალარ გასჭირვებია.

მოლდოველებმა ერთადერთი მომენტი საჯარიმო დარტყმის შემდეგ შექმნეს - **ბუგაიოვის** ძლიერი დარტყმული ცოცხალმა კედელმა მოიგერია, დამატებაზე ისევ მასპინძლებმა ივარგეს. ბენალიოს ოსტატობა რომ არა, ანგარიში გათანაბრდებოდა. მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე მოწოდებულ კუთხურს **ფერნანდესი** გამოეხმაურა. მისმა თავურმა, სტუმართა უპირატესობას კიდევ უფრო სოლიდური სახე შესძინა.

### ისრაელი-საბერძნეთი 1:1

**ისრაელი:** ავატი, შაბანი, ბენ ჰაიმი, კეინანი, ბენ დაიანი, კოენი (85. ვერმუტი), ალბერმანი, საჰარი, ბენაიუნი (76. კაიალი), ბარდა (60. იცხაკი), გოლანი.

**საბერძნეთი:** ჩალკიასი, სეიტარიდისი, დელასი, ბასინასი (61. სამარასი), ციოლისი (88. პაცაცოლლუ), ხარისტეასი, კარაგუნისი, ტოროსიდისი, კირიაკოსი, გეკასი, პაპადოპულოსი.

**გოლები:** 0:1 გეკასი (42), 1:1 გოლანი (55)

**მაყურებელი:** 40 000

თელ ავივის სტადიონი პირთამდე შეივსო, თუმცა მასპინძლებმა მაინც ვერაფრით მოახერხეს ბერძნების დამარცხება. მეტიც, მათ ანგარიშის გათანაბრებასა და შეხვედრის გადარჩენაზე ზრუნვა მოუხდათ. **გეორგიოს კარაგუნისის** ჯარიმას გიგანტი **ტრაიანოს დელასი** (197 სმ ) შესწვდა. მან თავით **ტეოფანის გეკასს** ხელსაყრელ პოზიციაზე გადააწოდა ბურთი. ოდესლაც ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირს საგოლე ალღომ არ უმტყუნა. გეკასმა ზედიზედ მესამე სანაკრებო შეხვედრაში გამოიჩინა თავი. მასპინძლები თავიანთი მთავარი ვარსკვლავის, **იოსი ბენაიუნის** წყალობით გადარჩნენ. **გოლანმა** საპასუხო გოლი სწორედ მისი პასი გაიტანა. მალე ბენაიუნმა ტრავმა მიიღო და იძულებული გახდა, შეცვლა ეთხოვა. **ოტო რეჰაგელის** ბიჭებს - **კირიაკოსს, პაცაცოლლუსა** და **ხარისტეასს** შეეძლოთ გატანა, მაგრამ ანგარიში ალარ შეცვლილა.

### ლუქსემბურგი-ლატვია 0:4

**ლუქსემბურგი:** ჟუბერი, პლაინი, იანიში, ჰოფმანი, პაიალი (46. ჟერსონი), პეტერსი, შტრასერი, ბეტმერი, ლევეკი (66. ლომბარდი), ბენსი (70. კიტანჟი), მუტში.

**ლატვია:** ვანინსი, კლავა, ივანოვსი, გორკსი, კაჩანოვსი, ჟიგაიევსი (66. ვისნაკოვსი), ასტაფიევსი, კოლესნიჩენკო, კაუნა (76. რუბინსი), ვერპაკოვსკისი (72. პერეპლოტკინსი), კარლსონსი.

**გოლები:** 0:1 კარლსონსი (23), 0:2 კაუნა (48), 0:3 ვისნაკოვსი (71), 0:4 პერეპლოტკინსი (86)

**მაყურებელი:** 2 516

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-3 | 10 |
| 2. შვეიცარია | 5 | 3 | 1 | 1 | 9-6 | 10 |
| 3. ისრაელი | 5 | 2 | 3 | 0 | 9-6 | 9 |
| 4. ლატვია | 5 | 2 | 1 | 2 | 8-6 | 7 |
| 5. ლუქსემბურგი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-11 | 4 |
| 6. მოლდოვა | 5 | 0 | 1 | 4 | 2-9 | 1 |

**1 აპრილი**

საბერძნეთი-ისრაელი

ლატვია-ლუქსემბურგი

შვეიცარია-მოლდოვა

## III ჯგუფი

### ჩრ. ირლანდია-პოლონეთი 3:2

**ჩრ. ირლანდია:** ტეილორი, მაკოლი, ჰიუზი, კრეიგანი, ევანსი, ჯონსონი, კლინგენი, მაკკანი, ბრანტი, ჰილი (90. ლიტლი), ფინი (84. ბერდი).

**პოლონეთი:** ბორუცი, ვავრინიაკი, დუდკა, გერეირო, ლევანდოვსკი, კრჟინოვეკი, იელენი (71. საგანოვსკი), ვასილევსკი, ჟევლაკოვი (65. ბოზაცკი), ბანდროვსკი (60. ბლაშჩიკოვსკი), ლევანდოვსკი.

**გოლები:** 1:0 ფინი (10), 1:1 იელენი (27), 2:1 ევანსი (47), 3:1 ჟევლაკოვი (61-საკ. კარში), 3:2 საგანოვსკი (90)

**მაყურებელი:** 14 907

პოლონელებმა მთელი შეხვედრის განმავლობაში უამრავი უხეში შეცდომა დაუშვეს. ჩრდირლანდიელებს მე-3 წუთზევე შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ **ფინის** ტექნიკურად შესრულებული დარტყმა არაზუსტი გამოდგა. შემდეგ **ჟევლაკოვმა** ითამაშა საშინლად და **დევიდ ჰილი ბორუცთან** ლამის ერთი-ერთზე დატოვა. მცველების გარდა, იმ დღეს მარცხენა ფეხზე იყო ამდგარი პირადად ბორუციც. ის გამოსვლაზე უხეშად შეცდა, ფინის ისლა დარჩენოდა, ბურთისთვის თავი დაეხვედრებინა. 27-ე წუთზე გოლის გატანის პირველივე შანსი გამოიყენა სტუმარმა **იელენმა**. მეორე ნახევრის მესამე წუთზე თავი გამოიჩინა **ჯონი ევანსმა** - მან **გრანტ მაკანის** კუთხური დააგვირგვინა. 61-ე წუთზე ისევ ჟევლაკოვმა გამოიდო თავი, ბურთი ბორუცის მოქნეულ ფეხს გადაახტა და დაუცველ კარში შეგორდა. 90-ე წუთზე **საგანოვსკიმ** ერთი გოლის გაქვითვა მოახერხა.

### სლოვენია-ჩეხეთი 0:0

**სლოვენია:** ჰანდაროვიჩი, ფილეკოვიჩი, მავრიჩი, ჩესარი, ჯოკიჩი, კორენი, კირმი, შიშიჩი (83. სლოგარი), კომაჩი (85. მეიაცი), დედიჩი (67. ლუბიანკიჩი), ნოვაკოვიჩი.

**ჩეხეთი:** ჩეხი, გრიგერა, როზენალი, იანკულოვსკი, უიფალუში, პოლაკი, ზიონკო, შირლი (76. კადლეცი), პლაშილი, ბაროში (90. ფენინი), სვერკოში (79. ნესიდი).

**მაყურებელი:** 12 376

მარიბორის „ლიუდსკიზე" ათასამდე ჩეხი გულშემატკივარი მოხვდა. შეხვედრა სტუმართა მინიმალური უპირატესობით წარიმართა, თუმცა ანგარიშის გახსნა ორივე გუნდს შეეძლო. ნო[illegible]ის პასის შემდეგ [illegible] გოლის გატანა მართებდა, მაგრამ მას მიზანმა უმტყუნა. თავის გამოჩენა რამდენჯერმე შეეძლო **მილან ბაროშს**. მან 45-ე წუთზე ხარიხასაც კი გაარტყა. **პეტრ რადას** შეგირდებმა კიდევ რამდენიმე შანსი გაატანეს ქარს. ყველაზე რეალური მომენტი მეკარესთან ერთი-ერთზე დარჩენილ **ვაცლავ სვერკოშს** ჰქონდა, მაგრამ ყოველ ჯერზე დიდებულად ირჯებოდა **სამირ ჰანდაროვიჩი**.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩრ. ირლანდია | 6 | 3 | 1 | 2 | 11-6 | 10 |
| 2. სლოვაკეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| 3. ჩეხეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 5-2 | 8 |
| 4. სლოვენია | 5 | 2 | 2 | 1 | 5-3 | 8 |
| 5. პოლონეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-7 | 7 |
| 6. სან მარინო | 5 | 0 | 0 | 5 | 1-15 | 0 |

**1 აპრილი**

ჩეხეთი-სლოვაკეთი

ჩრ. ირლანდია-სლოვენია

პოლონეთი-სან მარინო

## IV ჯგუფი

### გერმანია-ლიხტენშტაინი 4:0

**გერმანია:** ენკე, ა. ბეკი, ლამი, მერტეზაკერი, ტასკი, იანსენი (63. ჰელმესი), შვაინშტაიგერი (89. როლფესი), ჰიტცლშპერგერი (77. მარინი), ბალაკი, პოდოლსკი, გომესი.

**ლიხტენშტაინი:** იელე, რიტცბერგერი, მიხ. შტოკლასა, იორი, გერსტერი, მარტ. შტოკლასა, რ. ბიუხელი, თ. ბეკი (74. რ. ბეკი), მ. ფრიკი, როლერი, ფოგტი.

**გოლები:** 1:0 ბალაკი (4), 2:0 იანსენი (8), 3:0 შვაინშტაიგერი (48), 4:0 პოდოლსკი (49)

**მაყურებელი:** 43 368

რას უნდა ველოდოთ მატჩისგან, რომელშიც ერთმანეთს გერმანიისა და ლიხტენშტაინის ნაკრები გუნდები ხვდებიან? რა თქმა უნდა, გოლების წვიმას და რა თქმა უნდა, ერთ კარში. მატჩის წინ გაექსპერტებულმა **ოლივერ კანმა** თქვა, 8:0 ან 9:0 უნდა მოვიგოთ, ეს უბრალოდ გარდაუვალიაო. სხვათა შორის, იმავეს ითხოვდა ბუნდესგუნდის თავკაცი **იოახიმ ლიოვიც**. რეალობა კი შემდეგია: გერმანიამ რეიტინგში 151 ადგილზე მყოფ ლიხტენშტაინთან მხოლოდ 4:0 იკმარა.

თუმცა გერმანელები ამის გამო არ უნდა ვაკრიტიკოთ და არც თვითონ აუტეხავთ განგაში. რაც ყველაზე მთავარია, ალემანებმა 3 ქულა მოიპოვეს, რითაც პროგრამა მინიმუმი შეასრულეს და ცოტათი გაერთნენ კიდეც. 12 გოლის გატანა კი აუცილებელი სულაც არ არის, მაგრამ გერმანელებს ზოგადად სჩვევიათ სუსტი მეტოქეების ბოლომდე გაცამტვერება და ამიტომაც გვიკვირს, 4 გოლითაც კმაყოფილები რომ ჩანდნენ. არადა, პირველი გოლი მეოთხე წუთზე გავიდა და ყველას ეგონა, რომ ყოველ 4 წუთში ერთხელ თითო გოლი გავიდოდა. ანგარიში კი **მიხაელ ბალაკმა** გახსნა ყუმბარისებური დარტყმით. გავიდა ხუთი წუთი და **მარსელ იანსენმა** მეორე გოლიც გაუტანა ლიხტენშტაინელებს და ეს ჰამბურგელისთვის რიგით მეორე გოლი გახლდათ ბუნდესგუნდში. მეცხრე წუთზე უკვე 2:0, მერე კი გერმანელებმა დაიძინეს. ყოველ შემთხვევაში, ლიოვის გუნდს პირველ ტაიმში მეტი ალარ გაუტანია და ამიტომაც იყო, ლაიპციგის სტადიონზე შეკრებილმა 43 400 ქომაგმა ერთი ხანობა სკანდირება რომ დაიწყო: „გაიღვიძეთ!"

მეორე ტაიმის დასაწყისში ალემანებმა კიდევ უცებ შეყარეს ორი გოლი და მერე ისევ ძილს მისცეს თავი. 48-ე წუთზე **ლუკას პოდოლსკის** დარტყმის შემდეგ ბურთი კარის ხაზს ისედაც კვეთდა, მაგრამ **ბასტიან შვაინშტაიგერმა** ფეხი მაინც შეაშველა, პოლდის გოლი მოპარა და თავის აქტივში ჩაიწერა. სამაგიეროდ, ზუსტად ორ წუთში შვაინიმ პოლდის ბოდიში საგოლე პასით მოუხადა და ახლა უკვე პოდოლსკიმ შეძლო ლიხტენშტაინელების კარის დალაშქვრა. ეს კი ლუკასისთვის 32-ე გოლი გამოვიდა (61 თამაშში) ნაკრებში, რითაც მან ლეგენდარული **კლაუს ფიშერი** უკან ჩამოიტოვა. პოდოლსკის გოლის შემდეგ ისეც მოხდა, რომ ლიხტენშტაინელები ცოტათი გააქტიურდნენ და თამაშში პირველად ჩაერთო გერმანელთა მეკარე **რობერტ ენკე** –

»»» 8

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

7 <<<

მან **ფრიკის** დარტყმა გააუვნებელყო. მოგვიანებით, ბუნდესგუნდის ლაიპციგელი ფანები სტადიონის ტაბლომ გაართო, რომელიც ინფორმაციას ხან ფერადად, ხანაც შავ-თეთრ ფერებში აჩვენებდა. მაგრამ მხოლოდ ტაბლო კი არა, ნორმალურად ვერც **მარიო გომესი** „ფუნქციონირებდა", რომელმაც არაერთი იდეალური მომენტი გაატანა ქარს. ამიტომაც იყო, საფინალო სასტვენის მოახლოვებასთან ერთად, ფანები „შტუტგარტის" ფორვარდს უფრო და უფრო ხშირად რომ უსტვენდნენ. ამ დროისთვის მათ უკვე დიდი ხნის დაკეცილი ჰქონდათ პლაკატი, რომელიც მატჩის დაწყებისას გაშალეს და რომელზეც ეს სიტყვები ეწერა: *„გააოცეთ მსოფლიო თქვენი ფეხბურთით!"*

იოახიმ ლიოვი: *„გულშემატკივრებმა ხანდახან უნდა მოგვიტევონ. ლიხტენშტაინი ის გუნდია, რომელთანაც 100 პროცენტით მოტივირებული ვერ იქნები და ძნელია, ფეხბურთელებს ასეთ სუსტ გუნდთან მაქსიმალური თავდადება და თავგანწირვა მოსთხოვო. მთავარი ის არის, რომ დავალება კარგად შეასრულეს და 3 ქულა მოვიპოვეთ. თანაც, ნამდვილად არ მგონია, რომ 4 გოლი ცოტაა!"*

**რუსეთი-აზერბაიჯანი 2:0**

**რუსეთი:** აკინფეევი, ვ. ბერეზუცკი, ანიუკოვი, იგნაშევიჩი, ჟირკოვი, ზირიანოვი, სემაკი (55. ძაგოევი), დენისოვი, სემშოვი, პავლიუჩენკო (72. პოგრებნიაკი), არშავინი.

**აზერბაიჯანი:** ველიევი, სადიგოვი, მელიქოვი, იუნისოღლუ, შუქუროვი, ბახშიევი, მახარამოვი, ფაბიო ლუიში (61. ლეანდრო გომეში), აბასოვი, შუბამიჩი (46. ჯავადოვი), ნადიროვი.

**გოლები:** 1:0 პავლიუჩენკო (32), 2:0 ზირიანოვი (71)

**მაყურებელი:** 68 780

გერმანიის ნაკრების უმთავრეს კონკურენტად ამ ჯგუფში თავიდანვე რუსეთის ნაკრები იყო მიჩნეული. საკვალიფიკაციო ეტაპმა ნახევარი მოილია და **გუუს ჰიდინკის** გუნდი ბუნდესნაკრების მთავარ კონკურენტად რჩება. აზერბაიჯანის ნაკრებმა, რომელსაც **ბერტი ფოგთსი** წვრთნის, რუსეთთან ვაჟკაცურად იბრძოლა, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდა. ეს გახლდათ აზერბაიჯანელთა მეოთხე მატჩი მიმდინარე შესარჩევში და მათ კვლავ ვერ შეძლეს გოლის გატანა. რუსებმა კი, **პავლიუჩენკოსა** (32-ე წუთზე) და **ზირიანოვის** (71) გოლების წყალობით, მესამე თამაში მოიგეს და მეორე ადგილზე არიან. არადა, მატჩის წინ ფოგთსი გერმანელებს დაპირდა, რუსებთან სენსაციის გამოსაცხობად ვიბრძოლებთ, რათა გერმანიის ნაკრებს დავეხმაროთო და თამაშის წინ თავის გუნდზე გვარიანი ზეწოლაც კი განახორციელა. ფოგთსმა **გურბანოვი** გუნდიდან იმის გამო მოკვეთა, რომ ამ უკანასკნელს ბოლო დროს ძალიან ხშირად ხედავდნენ მაკდონალდსში (!). მოკლედ, ფოგთსის გარჯამ შედეგი ვერ გამოილო და აზერბაიჯანი აზერბაიჯანად დარჩა, რუსები კი, მართალია, მორიგი გამარჯვებით აბსოლუტურად კმაყოფილები არიან, მაგრამ მაინც ძალიან ნერვიულობენ იმის გამო, რომ ჰიდინკი ორადაა გაყოფილი. როგორც იცით, ჰოლანდიელი თებერვლიდან ლონდონის „ჩელსის" თავკაცია და რუსებს არ მოსწონთ, მათი მწვრთნელი სხვა საქმით რომ არის დაკავებული. წესით, ჰიდინკმა „ჩელსის" ზაფხულამდე უნდა უთავკაცოს, მაგრამ ამას წინათ თქვა, ლონდონურ კლუბში მრჩევლის რანგში მუშაობა შემომთავაზესო. ოთხშაბათს რუსეთი ლიხტენშტაინს ეთამაშება და სავარაუდოა, რომ ამ თამაშსაც მოიგებს. ფოგთსის აზერბაიჯანელი ბიჭები კი ისვენებენ და გერმანელ მწვრთნელს შეუძლია, თავისი შეგირდები გოლის გატანაში ავარჯიშოს.

**უელსი-ფინეთი 0:2**

**უელსი:** ჰენესი, განტერი, კოლინზი, ნიატანგა, ბეილი, დეივისი, ფლეტჩერი (65. რობინსონი), ედუარდსი (56. რემსი), ლედლი (71. ერნშოუ), კუმასი, ბელამი.

**ფინეთი:** იასკელაინენი, პასანენი, ჰიიპია, ტიჰინენი, კალიო, იოჰანსონი, ჰეიკინენი, რ. ერიომენკო, ა. ერიომენკო (78. სიოლუნდი), ფორსელი (89. კუკი), ლიტმანენი.

**გოლები:** 0:1 იოჰანსონი (43), 0:2 კუკი (90)

**მაყურებელი:** 22 604

უელსის ნაკრებმა კი საკუთარ მოედანზე ფინეთთან 0:2 წააგო და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრისთვის ბრძოლას გამოეთიშა. ამრიგად, უელსელები ოთხშაბათს, გერმანიასთან შეხვედრაში საკუთარი იმიჯისთვის იბრძოლებენ და უნდა ითქვას, რომ ასეთ დროს ბრიტანელები განსაკუთრებით სახიფათონი არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ გერმანელები ფრთხილად უნდა იყვნენ. კარდიფში, „მილენიუმზე" ამ თამაშის სანახავად მხოლოდ 20 000 ქომაგი შეიკრიბა და მათ ნახეს, რომ უელსის ნაკრებს ფეხბურთის თამაში შეუძლია, მაგრამ ნაკრებიდან წასული **რაიან გიგზის** გარეშე, დამაგვირგვინებელ ფაზაში არ ჰყავთ მოთამაშე, რომელიც პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე აიღებს. უელსელებს ვერც „მანჩესტერ სიტის" ფორვარდი **კრეიგ ბელამი** შეეწია, მან ფინელების დაცვას ფაქტობრივად ვერაფერი მოუხერხა. ფინელებმა თამაში კონტრშეტევებზე ააგეს და ორჯერ იხეირეს. შესვენებამდე ანგარიში „ჰიბერნიანის" ფეხბურთელმა **ჯონათან იოჰანსონმა** გახსნა და ეს გოლი უელსელთა დაცვის ხაზის სინდისზეა, მატჩის მიწურულს კი შეცვლაზე შესულმა **შეფკი კუკიმ** მეორე გოლი გაუტანა ბრიტანელებს. ამ გამარჯვებით, ფინეთმა უელსი უკან მოიტოვა. ახლა, **ჯონ ტოშაკის** შეგირდებმა ოთხშაბათს (გერმანიასთან მატჩში) თავიანთ ფანებს უნდა დაუმტკიცონ, რომ ბრძოლისუნარიანები არიან. შეგახსენებთ, რომ სექტემბერში ბუნდესგუნდმა უელსს მიონხენგლადბახში 1:0 მოუგო და იმ შეხვედრაში ალემანთა მხრიდნა გამარჯვების გოლი **პიოტრ ტროხოვსკიმ** გაიტანა.


ევროპის ჩემპიონს მცველ პიკეს (მარცხნივ) გოლმა მოაგებინა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 5 | 4 | 1 | 0 | 16-4 | 13 |
| 2. რუსეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-3 | 9 |
| 3. ფინეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-6 | 7 |
| 4. უელსი | 5 | 2 | 0 | 3 | 4-5 | 6 |
| 5. აზერბაიჯანი | 4 | 0 | 1 | 3 | 0-4 | 1 |
| 6. ლიხტენშტაინი | 4 | 0 | 1 | 3 | 0-12 | 1 |

**1 აპრილი**

ლიხტენშტაინი-რუსეთი
უელსი-გერმანია

**V ჯგუფი**

**ესპანეთი-თურქეთი 1:0**

**ესპანეთი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, ალბიოლი, პიკე, კაპდევილია, ჩავი, სენა, ჩაბი ალონსო, კასორლა (78. სილვა), ვილია (63. მატა), ტორესი (88. ლორენტე).

**თურქეთი:** ვოლქანი, გოხან გონული, ემრე აშიქი, ჰაქან ბალთა, იბრაჰიმ უზულმეზი, თუნჯაი, მეჰმეთ აურელიო, ემრე ბელოზოლუ (84. საბრი), არდა (78. გოხან უნალი), ნიჰათი, სემიჰი (57. აიჰანი).

**გოლი:** 1:0 პიკე (60)

**მაყურებელი:** 74 556

ესპანეთის ნაკრების გამარჯვება რამდენიმე მიზეზის გამო განსაკუთრებით ღირებულია. ყველაზე მთავარი ის არის, რომ მორიგი სამი ქულის მოპოვებით, სელექსიონმა 2010 წლის მუნდიალზე მოხვედრის შანსი გაიუმჯობესა. გარდა ამისა, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ პირენეელებმა ზედიზედ მეათე შეხვედრა მოიგეს. ეს წარმატებული სვლა ევრო 2008-ზე იტალიასთან მეოთხედფინალურ მატჩში მიღწეული საყაიმო შეხვედრის შემდეგ დაიწყო. იმ დღიდან მოყოლებული ესპანელებმა რუსეთი, გერმანია, დანია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, სომხეთი, ესტონეთი, ბელგია, ჩილე, ინგლისი და თურქეთი დაამარცხეს. მოდით, ხაზი გავუსვათ, რომ ზედიზედ ათი გამარჯვება სელექსიონისთვის სარეკორდო მაჩვენებელია. დიახ, ასეთი წარმატება ესპანელებს მანამდე არსებობის განმავლობაში არასოდეს ჰქონიათ. შაბათის შეხვედრამდე მათი საუკეთესო მაჩვენებელი ზედიზედ ცხრა მოგებული მატჩი გახლდათ. სხვათა შორის, ასეთი შედეგი ეროვნულ გუნდს ორჯერ ჰქონდა. პირველად შორეულ 1924-1927 წლებში. მაშინ ფეხბურთი ასეთი პოპულარული არ იყო და შესაბამისად სეზონში ცოტა რაოდენობის შეხვედრა იმართებოდა. მეორედ ესპანელებმა ზედიზედ ცხრაჯერ გამარჯვება 2007-08 წლების განმავლობაში შეძლეს. როგორც მოსალოდნელი იყო, **ვისენტე დელ ბოსკეს** ბიჭებმა მორიგი გამარჯვება იზეიმეს. სტატისტიკის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ ეს გუნდი 2006 წლის 15 ნოემბრის შემდეგ ერთხელაც არ დამარცხებულა. მაშინ სელექსიონს ამხანაგურ დაპირისპირებაში რუმინეთის ნაკრებმა აჯობა. აქვე მოგახსენებთ, რომ პირენეელები ზედიზედ 30 შეხვედრაში არ დამარცხებულან. თუ ისინი მორიგ მატჩსაც არ წააგებენ, **ხავიერ კლემენტეს** ხანაში დამყარებულ რეკორდს გაიმეორებენ.

შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ესპანეთი მომდევნო ორ თამაშში არ დამარცხდება, კიდევ ერთ ყველა დროის რეკორდს დაამყარებს.

როგორც ხედავთ, წარმატება წარმატებას მოსდევს, თუმცა გვსურს **დავიდ ვილიას** უმნიშვნელო წარუმატებლობაზეც გავამახვილოთ ყურადღება. „ვალენსიას" ფორვარდმა მოედანზე 63 წუთი გაატარა და გასახდელში გატანილი გოლის გარეშე გავიდა. არადა, მანამდე სელექსიონის ვარსკვლავს ზედიზედ ექვს შეხვედრაში ჰქონდა გატანილი. დავიდს რომ გამართლებოდა და მეშვიდე დაპირისპირებაშიც გაეტანა, **ემილიო ბუტრაგენიოს** მაჩვენებლს გაიმეორებდა. „რეალის" ლეგენდარულ ფორვარდს ეროვნულ გუნდში 26 გოლი აქვს გატანილი. ვილიას გული არ უნდა დასწყდეს, რადგან ბუტრაგენიოსთან გათანაბრების შანსი ძალიან მალე, თურქეთთან გასვლით შეხვედრაში მიეცემა.

ახლა უშუალოდ შაბათის დაპირისპირების დეტალებზეც ვისაუბროთ. შევეცდებით, სათქმელი მაქსიმალურად მოკლედ ჩამოვაყალიბოთ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მასპინძლებს საუკეთესო შეხვედრა ნამდვილად არ ჩაუტარებიათ. 90 წუთის განმავლობაში მათ მრავალი პრობლემა შეექმნათ. თურქებს გოლის გატანის რამდენიმე რეალური შანსი ჰქონდათ. მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. დელ ბოსკეს ბიჭებს შეტევაში სიმწვავე აკლდათ. „სანტიაკო ბერნაბეუზე" შეკრებილმა გულშემატკივრებმა ჯადოსნური ესპანური კომბინაციები ვერ იხილეს, თუმცა მიუხედავად ყველაფრისა, სელექსიონის მაღალი კლასი შესამჩნევი და თვალხილული იყო. გამარჯვების ბურთი სტანდარტული მდგომარეობის გათამაშებას მოჰყვა. ჯარიმა **ჩავი ერნანდესმა** გაათამაშა, **სერხიო რამოსმა** გატანა სცადა, მაგრამ ბურთი **ჟერარდ პიკესთან** მივიდა. „ბარსელონას" მცველმა თურქები აღარ დაინდო და ძალიან მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ვისენტე დელ ბოსკემ ასეთი რამ განაცხადა: *„ძალიან რთული მატჩი გვქონდა. ეს პირველ რიგში იმის ბრალია, რომ სტუმრებმა უდიდესი წინააღმდეგობა გაგვიწიეს. დიდი ხანია, ესპანეთის წინააღმდეგ ასე გამართულად და ორგანიზებულად არავის უთამაშია. იძულებული ვარ, ვაღიარო, რომ სელექსიონის ნაკრების მთავარ მწვრთნელად ჩემი დანიშვნის შემდეგ გუნდმა ყველაზე უსახური შეხვედრა ჩაატარა. მადლობა ღმერთს, მეორე ტაიმი მეტ-ნაკლებად კარგად ჩავატარეთ. ყოველ შემთხვევაში, თურქებს გოლის გატანის შანსი აღარ ჰქონიათ. სამაგიეროდ ჩვენ გავიტანეთ და გავიმარჯვეთ. მთავარი მაინც შედეგი იყო. ყოველთვის უმაღლეს დონეზე ვერ ითამაშებ. ამიტომ ვამბობ, რომ შედეგი იყო მთავარი".*

სტუმართა მთავარი მწვრთნელი **ფათიჰ თერიმი** იმედგაცრუებული ჩანდა, თუმცა იმედი მას ძალიან მალე დაუბრუნდა:


ბალაკი ხსნის ანგარიშს

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დღეს ოდნავ მეტად რომ გაგვმართლებოდა, არ წავაგებდით. პირველ ტაიმში აშკარა უპირატესობას ვფლობდით. ამის გათვალისწინებით, ვერ ვიტყვი, რომ ესპანელებმა დამსახურებულად მოიგეს. შედეგით იმედგაცრუებული ვარ, თუმცა მზად ვარ ვაღიარო, რომ მეორე ტაიმში, განსაკუთრებით კი ანგარიშის გახსნის შემდეგ ესპანეთი ბევრად უკეთ ათამაშდა. არა უშავს, შეიძლება უცნაურად ჟღერს, მაგრამ იმედგაცრუება ნელ-ნელა მტოვებს და ჩემს სხეულს იმედი იპყრობს. იცით რატომ? იმიტომ, რომ თურქეთის ეროვნულ გუნდს ესპანეთის ნაკრების დამარცხების უნარი შესწევს. საშინაო შეხვედრაში ამის დასამტკიცებლად ყველაფერს გავაკეთებთ".

**ბელგია–ბოსნია 2:4**

**ბელგია:** სტიინენი, დემსი (79. დე სუტერი), ვერმალენი, სვერტსი, სიმონსი, მუდინგაი, დეფური (59. პოკონიოლი), ფელაინი, დე კამარგო (46. ჰაზარდი), დემბელე, სონკი.

**ბოსნია:** სუპიჩი, ბერბეროვიჩი, სპაჰიჩი (59. მრავაცი), იაჰიჩი, ნადარევიჩი, პანჯა, მურატოვიჩი, მისიმოვიჩი, იბრიჩიჩი, მუსლიმოვიჩი (69. ბაირამოვიჩი), ჯეკო.

**გოლები:** 0:1 ჯეკო (7), 1:1 დემბელე (65), 1:2 იაჰიჩი (74), 1:3 ბაირამოვიჩი (80), 1:4 მისიმოვიჩი (86), 2:4 სონკი (89-პენ)

**მაყურებელი:** 20 800

ბელგიაში მოპოვებული გამარჯვების წყალობით, ბოსნიელებმა 2010 წლის მუნდიალის დაკვნით ეტაპზე მოხვედრის შანსი შეინარჩუნეს. ყველას ესმის, ამ საქმეში ფავორიტები ესპანელები და თურქები არიან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომელიმე გუნდმა სანუკვარი მიზნისთვის ბოლომდე არ იბრძოლოს. ბელგია საშუალო დონის ევროპულ ნაკრებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე არასტაბილური და ძნელად წინასწარმეტყველებადი გუნდია. **მიროსლავ ბლაჟევიჩის** ბოსნია ხელწამოსაკრავი გუნდი ნამდვილად არ გახლავთ, მაგრამ საშინაო შეხვედრაში თავმოყვარე ნაკრებმა ოთხი გოლი მსოფლიო გრანდებთანაც არ უნდა გაუშვას. შაბათს კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ბელგიელებს სამხრეთ ამერიკაში არაფერი ესაქმებათ. ისინი მუნდიალზე თამაშს უბრალოდ არ იმსახურებენ.

სტუმრები ძალიან მალე დაწინაურდნენ. ვერ ვიტყვით, რომ მეშვიდე წუთზე **ედინ ჯეკოს** მიერ გატანილმა სწრაფმა გოლმა მატჩის სცენარზე გადამწყვეტი გავლენა იქონია. ბელგიამ წონასწორობის აღდეგნა შეძლო, **მუსა დემბელემ** ამ საქმეს 65-ე წუთზე მოაბა თავი. მასპინძლებს თამაშის მოსაგებად საკმარისი დრო ჰქონდათ, მაგრამ შუახაზმა და დაცვამ იმდენად ამაზრზენად იასპარეზა, მადლობელი უნდა იყვნენ, კატასტროფული ანგარიშით რომ არ წააგეს.

**სომხეთი–ესტონეთი 2:2**

**სომხეთი:** ბერეზოვსკი, ჰოვსეპიანი, არზუმანიანი, მინასიანი, მკრტჩიანი, პაჩანიანი (81. იედიგარიანი), ვოსკანიანი (46. გაზარიანი), არაქელიანი, ართ. კარამიანი, მხითარიანი, არმ. კარამიანი.

**ესტონეთი:** პარეიკო, იააგერი, რანი, პიიროია, კლავანი, დმიტრიევი, ვუნკი, ვასილიევი (86. სააგი), კინკი, ლინდპერე (74. პური), ვოსკობოინიკოვი (46. ზენიოვი).

**გოლები:** 1:0 მხითარიანი (32), 1:1 ვასილიევი (35), 1:2 ზენიოვი (67), 2:2 გაზარიანი (88)

**მაყურებელი:** 8 000

მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრაში ერთბაშად ოთხი გოლი გავიდა, გაგვიჭირდება იმის თქმა, რომ სანახაობრივი მატჩი გაიმართა. ამის მიზეზი, ალბათ, დაბალი ტემპი და სიფრთხილე გახლდათ. ეს ყველაფერი განსაკუთრებით დაპირისპირების დებიუტში იყო შესამჩნევი. ანგარიშის გახსნის შანსი პირველად მასპინძლებს მიეცათ, **არმან კარამიანმა** საშუალო მანძილიდან დაარტყა, მაგრამ ესტონეთი მაშინ **სერგეი პარეიკომ** გადაარჩინა. ცოტა ხანში ბალტიელებმა შექმნეს 100-პროცენტიანი მომენტი, თუმცა **ლინდპერეს** თავური დარტყმის შემდეგ ბურთი ძელს მოხვდა. 31-ე წუთზე სომხებს ძალიან გაიმართლეათ. **ჰენრიხ მხითარიანმა** ძლიერად დაარტყა, მეკარემ მის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. სტუმრებმა მალე გაათანაბრეს. **კონსტანტინ ვასილიევმა** დაახლოებით 25 მეტრიდან შეაგდო. ესტონეთი გამარჯვებასთან ძალიან ახლოს იყო. 69-ე წუთზე შეცვლაზეშესულმა **სერგეი ზენიოვმა** სომეხი მცველების შეცდომით ისარგებლა და **ბერეზოვსკისთან** ერთი-ერთზე გასვლის შემდეგ გოლი გაიტანა. საფინალო სასტვენამდე სულ რაღაც ოთხი წუთი რჩებოდა, როცა გევორქ კაზარიანის მიერ დარტყმული ბურთი **რიახნომ** მოგერია, მაგრამ მსაჯების აზრით, ბურთმა მანამდე კარის ხაზი გადაკვეთა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 11-1 | 15 |
| 2. ბოსნია | 5 | 3 | 0 | 2 | 16-6 | 9 |
| 3. თურქეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 5-3 | 8 |
| 4. ბელგია | 5 | 2 | 1 | 2 | 9-9 | 7 |
| 5. ესტონეთი | 5 | 0 | 2 | 3 | 4-15 | 2 |
| 6. სომხეთი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-14 | 1 |

**1 აპრილი**

ესტონეთი-სომხეთი
თურქეთი-ესპანეთი
ბოსნია-ბელგია

**VII ჯგუფი**

**ლიტვა–საფრანგეთი 0:1**

**ლიტვა:** კარჩემარსკასი, შემბერასი, დედურა, სკერლა, სავენასი (65. ივაშკევიჩუსი), ე. ჩესნაუსკისი (85. მიკოლაიუნასი), დანილევიჩუსი, სერნასი, კლიმავიჩუსი, პანკა (81. პოშკუსი), დ. ჩესნაუსკისი.

**საფრანგეთი:** მანდანდა, სანია, გალასი, სკილაჩი, ევრა, ლ. დიარა, ტულალანი, გურკუფი (78. ნასრი), რიბერი, ანრი, ლუინდულა (64. ბენზემა).

**გოლი:** 0:1 რიბერი (67)

**მაყურებელი:** 9 000

ამ შეხვედრაში ფავორიტი, რა თქმა უნდა, ფრანგები იყვნენ. მათ გაიმარჯვეს კიდეც, მაგრამ კაუნასში იოლ გასეირნებას არავინ ელოდებოდა. ლიტვა გრანდთა კატეგორიას არასოდეს განეკუთვნებოდა, მაგრამ ჯანმრთელი და ძალისმიერი ფეხბურთელების წყალობით, ეს გუნდი თითქმის ყოველთვის ღირსეულად იბრძვის. ასე იყო ამჯერადაც. კლასში უდიდესი განსხვავების მიუხედავად, მასპინძლებმა თავი არ შეირცხვინეს და მინიმალური სხვაობით წააგეს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ბალტიელები ფრანგებს ოპტიმალური შემადგენლობით ვერ დაუხვდნენ. ტრავმის გამო ორთაბრძოლა ლიტველთა ერთ-ერთმა ლიდერმა **მარიუს სტანკიავიჩუსმა** გამოტოვა. დაცვაში ის ნომინალურმა ნახევარმცველმა **დეივიდას ჩესნაუსკისმა** შეცვალა. სტუმრები მსაჯის სასტვენისთანავე შეტევაში გადავიდნენ. **ლუინდულამ** საგოლე მომენტი უკვე მეშვიდე წუთზე შექმნა, თუმცა მის მიერ დარტყმული ბურთი მეკარემ მოიგერია. სიმბოლურია, რომ გამარჯვების მომტანი გოლი **ფრანკ რიბერის** ანგარიშზე ჩაიწერა. „ბაიერნის" ვარსკვლავი ყველაზე აქტიური იყო. რომ არ გამოგვრჩეს, გეტყვით, რომ გოლის გატანა ლიტველებსაც შეეძლოთ, მაგრამ 35-ე წუთზე **დარვიდასს შარნასს** არ გაუმართლა. შეხვედრის ერთადერთი გოლი კი მეორე ტაიმში 67-ე წუთზე გავიდა. რიბერიმ საჯარიმო მოედანში კარგი გადაცემა მიიღო და ძლიერი დარტყმით საფრანგეთს ჰაერივით საჭირო სამი ქულა შესძინა.

**რუმინეთი–სერბეთი 2:3**

**რუმინეთი:** ლობონტი, კონტრა, დ. სტოიკა, რადოი, რაცი, ვასილიჩი (76. მ. ნიკულაე), ტამაში, კოდრეა (46. ტანასე), კოსტეა (63. ბუკური), მარიკა, მუტუ.

**სერბეთი:** სტოიკოვიჩი, ობრადოვიჩი, დრაგუტინოვიჩი, ვიდიჩი, ივანოვიჩი, იოვანოვიჩი (62. იანკოვიჩი), მილიაში, სტანკოვიჩი, კრაშიჩი, პანტელიჩი (66. სუბოტიჩი), ჟიგიჩი.

**გოლები:** 0:1 იოვანოვიჩი (18), 0:2 დ. სტოიკა (44-საკ. კარში), 1:2 მარიკა (50), 1:3 ივანოვიჩი (59), 2:3 დ. სტოიკა (74)

**მაყურებელი:** 13 000

სერბებმა ღირსეულად კი ითამაშეს, მაგრამ თუ ობიექტურად ვიმსჯელებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ რუმინელები წაგებას არ იმსახურებდნენ. მასპინძლებმა მეორე ტაიმში უამრავი საგოლე მომენტი შექმნეს. ისინი თავქუდმოქლეჯით უტევდნენ და ლამაზ კომბინაციებს ათამაშებდნენ. მათ ფატალურად არ გაუმართლათ, თორემ სულ მცირე ერთ ქულას მოიპოვებდნენ. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ თამაშის მოსაგებად მხოლოდ ერთი ტაიმის მაღალ დონეზე ჩატარება არ კმარა. პირველ ნახევარში რუმინელებმა უამრავი შეცდომა დაუშვეს. ამის გამო მათ ორი გოლი გაუშვეს და ფაქტობრივად, გადაუჭრელი ამოცანის წინაშე აღმოჩნდნენ. მე-17 წუთზე **მილან იოვანოვიჩმა** ანგარიში გახსნა. შესვენებამდე ერთი წუთით ადრე კი **დორელ სტოიკამ** ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. მეორე ტაიმში **ჩიპრიან მარიკამ** ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა. სტუმრებმა რამდენიმე წუთში ისევ მოახერხეს ორბურთიანი სხვაობის აღდგენა. დარჩენილი 30 წუთი რუმინელებს ერთადერთი გოლის გასატანადლა ეყოთ.



საფრანგეთი და დომენეკი რიბერიმ გადაარჩინა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სერბეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 12-5 | 12 |
| 2. ლიტვა | 5 | 3 | 0 | 2 | 6-4 | 9 |
| 3. საფრანგეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-6 | 7 |
| 4. ავსტრია | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| 5. რუმინეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| 6. ფარერები | 4 | 0 | 1 | 3 | 1-5 | 1 |

**1 აპრილი**

ავსტრია-რუმინეთი
საფრანგეთი-ლიტვა

**IX ჯგუფი**

**ჰოლანდია–შოტლანდია 3:0**

**ჰოლანდია:** სტეკელენბურგი, ვან დერ ვილი, ოოიერი, მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი, ვან ბომელი, დე იონგი (80. შაარსი), კუიტი, ვან პერსი (65. სნეიდერი), რობენი, ჰუნტელაარი (80. აფელაი).

**შოტლანდია:** მაკგრეგორი, ალექსანდერი (73. ჰატონი), ბერა, კოლდუელი, ნეისმიტი, მაკკორმაკი, დ. ფლეტჩერი, ფერგიუსონი, ბრაუნი, ტილი (85. მორისონი), მილერი (71. ს. ფლეტჩერი).

**გოლები:** 1:0 ჰუნტელაარი (30), 2:0 ვან პერსი (45), 3:0 კუიტი (76-პენ)

**მაყურებელი:** 49 552

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვი, რომ **ბერტ ვან მარვიიკის** შეგირდებმა უკვე გაინაღდეს მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური. ამ ჯგუფში მათი გამჩერებელი არავინ ჩანს. უახლოეს კონკურენტთან მათ უკვე 8-ქულიანი უპირატესობა აქვთ. შაბათს „ამსტერდამ არენაზე" „ნარინჯისფრებმა" შოტლანდია აბურთავეს და მასხრად აიგდეს - მასპინძლები მხოლოდ დრო და დრო ცდილობდნენ თამაშის გამწვავებას და პრაქტიკულად, რამდენჯერაც მოინდომეს, იმდენჯერ გაიტანეს. ისინი ძირითადად ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე ცდილობდნენ მომენტების შექმნასა და გოლების გატანას.

შეხვედრის ბედი პირველსავე ტაიმში გაირკვა. ჰოლანდიელებმა პირველ 45 წუთში ორბურთიანი უპირატესობა დაიბევეს. ანგარიში შეხვედრის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის, **მარკ ვან ბომელის** პასის შემდეგ **კლაას იან ჰუნტელაარმა** გახსნა. ის აკრობატულ ნახტომში მისწვდა ბურთს და კარში გადაგზავნა. **რობინ ვან პერსიმ** კი **არიენ რობენის** კუთხურს შეაგება თავი. დაცვის მარჯვენა ფლანგზე ბრწყინვალედ გაისარჯა „აიაქსის" 21 წლის უნივერსალი **გრეგორი ვან დერ ვილი.** კარში ისევ **მაარტენ სტეკელენბურგი** იდგა, რომელიც ზამთრის პაუზის შემდეგ „აიაქსში" მუდმივად სკამზე ზის.

შოტლანდიელებს მე-12 წუთზე შეეძლოთ თავის გამოჩენა, მაგრამ **კენი მილერის** დარტყმას დროულად გადაეფარა **იორის მატიისენი.** სტუმრებს მთელი 90 წუთის განმავლობაში სერიოზული პრობლემები ჰქონდათ თამაშის ორგანიზებასთან დაკავშირებით. აი, რა განაცხადა შეხვედრის შემდეგ **ბერტ ვან მარვიიკმა:** *„ჩვენი შანსები მშვენივრად გამოვიყენეთ, მაგრამ პირველ ტაიმში თამაშის ტემპი ძალზე დაბალი იყო. თანაც, შოტლანდიელებს შუა ხაზში ხუთი ნახევარმცველი ჰყავდათ, ჩვენ კი ვერაფრით ვახერხებდით მათი წინააღმდეგობის გადალახვას. ბოლომდე კმაყოფილი დავრჩი მხოლოდ მარკ ვან ბომელისა და ნაიჯელ დე იონგის თამაშით. სწორედ მათ უზრუნველყვეს გუნდის თამაშში სტაბილურობა. თუმცა იმის მაგივრად, რომ ბურთი წინ ვან პერსისა და რობენისთვის გადაგვეწოდებინა, გადაცემების უმრავლესობა, რატომღაც, უკან კეთდებოდა. მსოფლიოს ჩემპიონატისკენ დიდი ნაბიჯი გადავდგით, მაგრამ ამით ჯერ არაფერი დამთარებულა".*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 4 | 4 | 0 | 0 | 8-1 | 12 |
| 2. ისლანდია | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 3. შოტლანდია | 4 | 1 | 1 | 2 | 2-5 | 4 |
| 4. მაკედონია | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| 5. ნორვეგია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |

**1 აპრილი**

შოტლანდია-ისლანდია
ჰოლანდია-მაკედონია

მოამზადეს
**შალვა ბიბილაშვილმა**
**ილია ნიკოლაიშვილმა**
**გოტფრიდ ლენცმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთ ამერიკა. XI ტური

# მარადონას ბრწყინვალე დებიუტი

## ურუგვაიმ ლიდერი პირწმინდად დაამარცხა

**არგენტინა–ვენესუელა 4:0**

**არგენტინა:** კარისო, ძანეტი, ანგელერი, ჰაინცე, მაქსი როდრიგესი (74. დი მარია), მასკერანო, გაგო, გუტიერესი, მესი, ტევესი (70. ვერონი), აგუერო (78. დიეგო მილიტო)

**ვენესუელა:** ვეგა, ჩაკონი, ველასკესი, სიჩერო, ფუენმაიორი, როსალესი (48. მორენო), რინკონი, გონსალესი, როხასი (83. აკოსტა), არანგო, მალდონადო (79. ფლორესი).

**გოლები:** 1:0 მესი (26), 2:0 ტევესი (47), 3:0 მაქსი როდრიგესი (52), 4:0 აგუერო (73)

**მაყურებელი:** 50 000

არგენტინამ ვენესუელა დააჩოქა. ეს, რა თქმა უნდა, მოსალოდნელი იყო. სტუმართა გამარჯვებას არავინ ელოდა. ამ შეხვედრის მთავარი ინტრიგა **დიეგო არმანდო მარადონა** გახლდათ. ყველას კარგად გახსოვთ, რომ შაბათს ლეგენდარულმა არგენტინელმა ალბისელესტეს მთავარი მწვრთნელის რანგში პირველი ოფიციალური შეხვედრა ჩაატარა. წინა ორი ორთაბრძოლა ამხანაგური ხასიათის გახლდათ. შოტლანდიისა და საფრანგეთის გასვლაზე დამარცხება მაშინ სათანადოდ შეფასდა, მაგრამ ფაქტია, რომ ნებისმიერი ამხანაგური პაექრობა ოფიციალური დაპირისპირებების მოსამზადებლად უნდა იყოს გამოყენებული. ამიტომ, დიეგოს პირველმა საკვალიფიკაციო მატჩმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. ვენესუელასთან ბრძოლას **ხუან რომან რიკელმეს** სკანდალური გადაწყვეტილება უძღვოდა წინ. ნაკრებიდან მისი წასვლა „ბოკა ხუნიორსის" გულშემატკივრებმა მარადონას დააბრალეს, თუმცა მას არაფერი დაუშავებია. მიუხედავად ამისა, ლეგენდარული კაცი სერიოზულ წნეხში მოექცა და საზოგადოებას ახსნა-განმარტებითაც მიმართა. მიმომხილველების ერთ ნაწილს ეშინოდა, რომ წნეხით დათრგუნული დიეგო ალბისელესტეს საკადრისად ვერ მოამზადებდა და ეროვნული გუნდი ვენესუელასთან მოულოდნელ პრობლემებს წააწყდებოდა.

სკეპტიკოსთა ვარაუდი და შიში არ გამართლდა. არგენტინამ გენიალურად იასპარეზა და ვენესუელა მიწასთან გაასწორა. ჯერ მხოლოდ გოლების ავტორებს გადაავლეთ თვალი. ოთხივე ბურთი მსოფლიო ფეხბურთის კაშკაშა ვარსკვლავების ანგარიშზე ჩაიწერა. გულწრფელად უნდა ითქვას, რომ მარადონამ არაჩვეულებრივი ტაქტიკა შეიმუშავა. მაშინ, როცა სტუმრები ყველაზე დიდ საფრთხეს **ლეო მესისგან** ელოდნენ, რეალურად დიადი ტრიოს, **მასკერანოს, გაგოსა** და **მაქსი როდრიგესის** ფანტასტიკური თამაშის მსხვერპლი გახდნენ. ამ ნახევარმცველებმა უდიდესი სამუშაო შეასრულეს. ისინი შეტევებს შლიდნენ, საკუთარი გუნდის იერიშებს იწყებდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ თავდასხმასა და დაცვას საქმე მნიშვნელოვნად გაადვილებოდათ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ტრიომ დაკისრებულ ამოცანას პირნათლად გაართვა თავი. მართალია, ვენესუელა არც ბრაზილიაა და არც რომელიმე სხვა გრანდი, მაგრამ ფაქტია, ამ საკვალიფიკაციო შეხვედრაში მასპინძლებს რიკელმეს არყოფნა ოდნავადაც არ დატყობია. ეს ყველაფერი ისევ და ისევ მარადონას ბრწყინვალე ჩანაფიქრისა და ნახევარდაცვის გენიალური თამაშის დამსახურებაა. გოლების დაწვრილებით აღწერა ძალიან შორს წაგვიყვანს. აზრიც არ აქვს, ისედაც თვალხილული და აშკარაა, რომ ალბისელესტემ სამხრეთამერიკული ფეხბურთის ერთ-ერთი აუტსაიდერი პირწმინდად გაანადგურა.

მარადონამ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ასეთი რამ თქვა: *„ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი ვარ. მიმაჩნია, რომ არგენტინამ დღეს სამაგალითო ფეხბურთი აჩვენა. ამ ყველაფერს გარკვეული შეცდომების მიუხედავად ვაცხადებ. დამეთანხმებით, მოწინააღმდეგე ყველა კომპონენტში დავჩაგრეთ და სამი ქულა სამართლიანად მოვიპოვეთ. მთელი შეკრების განმავლობაში ინტენსიურად ვმუშაობდით. ობიექტური მიზეზების გათვალისწინებით, ბევრი დრო არ გვქონდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, დიდი სამუშაო შევასრულეთ. ჩემი აზრით, ნახევარდაცვაში ყველაზე დიდი შედეგი გვქონდა. გაგოსა და მასკერანოს მაქსი არაჩვეულებრივად ეხმარებოდა. საყრდენი ნახევარმცველები მხოლოდ დაცვითი ფუნქციების შესრულებით არ იყვნენ დაკავებული. მე თავიდანვე განვაცხადე, რომ ალბისელესტე აქცენტს შეტევაზე გააკეთებდა. მარადონას სიტყვის გატეხა არ უყვარს. როგორც ხედავთ, პირობა შევასრულეთ და დიდი ანგარიშით გავიმარჯვეთ. გულშემატკივრებზე საგანგებოდ მინდა ვისაუბრო. თავიდან „მონუმენტალი" ყინულივით ცივი იყო. შემეშინდა, ინჩასებს რა სჭირთმეთქი, მაგრამ როგორც კი ტემპს მოვუმატეთ და დიდი ძალებით შევუტიეთ, სტადიონზე სტუმრებისთვის ჯოჯოხეთის კოცონი დაენთო. ჩვენმა ინჩასებმა არა მხოლოდ მე-12, არამედ მე-13, მე-14 და თუ გნებავთ, მე-15 ფეხბურთელის ფუნქციაც შეასრულეს. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის".*

რიკელმეს წასვლის გამო ალბისელესტეს 10-ნომრიანი მაისურა გენიალური ფორვარდის ლეო მესის ნადავლი გახდა. „ბარსელონას" სუპერვარსკვლავს ყველასთვის სანუკვარი მაისურის ხელში ჩაგდებით გამოწვეული სიხარული არ დაუმალავს:

*„10 ნომერი ჩემში იმხელა ემოციასა და სიხარულს იწვევს, რომ ჩემი განწყობის სიტყვებით გამოცემა გამიჭირდება. ძალიან მიხარია, რომ ლეგენდარული მაისურა გადმომცეს. იმედია, არავინ იტყვის, მესის ეს მაისურა იმდენად უნდოდა, რიკელმეს ნაკრებიდან წასვლა გაუხარდაო. არავითარ შემთხვევაში. უბრალოდ, რომანის გადაწყვეტილების შემდეგ 10-ნომრიანი მაისურა გათავისუფლდა და მადლობელი ვარ, რომ მე მომცეს. დღევანდელ შეხვედრას რაც შეეხება, მგონი, ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. არგენტინა მოწინააღმდეგეზე ორი თავით მაღლა იდგა. ვენესუელას უკლებლივ ყველა კომპონენტში ვაჯობეთ და რა თქმა უნდა, სრულიად დამსახურებულად მოვიგეთ".*

**ურუგვაი–პარაგვაი 2:0**

**ურუგვაი:** ვიერა, ლუგანო, გოდინი (80. რამონ სილვა), ხოსე კასერესი, ვიქტორ პერეირა, პერესი, ვასკესი, ალვარო პერეირა, კრისტიან როდრიგესი (71. ბარიოსი), სუარესი, ფორლანი (78. აბრეუ).

**პარაგვაი:** ვილიარი, ვერონი, ხულიო კასერესი, პაულო და სილვა, ტორესი (57. სამუდიო), ბარეტო, ვერა (68. კარდოსო), რივეროსი, ესტიგარიბია (46. აკინო), კაბანიასი, ნელსონ ვალდესი.

**გოლები:** 1:0 ფორლანი (28), 2:0 ლუგანო (56)

**მაყურებელი:** 60 000

ურუგვაიმ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა. უფერული და უმნიშვნელო გამარჯვება, ალბათ, არ არსებობს, მაგრამ სელესტეს წარმატება რა თქმა უნდა, იმით არის გამორჩეული, რომ **ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესის** ბიჭებმა სამხრეთი ამერიკის შესარჩევი ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერი პარაგვაი დაამარცხეს. სელესტეს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის თითქმის მთელ მატჩის განმავლობაში გააზრებულად და მიზანმიმართულად თამაშობდა. როგორც ჩანს, სენიორ ტაბარესს ბოლო სამი ვარჯიში საზოგადოებისთვის ტყუილად არ დაუხურავს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სტუმრები მასპინძელთა აგრესიული ტაქტიკის წინააღმდეგ სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდნენ და შეხვედრა პირწმინდად წააგეს.

ვაშინგტონმა ჟურნალისტებთან საუბრისას კმაყოფილება არ დამალა:



*„ძალიან მიხარია, რომ ეს მნიშვნელოვანი თამაში მოვიგეთ. ბიჭებს ვეუბნებოდი, გამარჯვების გარდა, არაფერზე იფიქროთ, ფრე ჩვენთვის წაგების ტოლფასია-მეთქი. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, მართლაც ასეთ მძიმე სიტუაციაში ვიმყოფებოდით. დალხინებული არც ახლა ვართ, მაგრამ ლიდერის დამარცხება ყოველთვის სასიხარულო და საამაყოა. თანაც, სამ ქულას პრაგმატული თვალსაზრისითაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა ისღა დაგვრჩენია, ენერგია მოვიკრიბოთ და მომავალი შეხვედრისთვის მთელი სერიოზულობით მოვემზადოთ."*

**კოლუმბია–ბოლივია 2:0**

**კოლუმბია:** ოსპინა, სუნიგა, საპატა, იეპესი, არმერო, ვარგასი, აგილარი, მარინი, ტორესი (69. მოტა), კინტერო (78. როდალეგა), გარსია (70. რენტერია).

**ბოლივია:** არიასი, ოიოსი, პენია, რივერო, გუტიერესი, რონალდ გარსია, რობლესი (46. ტორიკო), ფლორესი, ვაკა (77. ურტადო), ესკობარი, კაბრერა (67. კასტილიო).

**გოლები:** 1:0 ტორესი (26), 2:0 რენტერია (88)

**მაყურებელი:** 27 000

კოლუმბიამ ბოლივიის დამარცხების წყალობით სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა. ეს სამი ქულა მათ მუნდიალზე მოხვედრის შანსს უტოვებს, თუმცა სიმართლე ითქვას, კოლუმბიას 2010 წლის მუნდიალის საგზურის მოპოვება ძალიან გაუჭირდება. კი ბატონო, იბრძოლონ ბოლო ამოსუნთქვამდე, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში მიზანი მიღწეული იქნება. ასეა თუ ისე, კოლუმბიამ გაიმარჯვა და ეს აუცილებლად უნდა დავაფასოთ. გამარჯვების გოლები **ტორესისა** და **რენტრიას** ანგარიშზე ჩაიწერა.

**ილია ნიკოლაიშვილი**

| | |
|---|---|
| პერუ-ჩილე | გადაიდო |
| ეკვადორი-ბრაზილია | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პარაგვაი | 11 | 7 | 2 | 2 | 18-8 | 23 |
| 2. არგენტინა | 11 | 5 | 4 | 2 | 17-7 | 19 |
| 3. ბრაზილია | 10 | 4 | 5 | 1 | 15-4 | 17 |
| 4. ურუგვაი | 11 | 4 | 4 | 3 | 21-10 | 16 |
| 5. ჩილე | 10 | 5 | 1 | 4 | 14-13 | 16 |
| 6. კოლუმბია | 11 | 3 | 5 | 3 | 6-8 | 14 |
| 7. ეკვადორი | 10 | 3 | 3 | 4 | 12-17 | 12 |
| 8. ვენესუელა | 11 | 3 | 1 | 7 | 12-22 | 10 |
| 9. ბოლივია | 11 | 2 | 3 | 6 | 13-24 | 9 |
| 10. პერუ | 10 | 1 | 4 | 5 | 5-20 | 7 |

**31 მარტი**

ვენესუელა-კოლუმბია

**1 აპრილი**

ეკვადორი-პარაგვაი
ბოლივია-არგენტინა
ჩილე-ურუგვაი
ბრაზილია-პერუ

ამხანაგური მატჩი

# ბექჰემის სარეკორდო გასროლა

## კაპელოს ჰესკი, კოული და კრაუჩი დაემტვრა

**ინგლისი–სლოვაკეთი 4:0**

**ინგლისი:** ჯეიმსი (46. ფოსტერი), ჯონსონი, აპსონი, ტერი, ეშლი კოული, ლენონი (46. ბექჰემი), ლემპარდი, ბერი, ჯერარდი (46. დაუნინგი), ჰესკი (15. კარლტონ კოული - 34. კრაუჩი - 74. ქერიკი), რუნი.

**სლოვაკეთი:** სონეცკი, პეკარიკი, ვალახოვიჩი, შკრტელი, ჩეხი (46. იენდიშეკი), შესტაკი (72. იაკუბკო), ზაბავნიკი, კარჰანი (83. შტრბა), კოზაკი (62. საპარა), ჰამშიკი (79. მინტალი), ვიტეკი (46. გოლოშკო)

**გოლები:** 1:0 ჰესკი (7), 2:0 რუნი (70), 3:0 ლემპარდი (82), 4:0 რუნი (90).

ინგლისის ნაკრების თავკაც **ფაბიო კაპელოს** მოულოდნელი გადაწყვეტილებები არ შემოუთავაზებია. დადებული პირობის მიუხედავად, სასტარტოში **დევიდ ჯეიმსი** იდგა და არა **ბენ ფოსტერი**. მსუბუქად ტრავმირებული **რიო ფერდინანდის** მაგივრად, ძირითადში გამოჩნდა **მეტიუ აპსონი**. იტალიელმა ნახევარდაცვის ფლანგები **სტივ ჯერარდსა** და **აარონ ლენონს** ჩააბარა. თავდასხმაში კი **რუნი-ჰესკის** დუეტი გაამწესა.

ანგარიში მე-7 წუთზე გაიხსნა. რუნი-ჯერარდის კომბინაცია „ლივერპულის" კაპიტანმა საჯარიმოში შევარდნითა და ახლო ძელთან პასით დაასრულა. ემილ ჰესკიმ **მარტინ შკრტელს** ორთაბრძოლა მოუგო და გაიტანა, 1:0. **სტეფან სონეცკის** გუნდის გადარჩენის მიზერული შანსიც არ ჰქონდა. ასტონვილელს ერთ წუთში დუბლის შესრულება შეეძლო, მაგრამ რუნის რბილი პასის შემდეგ ბურთი ხარიხას გადააცილა. ემილმა საჰაერო ორთაბრძოლა ისევ შკრტელს მოუგო. რამდენიმე წუთში გოლის ავტორმა ტრავმა მიიღო და იძულებული გახდა, **კარლტონ კოულისთვის** დაეთმო ადგილი.

ინგლისელთა ზეწოლა ცოტა შერბილდა და სლოვაკებმა ისიც კი მოახერხეს, რომ რამდენჯერმე ბურთიანად მიაღწიეს ინგლისელთა საჯარიმოს, თუმცა სულ ეს იყო. სტუმრებს ჯეიმსის შეწუხება „არც უფიქრიათ". ტაიმის შუაში გუნდებმა სახიფათო დარტყმები გაცვალეს. ჯერ ლემპარდს შეეძლო 10 მეტრიდან თავის გამოჩენა, შემდეგ კი შორეული დარტყმით **მიროსლავ კარჰანმა** მოსინჯა ჯეიმსის რეაქცია. ორივე შემთხვევაში მშვენივრად გაისაჯნენ მეკარეები. 34-ე წუთზე ინგლისელებს კიდევ ერთი უსიამოვნება ელოდათ. მოულოდნელად ტრავმა მიიღო კარლტონ კოულმა. მისი ადგილი **პიტერ კრაუჩმა** დაიკავა, რომელიც ასევე არ გახლდათ ბოლომდე გამოჯანმრთელებული.

პირველი ტაიმის მიწურულს ინგლისელები ისევ გააქტიურდნენ. ყველასგან გამოირჩეოდა ჯერარდი. კაპელომ მეორე ტაიმში სამი ფეხბურთელი შეცვალა. **ბექჰემი** ლენონის მაგივრად შემოვიდა, **დაუნინგი** - ჯერარდისა, ხოლო ფოსტერი - ჯეიმსის. ბექჰისთვის ეს 109-ე შეხვედრა იყო. მან დაამხო **ბობი მურის** მიღწევა და ახლა წინ მხოლოდ **პიტერ შილტონილა** დარჩა. ლეგენდარული მეკარის ანგარიშზე 125 სანაკრებო თამაშია.

62-ე წუთზე ბექჰემის ჯარიმას კრაუჩმა თავი შეუშვირა და ბურთი **ტერის** დაუგდო. მან ერთი შეხებით გაიტანა, მაგრამ... ეს აშკარად თამაშგარედან გააკეთა. გოლი არ ჩაითვალა. 70-ეზე ისევ მილანელმა აიღო ინიციატივა თავის თავზე და რუნის უზუსტესი პასი თავზე დაასვა. „იუნაიტედის" ფორვარდს ისღა დარჩენოდა, ბურთი კარში გადაეგზავნა. 74-ზე წუთზე კაპელოს კიდევ ერთი უბედურება დაატყდა თავს. ტრავმა გაიმიზეზა კრაუჩმაც. მის ნაცვლად მინდორზე **მაიკლ ქერიკი** გამოჩნდა. 82-ე წუთზე სწორედ ქერიკის პასის შემდეგ გაინავარდა ლემპარდმა, საჯარიმოში შევარდა და შორეულ, დაბალ კუთხეში გაიტანა. სტუმარი მცველები მხოლოდ სტატისტების როლს დასჯერდნენ. 90-ე წუთზე იმავე ლემპარდის გადაცემა რუნიმ გამოიყენა და შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ თავდამსხმელების გარეშე დარჩენილმა კაპელომ უკრაინასთან მატჩისთვის **დარენ ბენტი** გამოიძახა.

**შალვა ბიბილაშვილი**





ელენე გედევანიშვილი

ფიგურული ციგურაობა

# ელენე ელიტას უბრუნდება

## გედევანიშვილმა კარიერის რეკორდი დაამხო

19 წლის ქართველმა მოციგურავემ **ელენე გედევანიშვილმა** მსოფლიოს ჩემპიონატებზე კარიერის საუკეთესო შედეგი აჩვენა - ლოს ანჯელესის „სტეპლს სენთერში" 162,48 ქულით მეათე ადგილი დაიკავა. სიმართლე გითხრათ, ჩავარდნილი სეზონის შემდეგ, მას მერე, რაც ქართველმა ევროპის ჩემპიონატზე 24 საუკეთესოში გაღწევა ვერ მოახერხა, ასეთი შედეგის მიღწევის ნაკლებად გვეიმედებოდა. თუმცა ელენემ და მისმა ახალმა მწვრთნელმა, **გალინა ზმიევსკაიამ** ეს შეძლეს - ელენე გედევანიშვილი ფიგურული ციგურაობის მსოფლიო ელიტას დაუბრუნდა. ტურინის ოლიმპიადაზე (2006 წ.) ჩვენებურმა ასევე მეათე ადგილი დაიკავა, თუმცა ახლანდელი ჯამი ქულებისა მის კარიერაში საუკეთესო მაჩვენებელია. სხვათა შორის, ჩვენებურმა ისეთ აღიარებულ ვარსკვლავებს აჯობა, როგორებიც არიან **კაროლინა კოსტნერი და სუზანა პოიკიო.**

ფიგურული ციგურაობის სამყაროში ელენე გედევანიშვილს მოკლე პროგრამის შესანიშნავ შემსრულებლად იცნობენ და არცთუ უსაფუძვლოდ. ქართველი მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხედ ასპარეზობს, 2006-ში მან საუკეთესო შედეგი აჩვენა, მე-14 ადგილზე გავიდა, მას შემდეგ კი ელენეს შედეგები უარესდებოდა, 2007-ში - მე-17, ხოლო 2008-ში - მე-20. ლოს ანჯელესში გედევანიშვილმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მოკლე პროგრამაში მაგარია. მან საკუთარი მიღწევა (მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის) - 58,82 ქულა გაიმეორა. ჩვენებურის პირადი რეკორდი 60,32 ქულაა მოკლე პროგრამისთვის (2006 წლის ევროპის ჩემპიონატი). გედევანიშვილმა სამმაგი ლუცით დაიწყო, რომელიც ხარვეზით გამოუვიდა, მას კი ორმაგი აქსელი მიაყოლა.

*„პირველი სამმაგი ხტომა არ გამომივიდა, რის შემდეგაც ორმაგი მივაყოლე, არადა, ჩაფიქრებული მქონდა, ზედიზედ ორი სამმაგი ხტომა გამეკეთებინა. ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის აქ კარგად გამოსვლა, საკუთარ თავს დავუმტკიცო, რომ ევროპის ჩემპიონატზე დაკავებული 25-ე ადგილი უბრალო ჩავარდნა იყო"*, - განუცხადა „გოლდენ სკეიტს" ქართველმა სპორტსმენმა. ელენემ თავისი „კაბარეთი" მე-8 პოზიცია დაიკავა და სამ კონკურენტს ქულაზე ნაკლებით გაასწრო. არადა, მდევრები ძალიან ძლიერი მოციგურავეები არიან, იაპონელი **ფუმიე სუგური**, რომელიც სამი წლის შესვენების შემდეგ გამოჩნდა, შვეიცარიელი **სარა მაიერი** და რუსი **ალიონა ლეონოვა**. მოკლე პროგრამაში ელენემ გაასწრო ფინელ სუზანა პოიკიოსაც, ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს.

მოკლე პროგრამის შემდეგ 76,12 ქულით კორეელი **იუ-ნა კიმი** გალიდერდა, 19 წლის კიმმა „ცეკვა მაკაბრე" შეასრულა. კორეელმა 10 ქულით გაუსწრო უმთავრეს კონკურენტს, იაპონელ **მაო ასადას** (66,06), რომელსაც კანადელმა **ჟანი როშემაც** (67,90) აჯობა. ცხადი გახდა, რომ ოქროს მედლისთვის ბრძოლაში ამ სამეულის გარდა იაპონელი **მიკი ანდო** (64,12) და იტალიელი კაროლინა კოსტნერი (63,18) თუ ჩაერეოდნენ.

თავისუფალი პროგრამისთვის ელენე გედევანიშვილი, მესამე, ბოლოსწინა ჯგუფში მოხვდა. იგი ყინულზე 24 ფინალისტს შორის მე-16 გავიდა... და კარიერაში საუკეთესო მაჩვენებელი, 103,66 ქულა მიიღო. ტექნიკურ ელემენტებში მან 50,14 ქულა დაიმსახურა, პროგრამულში - 53,52. 24 ფინალისტს შორის ეს მე-11 შედეგია, ორი დისციპლინის ჯამში კი ჩვენებური მეათე ადგილზე დამკვიდრდა.

მსოფლიოს ჩემპიონი კორეელი იუ-ნა კიმი გახდა, რომელსაც არც თავისუფალ პროგრამაში ჰყავდა ბადალი. კიმმა ჯამში 207, 71 ქულით (პერსონალური რეკორდი) პირველი ადგილი დაიკავა. შარშან და შარშანწინ კორეელი მესამე იყო მსოფლიოს ჩემპიონატებში. მეორე ადგილზე გავიდა 23 წლის კანადელი ჟანი როშე - 191,29 ქულა (პერსონალური რეკორდი). ბრინჯაოს მედალი იაპონელ მიკი ანდოს დარჩა, 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონს - 190,38. კიმი პირველი ქალია, რომელმაც 200-ქულიან ზღვარს გადააბიჯა, მას მერე, რაც ქულათა დარიცხვის სისტემამ ცვლილებები განიცადა (2005 წ.). „ქულებზე არ მიფიქრია, ოცნებად მქონდა, მსოფლიოს ჩემპიონი გავმხდარიყავი და ეს ლოს ანჯელესში ავისრულე. დიდებულია", - განაცხადა გახარებულმა კორეელმა სპორტსმენმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**27-28 მარტი. ლოს ანჯელესი (აშშ)**

| ქალები | |
|---|---|
| 1. იუ-ნა კიმი (კორეა) | 207,71 |
| 2. ჟანი როშე (კანადა) | 191,29 |
| 3. მიკი ანდო (იაპონია) | 190,38 |
| 4. მაო ასადა (იაპონია) | 188,09 |
| 5. რეიჩელ ფლეტი (აშშ) | 172,41 |
| 6. ლაურა ლეპისტო (ფინეთი) | 170,07 |
| 7. ალიონა ლეონოვა (რუსეთი) | 168,91 |
| 8. ფუმიე სუგური (იაპონია) | 164,58 |
| 9. სარა მაიერი (შვეიცარია) | 163,37 |
| 10. ელენე გედევანიშვილი (საქართველო) | 162,48 |

წყალხტომა

# დებიუტანტთა ამბიციები

იტალიის ქალაქი ტორინო 1-5 აპრილს წყალმხტომელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის **ალექსანდრე ბართაიას** ხელმძღვანელობით შეჯიბრებაზე წარდგებიან დებიუტანტები - 17 წლის **შოთა კორახაშვილი** და 19 წლის **ჭოლა ჭანტურია**, რომლებიც სამმეტრიანი ტრამპლინიდან ინდივიდუალურ და სინქრონულ ხტომებში იასპარეზებენ.

შეგახსენებთ, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა წლეულს ორ მსოფლიოს გრან-პრიზე მოსინჯეს ძალები. ჩინეთში წყვილთა შორის 380 ქულით IV ადგილი დაიკავეს და პირადი რეკორდი 13 ქულით გააუმჯობესეს. ინდივიდუალურში ჭანტურიას 406 ქულით VI ადგილი ერგო. პეკინიდან დაბრუნების მეხუთე დღეს გერმანიას მიაშურეს და იქაურ ტურნირში ჩაებნენ. ეტყობა, მცირე დროში ძალების აღდგენა და მობილიზება ვერ შეძლეს, რის გამოც საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინეს, თუმცა, ჩასათვლელი ქულები მაინც დაიმსახურეს. სამი გრანპრის (რუსეთში მე-3 ტურნირზე ჩვენებს არ უასპარეზიათ) შემდეგ ქართველთა დუეტი მსოფლიოს რეიტინგლისტში 29 ქულით ფრანგებთან ერთად მე-10-11 ადგილებს იყოფს, ინდივიდუალურში კორახაშვილი 34-ეა. ჭანტურია მეწყვილეს ორი საფეხურით ჩამორჩება.

ქართველ წყალმხტომელებს ტორინოში რისი მიღწევა შეუძლიათ, ამის შესახებ გვესაუბრება წყალთა სახეობების ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი **ირაკლი ბართაია**, რომლისთვისაც ეს ჩემპიონატი, როგორც არბიტრისთვის, სადებიუტო იქნება. მართალია, მას ახალგაზრდების მსოფლიოს და ევროპის პირველობებზე არაერთხელ უმსაჯია, მაგრამ უფროსებში ამგვარ ტურნირზე პირველად მიიწვიეს.

— ევროპის ჩემპიონატზე ჩვენს ბიჭებს ძალიან ძლიერი მეტოქეები ეყოლებათ: ტორინოში საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ პეკინის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი, ინდივიდუალურსა და სინქრონულ ხტომებში რუსი მსოფლიოს ჩემპიონი **გლებ გალპერინი**, უკრაინელთა დუეტი — **ილია კვაშა** და **ალექსეი პრიგოროვი**, რომლებმაც შარშან ჩინეთის დედაქალაქში სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მესამე ადგილი დაიკავეს; სიდნეის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი და მსოფლიოს ჩემპიონი რუსი **ალექსანდრ დობროსკოვი**, მისი თანაგუნდელი — ახალგაზრდებში, შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონი ალექსეი კუზნეცოვი და სხვები. როგორც ხედავთ, ტიტულოვანი სპორტსმენები არიან, ჩვენები კი დიდ სპორტში ახლა დგამენ პირველ ნაბიჯებს, მით უმეტეს, რომ კორახაშვილი ტურნირის ყველაზე უმცროსი მონაწილე იქნება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბევრ მეტოქეს ხტომების სირთულის კოეფიციენტითაც ჩამოვრჩებით. ყოველივეს მიუხედავად, ფინალში გასვლის ამბიციები მაინც გვაქვს. სინქრონულ ხტომებში მეექვსე-მეშვიდე ადგილებისთვის ვიბრძოლებთ, ჭანტურიამ კი სამმეტრიანი ტრამპლინიდან 26 მონაწილეს შორის 12 საუკეთესოში უნდა დაიმკვიდროს ადგილი, რისთვისაც მან, სულ მცირე, 370 ქულა მაინც უნდა მოაგროვოს, ეს კი ჭოლასთვის სრულებითაც არ არის ზღვარი...

მწვრთნელებიცა და სპორტსმენებიც ოპტიმისტურად არიან განწყობილი. დანარჩენს ორთაბრძოლები გვიჩვენებს. 2 აპრილს ჭანტურია და კორახაშვილი სამმეტრიანი ტრამპლინიდან ინდივიდუალურ ხტომებში გამოვლენ, 3 აპრილს კი სინქრონულში იასპარეზებენ.

**ვაჟა დანელია**

ინციდენტი?

# რა მოხდა შეკრებაზე...

თბილისის სპორტის სასახლე წლეულს, 24-25 აპრილს, ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის საქართველოს ნაკრები მთავარი მწვრთნელის **შოთა ხაბარელის** ხელმძღვანელობით ბაკურიანში ემზადებოდა. შაბათს დედაქალაქში ხმა დაირხა — შეკრებაზე უსიამოვნო ინციდენტი მოხდაო. კერძოდ რა, არავის უთქვამს. გუშინ ეს ფაქტი სანდო წყაროებთან გადავამოწმეთ. როგორც გაირკვა, რამდენიმე ძიუდოისტს (ვინაობას არ ასახელებენ) ვადამდე დაუტოვებია შეკრება. რა მიზეზით? იმედია, ამ დღეებში დეტალურად ყველაფერი გაირკვევა და უფრო ზუსტ ინფორმაციასაც მოგაწვდით.

## მილოცვა

**საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია და ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდი დაბადების დღეს ულოცავს სსრკ პირველობებსა და საერთაშორისო ტურნირებში არაერთგზის გამარჯვებულს და პრიზიორს, სპორტის ოსტატს კალათბურთში ლიანა ქველიძეს.**

ჭადრაკი

# უმედლო რეკორდსმენი

ევროპის ქალთა და ვაჟთა ჩემპიონატების თემას კვლავაც ვაგრძელებთ. დღეს ჩვენი სტუმარი მაია ლომინეიშვილია, რომელმაც ქართველ ქალ მოჭადრაკეთა შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა - მეოთხე ადგილი დაიკავა და სულ მცირედი დააკლდა საპრიზო სამეულამდე. არადა, ბოლო ტურში რომ მოეგო, საჩემპიონო ბრძოლაში ჩაებმებოდა და ეგებ, ოქროსთვისაც გამოეკრა ხელი. დასანანია, ასე რომ არ მოხდა, მაგრამ არც მეოთხე ადგილია ცუდი შედეგი, მით უფრო, რომ მაიასთვის საუკეთესო ინდივიდუალური მიღწევაა კარიერაში - გუნდურში, იცით, რომ უმაღლეს ტიტულს ფლობს - საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონია. ინტერვიუსთვის რესპონდენტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვეწვიეთ, სადაც მუშაობს - სპორტის სამსახურს განაგებს. ალმოჩნდა, რომ მისთვის მეოთხე ადგილის გარდა წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი სხვა მხრივაც უნიკალური ყოფილა - ჩვენდა გასაკვირად, ევროპელ ქალბატონთა შორის ლომინეიშვილი ერთადერთი მოჭადრაკეა, რომელსაც ყველა - ათივე ევროპის ჩემპიონატში უთამაშია! ასეთ მიღწევებს დიდად არ აღნიშნავენ, მაგრამ მაინც საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა და ვინ იცის, წლების შემდეგ გინესის რეკორდების წიგნშიც კი მოხვდეს ქართველი დიდოსტატი... ცხადია, მაიამ არ იცოდა, რომ მხოლოდ ის იყო ერთადერთი, ვისაც ევროპის ჩემპიონატი არ გამოუტოვებია, - ამის შესახებ ინფორმაცია ოფიციალურად, გახსნის ცერემონიალზე ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტმა ბორის კუტინმა მიაწოდა საზოგადოებას. სამწუხაროდ, მედალი ან რაიმე სამახსოვრო პრიზი არც ამ შემთხვევაში რგებია ლომინეიშვილს.



**- მაია, გილოცავთ წარმატებას. წლევანდელი წელიწადი თქვენთვის ძალიან წარმატებულია - საქართველოს ჩემპიონობით დაიწყეთ და ევროპულ ელიტაშიც გაერიეთ. უკმაყოფილო ნამდვილად არ უნდა იყოთ...**

- დიდი მადლობა მოლოცვისთვის. მეოთხე ადგილი მართლაც არ არის ურიგო შედეგი, მაგრამ უკმაყოფილების შეგრძნება მაინც დამრჩა - აშკარად მეტი შემეძლო და სულ მცირედი დამაკლდა მიზნამდე. გახსოვთ, რომ ბოლო ტურში ნატალია პოგონინასთან თეთრებით ვთამაშობდი და თავიდანვე დიდი უპირატესობა მოვიპოვე; მიტელშპილში კი აბსოლუტურად მოგებული პოზიცია მივიღე. ამ დროისთვის ეკატერინა კოვალევსკაიას, რომელიც ერთპიროვნულად ლიდერობდა და ნახევარი ქულით მისწრებდა, უკვე წაგებული ჰქონდა პარტია, რაც მოგების შემთხვევაში ჩემპიონობისთვის ტაიბრეიკებში თამაშის უფლებას მაძლევდა. ამ დროს წამიერად ბევრი რამ გავიაზრე - აქამდე მიყვანილი პარტია როგორ ვერ უნდა მოვიგო-მეთქი და ფიქრებით ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ჩავები. შესაძლოა, ამან იმოქმედა, ანაც სხვა ფაქტორმა, მაგრამ ის სვლა, რომელიც იგებდა, გამომრჩა. არადა, ვხედავდი, დათვლილიც მქონდა,მაგრამ რატომღაც მეტოქის კონტრთამაშის გზების ძიებაც დავიწყე და თითქოს ვიპოვე კიდეც. სულ ტყუილად - პოგონინას არავითარი შანსი არ ჰქონდა. მე შედარებით პასიური სვლა გავაკეთე და მხოლოდ ამის შემდეგ მოძებნა რუსმა მოჭადრაკემ თავის გადარჩენის გზა - ხარისხი შემომწირა. ამის შემდეგაც უნდა მომეგო, მაგრამ იმდენად დიდი იყო იმედგაცრუება, რომ ავირიე და მხოლოდ ყაიმს გამოვრჩი.

**- თავადაც ბევრჯერ აღგინიშნავს და ჩვენც ვუსვამთ ხაზს სხვადასხვა ტურნირის კომენტირების დროს, რომ გადამწყვეტ პარტიაში, უმეტესად, სასურველ შედეგს ვერ იღებთ. რატომ ხდება ასე?**

- ადრე მართლაც დიდი პრობლემა მქონდა ამ მხრივ და ბევრჯერ დავზარალებულვარ, მაგრამ ვთვლი, რომ პროგრესი აშკარაა: შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე ბოლო ტურში მოვიგე, წლეულს კი - ქულა გავიყავი; სხვა ტურნირებშიც მქონდა კარგი შედეგები... თუმცა, ეტყობა ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ გავთავისუფლდი და ეს ალბათ ფსიქოლოგიური პრობლემაა, რომელსაც, შესაძლოა, უფრო ღრმა და პროფესიული შესწავლა სჭირდება.

**- ფსიქოლოგთან კონსულტაციების გავლას გულისხმობთ?**

- დიახ. თანამედროვე სპორტში ფსიქოლოგის დახმარება აუცილებელია და სარგებლობენ კიდეც სპორტის ნებისმიერი სახეობის წარმომადგენლები. კარგი განწყობა მნიშვნელოვანია მოჭადრაკისთვის. თუ ფსიქოლოგი არა, ტურნირზე მწვრთნელი მაინც უნდა გახლდეს, - მწვრთნელთან ურთიერთობითაც შეიძლება სათანადოდ მოემზადო გადამწყვეტი ბრძოლისთვის. სამწუხაროდ, ინდივიდუალურ ტურნირებში ასეთი ფუფუნების საშუალება არ გვაქვს. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა, გიორგი გიორგაძემ დახმარება აღგვითქვა და, იმედია, მომავალში ამ მხრივაც შეგვეწევა ფედერაცია.

» 13

კალათბურთი



ხორვატიის ჩემპიონატი

## ბოისას ექვს-ექვსი

ვლადიმერ ბოისას "ზადარი" ადრიატიკის ლიგის რეგულარული ეტაპის დასრულების შემდეგ (ფინალურ ოთხეულში ვერ გავიდა) ხორვატიის პირველობაში ჩაერთო. შაბათს "ზადარი" დედაქალაქს ეწვია და "ზაგრებს" დაუპირისპირდა. მატჩი თავიდანვე თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და საფინალო სირენამ მასპინძელთა 7-ქულიანი გამარჯვება დააფიქსირა – 83:76.

დამარცხებულთა რიგებში საუკეთესო ვოვას ამერიკელი თანაგუნდელი **დესმონდ ფარმერი** იყო – 22 ქულა ჩააგდო. ვლადიმერ ბოისა სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა და მოედანზე 27 წუთი გაატარა. დროის ამ მონაკვეთში საქართველოს ნაკრების ფორვარდმა ერთი სამქულიანი ჩააგდო, სამი საჯარიმო მიაყოლა და 6 ქულას გამორჩა, რასაც 4 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემა მიაყოლა.

ორიოდე დღით ადრე "ზადარმა" "სვიეტლოსტს" უმასპინძლა და შინ ხელმოცარული გაუშვა – 110:71.

ბოისამ ამ შეხვედრაშიც 6 ქულა ჩააგდო, თუმცა მხოლოდ 16 წუთი ითამაშა. 6 ქულას ვოვამ 8 მოხსნა და 1 პასი მიამატა. ამ მატჩის ბომბარდირი ზადარელი **დამირ რანჩიჩი** გახდა – 23 ქულა.

ხორვატიის პირველობის დასკვნითი ეტაპის ორი ტურის შემდეგ "ზადარს" თითო მოგება-წაგება აქვს და სატურნირო ცხრილის შუაშია (მეხუთე). პლეიოფისთვის 8 კლუბი იბრძვის. ცხრილის სათავეში "ზაგრებია" – 2 მატჩი, 2 მოგება.

"ზადარი" მორიგ მატჩს 3 აპრილს იტალიის ქალაქ ტურინში, "ბილბაოს" წინააღმდეგ ჩაატარებს. ამ შეხვედრაში გამარჯვებული ევროთასის ნახევარფინალში ითამაშებს. სამწუხაროდ, ამ შეხვედრაში ვოვას თამაში გამორიცხულია, რადგან ხორვატებს მისი საევროთასო განაცხადში შეყვანა ერთი დღით დაუგვიანდათ.

ვაჟა სიმონიშვილი



ქართველი NBA-ში

## ზაზა ისევ სასტარტოშია

საქართველოს ნაკრების ცენტრი **ზაზა ფაჩულია** 25 თებერვლის შემდეგ პირველად გამოჩნდა სასტარტო შემადგენლობაში. "ბოსტონთან" საშინაო მატჩში მასპინძელთა თავკაცმა **მაიკ ვუდსონმა** ძირითად ხუთეულში ზაზა და მეორე მეფარე **ელ ჰორფორდი** ერთად დააყენა. როგორც მატჩის შემდეგ მწვრთნელმა თქვა, ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი "ბოსტონ სელტიქსის" შესუსტებული წინა ხაზი იყო. სტუმრებს ვარსკვლავი **კევინ გარნეტი** აკლდათ (მუხლი აწუხებს). სასტარტოში დაბრუნებას დადებითად შეხვდა ფაჩულია, რომელმაც ამ საკითხზე "ატლანტა კონსტიტუშენის" ჟურნალისტთან ისაუბრა: *"ჯოშ სმითისა და ელ ჰორფორდის გვერდით თავს კომფორტულად ვგრძნობ. სამი ტანმაღალი ატლანტელი ნებისმიერ მეტოქეს სერიოზულ პრობლემას შევუქმნით. ჩვენი ხუთეულში ერთდროულად მოხვედრა საინტერესოა, რადგან სეზონის მსვლელობისას ამაზე არ გვიმუშავია. რაც შეეხება "ბოსტონთან" მატჩს, მეტოქე იმდენად კარგადაა შეკრული, რომ გარნეტის არყოფნა არ დატყობია".*

დანაკლისის მიუხედავად "მწვანეებმა" "ქორებს" არაფერი დაუთმეს: მოხსნებში, მართალია ერთით, მაგრამ მაინც აჯობეს– 45:44, ხოლო, მეორე პერიოდის ბოლოს მოპოვებული ათქულიანი ფორა მეოთხის დასაწყისში ოცამდე გაზარდეს (80:60) და შეხვედრა გარნეტის გარეშეც დამაჯერებლად მიიყვანეს გამარჯვებამდე.

ზაზა ფაჩულიამ თამაში კარგად დაიწყო – ანგარიში სწორედ მისი ტყორცნის შემდეგ გაიხსნა, მაგრამ როგორც ატლანტამ, დაცვაში თამაში ვერც ზაზამ ააწყო. მან 19 წუთში 2 მოხსნა მიითვალა. სამაგიეროდ, ორქულიანები ისროლა ასპროცენტიანი შედეგიანობით – 3-დან 3 ჩააგდო.

მატჩის შემდეგ მაიკ ვუდსონმა აღიარა: "გარნეტის არყოფნაში "ბოსტონის" მეფარეებმა მაღალ დონეზე ითამაშეს. ველოდი, რომ ფარქვეშ უპირატესობა ჩვენ გვექნებოდა, მაგრამ მოხდა საპირისპირო – "ბოსტონის" წინა ხაზმა გვაჯობა."

"ატლანტას" წაბორძიკებით ისარგებლა აღმოსავლეთის კონფერენციის მეხუთეადგილოსანმა "მაიამიმ" და ჩამორჩენა 3 მოგებამდე შეამცირა. სადღეისოდ ზაზას თანაგუნდელებს 42 მოგება და 31 წაგება აქვთ, ხოლო "მაიამი ჰიტს" – 39 გამარჯვება და 34 მარცხი. რეგულარული ეტაპის დასრულებამდე "ატლანტას" 9 მატჩი დარჩა.

მორიგ შეხვედრას "ჰოქსი" დღეს გამთენიისას გამართავდა, "ბოსტონზე" არანაკლებ ძლიერ "ლეიკერსს" უმასპინძლებდა. ამ შეხვედრის პერიპეტიებზე ხვალინდელ ნომერში გესაუბრებით.

| ატლანტა-ბოსტონი | 93:99 |
|---|---|
| ზაზა ფაჩულია: 19 წუთი, 7 ქულა, 2 მოხსნა, 4 ფოლი, 1 შეცდომა | |
| **I პერიოდი** | |
| 11:38 | ორქულიანი: 2 ძ (2:0) |
| 07:07 | ფოლი: 1 |
| 06:25 | ზაზა ევანსმა შეცვალა |
| 02:15 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| **II პერიოდი** | |
| 11:53 | ფოლი: 2 |
| 11:53 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |
| 04:12 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 03:51 | საჯარიმოები: 2\1 (3ძ, 37:41) |
| 03:02 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 01:36 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 10:44 | ორქულიანი: 5ძ (44:54) |
| 07:16 | ზაზა ევანსმა შეცვალა |
| 00:06 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| **IV პერიოდი** | |
| 11:30 | ფოლი: 3 |
| 11:30 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 11:13 | ფოლი: 4 |
| 10:42 | ორქულიანი: 7ძ (62:80) |
| 10:07 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |
| 08:55 | ზაზამ სმითი შეცვალა |
| 07:12 | შეცდომა: 2 |
| 07:00 | ზაზა ბიბიმ შეცვალა |

ვაჟა სიმონიშვილი

*P.S. წუხელ „ატლანტამ" „ლეიკერსი" 86:76 დაამარცხა. ფაჩულიამ 22 წუთი ითამაშა და ორმაგი დუბლი (11 ქულა, 13 მოხსნა) შეასრულა.*

ბალტიის თასი. მეოთხედფინალი

## როკი ტარტუში წაიქცა



ბევრისთვის მოულოდნელად და ჩვენთვის სამწუხაროდ, ბალტიის ლიგის მეოთხედფინალური სერიის მეორე მატჩში "როკი" შინ "კალევთან" დამარცხდა – 56:84. **გიორგი ცინცაძისა და ვიქტორ სანიკიძის** "როკერ" თანაგუნდელებს სერიის პირველი მატჩი სტუმრად 76:70 ჰქონდათ მოგებული და მეორე გამარჯვების შემთხვევაში ნახევარფინალში გადიოდნენ, მაგრამ "კალევმა" მასპინძლებს პირველივე ტაიმში ისე გაასწრო, რომ მეორე ნახევარში ტარტუელებს თამაშის გადარჩენის ყოველგვარი იმედი გაუქრა.

თანაგუნდელებს სათანადოდ ვერც ქართველები დაეხმარნენ: გიორგი ცინცაძემ 20 წუთში 5 ქულა ჩააგდო, 1 პასი მიითვალა და მატჩი 5 ფოლით დაასრულა. ვიქტორ სანიკიძემ 15 წუთში 6 ქულა, 3 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა.

მესამე, გადამწყვეტი მეოთხედფინალური მატჩი 1 აპრილს "კალევის" მოედანზე გაიმართება.

ვაჟა სიმონიშვილი



უკრაინის ჩემპიონატი

## მანუს 21 ქულა საკმარისი არ აღმოჩნდა

უკრაინაში მეოთხე მატჩი წააგო **მანუჩარ მარკოიშვილის** "კიევმა". დედაქალაქელებმა დონეცკში 68:75 დათმეს. შეგახსენებთ, რომ, ვიდრე შვიდ ლეგიონერს დაითხოვდნენ, "კიევი" "დონეცკმა" სტუმრად მაშინაც დაამარცხა.

შაბათის მატჩში მანუჩარ მარკოიშვილისა და **არტურ დროზდოვის** შედეგიანი თამაშის წყალობით "კიევი" ბოლო პერიოდამდე თანაბრად ებრძოდა მასპინძლებს, მაგრამ მეოთხე ათწუთეული დონეცკელთა კარნახით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დასრულდა – 19:9.

მარკოიშვილმა თითქმის შეუცვლელად ითამაშა (39 წუთი) და 21 ქულას 5 პასი, 3 მოხსნა და 1 დაფარება მიამატა.

"კიევის" კაპიტანმა არტურ დროზდოვმა 11 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა.

დედაქალაქელებს 25 მატჩიდან 21 აქვთ მოგებული და ცხრილში მეორე ადგილზე არიან. მათ 2 მოგებით "აზოვმაში" უსწრებთ.

ვაჟა სიმონიშვილი

ესპანეთის ჩემპიონატი

## სქიტას ეფექტი



ესპანეთის ჩემპიონატში შაბათს საქართველოს ნაკრების სამმა კალათბურთელმა ითამაშა. **ნიკა ცქიტიშვილის** "ფუენლაბრადამ" მორიგი მატჩი ჩაატარა მაღალ დონეზე და "გრანადა" 90:74 დაამარცხა. **ტაირონ ელისის** "კახასოლმა" ზედიზედ მეოთხე შეხვედრა მოიგო. ამჯერად სევილიელებმა **თორნიკე შენგელიასა** და **შემონდ უილიამსის** "ვალენსიას" აჯობეს გასვლაზე – 98:89.

ჯერ "ფუენლაბრადაზე" ვთქვათ. მადრიდელებმა „გრანადასთან" სეზონის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მატჩი ჩაატარეს. მათ ჩატენვებისა და ზუსტი სამქულიანების (13 სამიანი გამოიყენეს) ხარჯზე საწყის 30 წუთში 73:47 მოიგეს და მატჩის ბედი სირენამდე 10 წუთით ადრე გადაწყვიტეს.

ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი ნიკა ცქიტიშვილსაც მიუძღვის. მან 22 წუთში 2-დან 2 ორქულიანი (ერთი ეფექტური ალეი უპით) და 6-დან 3 სამქულიანი გამოიყენა. 13 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი – ასეთი იყო ცქიტოს მონაგარი "გრანადასთან".

ამ მოგებით "ფუენლაბრადა" ერთ ნაბიჯში მიუახლოვდა მერვეადგილოსან "მანრესას" (რომელმაც "ესტუდიანტესთან" წააგო). ნიკას თანაგუნდელებს 12 მოგება (14 წაგება) აქვთ, ხოლო მანრესელებს 13 მოგება (14 მარცხი).

ევროთასის მეოთხედფინალის წინ თავი არ მოუკლავს შენგელიას "ვალენსიას". მან შინ ტაირონ ელისის "კახასოლთან" დათმო. მართალია, ელისმა ურიგოდ არ ითამაშა, 22 წუთში 11 ქულა (5-დან 3 სამიანი) მიითვალა, მაგრამ "კახასოლის" გამარჯვება მაინც "კიევიდან" გადმოსულ **კლეი თაკერს** უნდა მივაწეროთ, რომელმაც "ვალენსიას" 37 ქულა ჩაუგდო. საინტერესოა, რომ თაკერი შარშან ნიკა ცქიტიშვილის გვერდით იტალიურ "ტერამოში" ირჯებოდა, მიმდინარე სეზონის დასაწყისში **მანუჩარ მარკოიშვილთან** უკრაინაში იყო, ახლა მესამე ჩვენიანის, ტაირონ ელისის თანაგუნდელია...

სევილიელებთან თორნიკე შენგელიამ ოთხწუთ-ნახევარი ითამაშა და მხოლოდ ერთი სამქულიანის არაზუსტად სროლა მოასწრო.

"კახასოლმა" საბოლოოდ დააღწია თავი გასავარდნ ორეულს და 26 მატჩიდან 8 მოგებით მე-14 ადგილზეა. იგი ერთი მოგებით უსწრებს გასავარდნ ზონაში მყოფ "მურსიას". "ვალენსიას" კი პლეი-ოფში გასვლა თითქმის განაღდებული აქვს – 14 მოგებით მეშვიდე ადგილზეა.

3 აპრილს შენგელიას თანაგუნდელები ევროთასის მეოთხედფინალში რუსულ "ხიმკის" დაუპირისპირდებიან.

ვაჟა სიმონიშვილი

ხელბურთი

## ისევ ორი ფავორიტი

გუშინ გლდანში **ჯემალ ცერცვაძის** სახელობის ხელბურთის ცენტრში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი დასრულდა. მატჩებმა საკმაოდ საინტერესო ბრძოლებში ჩაიარა, შედეგები კი გასაკვირი არავისთვის ყოფილა.

გაცნობებთ, რომ ქვეყნის პირველობაზე მარადიული ჩემპიონი სტუ-"შევარდენი ვერ იასპარეზებდა. ეს მართლაც ასეა, მაგრამ ეს გუნდი "ქარიშხალას" გაუერთიანდა და სტუ-ელები უკვე მისი სახელით იბრძოლებენ ჩემპიონობისთვის.

გორის გუნდს, რომელიც ჭაბუკთა პირველობაში ამავე სახელით გამოდიოდა, ამიერიდან სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია დააფინანსებს და მას ცხინვალის "სპარტაკი" ერქმევა.

ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ეტაპი აპრილის ბოლო რიცხვებში ჩატარდება. ერთმანეთს სხვადასხვა ჯგუფში მყოფი კლუბები დაუპირისპირდებიან.

პირველი ჯგუფი: **"თბილისი", "ქუთაისი", "სამტრედია", "გორი".**

მეორე ჯგუფი: **"მამული" (თბილისი), "რუსთავი", "ქარიშხალა" თბილისი.**

პირველი სამი ტურის ტექნიკური შედეგები ასეთია:

| 27 მარტი | |
|---|---|
| სპარტაკი-თბილისი | 16:36 |
| მამული-რუსთავი | 27:34 |
| სამტრედია-ქუთაისი | 29:26 |
| **28 მარტი** | |
| ქარიშხალა-მამული | 45:19 |
| ქუთაისი-სპარტაკი | 21:30 |
| თბილისი-სამტრედია | 40:27 |
| **29 მარტი** | |
| ქუთაისი-თბილისი | 17:35 |
| სამტრედია-სპარტაკი | 26:31 |
| რუსთავი-ქარიშხალა | 24:29 |

ლევან ჯანეზაშვილი

ავტორის ფოტო



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# უმაღლო რეკორდსმენი

11 «

**- სანკტ-პეტერბურგში საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა. მათთან ჭიდილში რომ მარტო კარგი განწყობა არ არის საკმარისი, მტკიცება არ სჭირდება. აშკარაა, რომ საჭადრაკო ცოდნაც გაიუმჯობესეთ. კონკრეტულად რა კომპონენტში მოუმატეთ და, საერთოდ, წინსვლის მიზეზებზე თუ შეგიძლიათ მოუთხროთ გულშემატკივრებს?**

- ჭადრაკის თამაში და მით უფრო მეცადინეობა არასდროს მბეზრდებოდა - ძალიან ბეჯითი ვიყავი და ვარ, მაგრამ რისი პოტენციური შესაძლებლობაც გამაჩნდა, იმის ნახევარს ვერ ვიყენებდი. მთავარი პრობლემა - ფსიქოლოგია - უკვე აღვნიშნე. თუმცა, აღმოჩნდა, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანი სხვა მხარეც არის - ჭადრაკს მხოლოდ მძიმე სამუშაოდ არ უნდა აღიქვამდე, მისგან სიამოვნებას უნდა იღებდე. ადრე ჭადრაკს მხოლოდ შემოსავლის საშუალებად, ჩემი და ჩემი ოჯახის ფინანსურ გარანტად მივიჩნევდი და ალბათ ზედმეტადაც ვნერვიულობდი. ჩემს ცხოვრებაში ორი წლის წინათ მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპორტის სამსახურის უფროსად დავიწყე მუშაობა და რახან შემოსავლის დამატებითი და სტაბილური წყარო გამიჩნდა, ფსიქოლოგიური წნეხი მომეხსნა. ჭადრაკს შემოქმედებითი კუთხით შევხედე და მისგან აშკარად მეტი სიამოვნება მივიღე, ვიდრე ეს აქამდე იყო. ამ ორ წელიწადში კარიერაში საუკეთესო შედეგები ვაჩვენე, რაც, პირველ რიგში, თავად მაკვირვებს. საქმე ის არის, რომ ვფიქრობდი, უნივერსიტეტში მუშაობის და პროფესიული კარიერის შეთავსებას ვერ შევძლებდი და ჭადრაკიდან წასვლას ვგეგმავდი. რაც უნდა იყოს, ყველაფერს აქვს დასასრული და სპორტსმენი უფრო ადრე ამთავრებს კარიერას. ჩემი გეგმით, წელიწადში ერთ-ორ ოფიციალურ ტურნირზე თუ ვიასპარეზებდი. თავის მხრივ, სამსახურიც გარკვეულ დროს მოითხოვდა და ხშირად და ხანგრძლივი დროით ვერ მივატოვებდი. ჭადრაკსაც უფრო და უფრო ნაკლებ დროს ვუთმობდი. ფაქტია, მაგრამ ისე არ მოხდა, როგორც ვფიქრობდი და აქამდე საუკეთესო შედეგი ვაჩვენე კარიერაში. სამსახურიც ძალიან მიწყობს ხელს, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოვახსენებ კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსს, ქალბატონ ლილიკო ნემსაძეს და ყველა თანამშრომელს - ძალიან კარგად მიმიღეს, სითბო და სიყვარული არ დაიშურეს ჩემთვის. ჭადრაკის უფრო ლაღად და სხვა შემართებით თამაში დავიწყე - წარმატებაც, ვფიქრობ, ამიტომ მოვიდა. იმედი მაქვს, რომ კიდევ მოვუმატებ, ნაკლოვანებებს გამოვასწორებ.

**- განწყობას უსვამთ ხაზს და, მრავალჯერ აღინიშნა, რომ სანკტ-პეტერბურგში ძალიან ცუდი პირობები იყო. ამ საკითხზე თქვენი აზრიც გვაინტერესებს და ისიც მინდა გკითხოთ - ცუდმა გარემომაც ხომ არ დაგცადათ?**

- ვერ ვიტყვი, რომ ჩემს თამაშზე პირდაპირ აისახა ცუდი გარემო,- ჩემპიონატამდე რომ ვინმეს ეთქვა, მეორემერვე ადგილებს გაიყოფ და ტაიბრეიკში მეოთხე ადგილზე გახვალო, ძალიანაც გამიხარდებოდა. პირობებს კი მართლაც ვერ მოვიწონებ: სასტუმროში საკმაოდ ძვირს ვიხდიდით, მაგრამ სადილ-ვახშამზე თავად უნდა გვეზრუნა, - ასეთი რამ არსად ხდება. მსგავსი ცუდი ორგანიზება არსად მინახავს. ყველაზე კარგ პირობებს თურქები გვთავაზობენ ხოლმე - ნებისმიერი ტურნირი საოცრად მაღალ დონეზეა ორგანიზებული.

**- ჩვეული პრაქტიკაა, რომ მოქმედი დიდოსტატები პარალელურად სამწვრთნელო საქმიანობასაც ეწევიან. გეოგრაფია ამ მხრივ საკმაოდ ფართოა - დაბალკვალიფიციურ მოჭადრაკეებთან მუშაობით დაწყებული, დიდოსტატებთან ურთიერთობით დამთავრებული. ამბობენ, რომ ამგვარი თანამშრომლობა ორივე მხარისთვის სასარგებლოა. თქვენ რა გამოცდილება გაქვთ სამწვრთნელო საქმიანობაში?**

- ამ კუთხით დიდად არ ვარ დატვირთული, მაგრამ მყავს ერთი მოსწავლე - თერთმეტი წლის ნიკოლოზ ქუმსიაშვილი, რომელიც ძალიან ნიჭიერი ბიჭია - 8 და 10 წლამდე საქართველოს ჩემპიონი გახდა; ახლახან დასრულებულ საქართველოს თოთხმეტწლამდელთა ჩემპიონატში კი მეორე ადგილზე გავიდა. ვეთანხმები მოსაზრებას, რომ მწვრთნელობა გარკვეულწილად ეხმარება მოჭადრაკეს. ნიკოლოზთან მუშაობამ მეც მარგო - ფუნდამენტურ წესებს რომ იმეორებ და სხვადასხვა სახის ტიპიურ პოზიციებს იხსენებ, პრაქტიკაში კარგად გადგება. ამავე დროს, როცა ასწავლი, რაღაც ნიუანსებსაც ამჩნევ, ისეთს, რომლისთვისაც შესაძლოა, იქამდე ყურადღება არ მიგექცია. ასე რომ, მწვრთნელობის შეთავსება კარგია.

**- საჯარო სამსახური და პროფესიული სპორტი მაინც ძნელად თავსებადი მგონია. ახლა, როცა შედეგები მოვიდა, ცხადია, დღის წესრიგში გარკვეული პასუხისმგებლობის საკითხიც დგება. როგორც ვიცი, რამდენიმე კლუბშიც თამაშობთ და საქართველოს ნაკრების შემადგენლობაშიც ხართ, რაც დატვირთვას გაზრდის - შეკრებებიც მოიმატებს და სამსახურთან განშორების ხანგრძლივობაც. შეეგუება ამას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა?**

- როგორც გითხარით, ყოველმხრივ მხარდაჭერას ვგრძნობ, მაგრამ ბოროტად ნამდვილად ვერ ვისარგებლებ ნდობით. მეც ბევრს ვფიქრობ ამ საკითხზე და მინდა თუ არა, რაღაცის დათმობა ალბათ მაინც მომიწევს. ანუ, სანაკრებო და საკლუბო ტურნირებს მივანიჭებ პრიორიტეტს, ხოლო ინდივიდუალურებს შევზღუდავ. გარკვეული გეგმა შემუშავებული მაქვს, მაგრამ წლის განმავლობაში კორექტირებაც შესაძლებელია. მთავარი ტურნირები წლეულს მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატია, რომელიც სექტემბერში ჩინეთში გაიმართება; ოქტომბრის დასაწყისში კი ევროპის გუნდური ჩემპიონატია, რომელსაც მალევე, რამდენიმე დღის ინტერვალით მოჰყვება ევროპის საკლუბო ჩემპიონატი. საკმაოდ დამღლელი და ხანგრძლივი ვოიაჟი გველის, მაგრამ სამივე ტურნირში ჩვენი მონაწილეობა აუცილებელია - ძალიან ძლიერი შეჯიბრებებია და ქართული ჭადრაკის რენომე დასაცავია.

**- ნაკრებში მოხვედრისათვისაც გვარიანი ბრძოლა და ნერვიულობა ხვდებათ მოჭადრაკეებს. თქვენს შემთხვევაში როგორ არის საქმე?**

- ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ მაქვს - როგორც საქართველოს ჩემპიონს და ევროპაზე საუკეთესო შედეგის მქონეს, ნაკრებში ადგილი გარანტირებული მაქვს; ასევეა კლუბშიც, თუმცა შემადგენლობა სრულად არ არის დასახელებული და რამდენიმე ადგილი ვაკანტურია. ნაკრებში ერთი ვაკანსია დარჩა, რომელზეც სოფიკო ხუხაშვილი, ნინო ხურციძე და სალომე მელია აცხადებენ პრეტენზიას. დანარჩენი წევრები კი ცნობილია - მაია ჩიბურდანიძე, ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი და მე. თითქმის გარკვეულია საკლუბო შემადგენლობაც, - ნანა ძაგნიძე ფრანგულ კლუბში ითამაშებს, დანარჩენი წევრები კი თითქმის იგივეა - ჩიბურდანიძე, ჯავახიშვილი მე და ხუხაშვილი; მეხუთე ადგილისთვის კი ხურციძე და მელია იბრძოლებენ.

**- რეიტინგი თანამედროვე მოჭადრაკისთვის ბევრს ნიშნავს. პირველ აპრილს ახალი რეიტინგ-სია უნდა გამოქვეყნდეს. თქვენ რამდენ პუნქტს შეიმატებთ?**

- საქართველოს ჩემპიონატზე ერთი ქულა დავიკელი, ევროპაზე კი თერთმეტი მოვიმატე; გამოდის, რომ ათქულიანი ზრდა მექნება. პირადი რეკორდი კვლავაც გავაუმჯობესე, თუმცა ამაზე გაჩერებას არ ვაპირებ. იმედი მაქვს, რომ მსოფლიოს ჩემპინატზე, რომელიც გაისად გაიმართება, თვალსაჩინო შედეგს მივაღწევ. ევროპის ჩემპიონატზე უდიდესი გამოცდილება მივიღე, განსაკუთრებით ტაი-ბრეიკებში. აქამდე მეგონა, რომ ტაი-ბრეიკებს ვერ ვთამაშობდი სათანადოდ, თუმცა აღმოჩნდა, რომ შემძლებია. მსოფლიოს ჩემიონატზე, როგორც წესი, დამატებით პარტიებში წყდება ბევრი რამ... მთავარია, თვითრწმენა შევიმატე - თავდაჯერება კი წარმატების გასაღებია.

**ზვიად შათირიშვილი**

სამთოთხილამურობა





# გუდაური უფრო დამშვენდა

არცთუ შორეულ წარსულში სასტუმრო „გუდაურს" ყველა ის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული, რაც დაკავშირებულია სამთო-სათხილამურო სპორტთან. მერე გუდაური გაიზარდა, ბევრი რამ აშენდა და იქაურობა კიდევ უფრო დამშვენდა, თუმცა ხსენებულმა სასტუმრომ ფუნქცია არათუ დაკარგა, პირიქით, საერთო ფონზე უფრო ამაღლდა მისი როლი. ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ობიექტი სასტუმროცაა და სპორტული ბაზაც, სტუმრებსაც იღებს და შეჯიბრებების ორგანიზატორადაც გვევლინება, აქვეა სპორტული ინვენტარის გამქირავებელი პუნქტები (ერთი სასტუმროში, მეორე — უშუალოდ საბაგირო გზასთან), ფუნქციონირებს სამაშველო სამსახური, აღარაფერს ვამბობთ სპორტთან თუ სხვა სფეროსთან დაკავშირებული სიმპოზიუმების, შეხვედრების, სემინარების და ა.შ. მასპინძლობაზე. ეს მას შემდეგ გაფართოვდა შესაძლებლობები, რაც „გუდაური" სააქციო საზოგადოება გახდა. ლომის წილი სახელმწიფომ დაიდო, მოეწყო სამეტაპიანი საბაგირო გზა. მსოფლიოს არაერთი ზამთრის კურორტი გვინახავს და ისე ახლოს საბაგირო გზა სასტუმროსთან არსად არის, როგორც „გუდაურთან". ეს დიდი უპირატესობაა.

მართალია, აპრილი იწურება, გუდაურში თოვლის სქელი საფარი შენარჩუნებულია, უქმე დღეები ისე არ ჩაივლის, შეჯიბრებები არ ჩატარდეს. დამსვენებელი კი იმდენია, სასტუმროები ვეღარ იტევს. მათ სამსახურშია მაღაზია „მაგელანის" თხილამურების და სხვა ინვენტარის გამქირავებელი პუნქტი, რომელიც სასტუმრო „გუდაურში" ფუნქციონირებს და "ერთი ფანჯრის" პრინციპით სტუმრებს კომფორტს უქმნის.

„უმეტესობა საკუთარი თხილამურებით ამოდის გუდაურში, მაგრამ 100 წყვილი თხილამური, რომელსაც ჩვენ ვაქირავებთ, ხშირად საკმარისი არ არის. იძულებული ვხდებით, მეორე პუნქტი დავიხმაროთ. შაბათს და კვირას განსაკუთრებული ხალხმრავლობაა. შინ ყველა კმაყოფილი ბრუნდება", — ამბობს „მაგელანის" წარმომადგენელი **ირაკლი კიკიშვილი.**

გუდაურში სათხილამურო სეზონი გრძელდება.

**თენგიზ თომაშვილი**
გუდაური-თბილისი

სუმო — ჰარუ ბაშო (მარტის სუპერტურნირი)

# ჰაკუჰო იმპერატორის თასს მეათედ შესწვდა

## სამი ქართველი მინუსში

ოსაკას ბაშო, რომელიც ქალაქის პრეფექტურის გიმნაზიუმში 15-29 მარტს გაიმართა, ქართველთათვის ძალზე წარუმატებელი გამოდგა, ჩვენმა სამმა ფალავანმა ბაშო უარყოფითი ბალანსით დაასრულა და ახლა მათ რანგში დაქვეითება ელით. შემდეგი ბაშო იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გაიმართება 10-24 მაისს, ახალი რეიტინგი კი 27 აპრილს გამოქვეყნდება.

იმპერატორის თასის მფლობელის ვინაობა შაბათს, ბაშოს ბოლოსწინა დღეს გადაწყდა, როცა ბოლოსწინა ორთაბრძოლაში 28 წლის დიდი ჩემპიონი **ასაშორიუ** ბულგარელ ოძეკი **კოტოოშუსთან** დამარცხდა. ეს მისი მესამე ნაგება იყო ტურნირზე, **ჰაკუჰო** უკვე მიუწვდომელი იყო, თუმცა ასაშორიუს თანამემამულემ თავისი ორთაბრძოლა მაინც მოიგო. ასე რომ, გუშინ ასაშორიუსა და ჰაკუჰოს დაპირისპირებას ოდენ სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. ჰაკუჰომ იორიკირით აჯობა ასაშორიუს და ბაშო დაუმარცხებლად, 15-0 ბალანსით დაასრულა.

მაშ ასე, 24 წლის ჰაკუჰო, დასავლეთის იოკოძუნა (დიდი ჩემპიონი) კარიერაში მე-10-დ დაეუფლა იმპერატორის თასს. ჰაკუჰოს ნამდვილი სახელი და გვარი **მუნხბათ დავააჯარგალია.** იგი 2007 წლის ივლისიდან ატარებს დიდი ჩემპიონის სახელს. მოქმედ სუმოისტებში მასზე ტიტულოვანი მხოლოდ ასაშორიუა (23 თასი). ჰაკუჰო 192 სმ. სიმაღლისაა და 154 კილოგრამს იწონის.

მიუხედავად იმისა, რომ ელიტაში ორი ფალავანი გვყავს, ჩვენს ინტერესს შაბათს მაკუშიტას დივიზიონში გასამართი ორთაბრძოლა უფრო იწვევდა - დივიზიონის მესამე ნომერი **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)** თავის ბოლო შეხვედრას მართავდა ოსაკას ბაშოზე. 22 წლის ქართველის (3-3) მეტოქე მაკუშიტას მე-9 ნომერი **სოტაირიუ** (3-3) იყო. მოგების შემთხვევაში გაგამარუ რანგში წინ წაიწევდა, მაგრამ ჩვენებურმა ზედიზედ მესამე მარცხი განიცადა, ამ შემთხვევაში უვატენაგეს ილეთით. თანამემამულეთა მსგავსად გაგამარუმაც უარყოფითი ბალანსი გაიფორმა (3-4) და მას რანგში დაქვეითება ელის, არადა ქართველს მეორე ელიტურ დივიზიონში შესვლის შესანიშნავი შანსი ჰქონდა. მაკუშიტას დივიზიონში 120 სუმოისტია, ასეთი შანსი სუმოისტს შეიძლება კარიერაში მეორედ აღარც მიეცეს.

შაბათს წააგო ელიტის ორივე ქართველმა - **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** ვერაფერი მოუხერხა 250-კილოიან მთაკაც **იამამოტოიამას**, რომელმაც ქართველის დაგდებით ბაშოზე წინსვლა გაინაღდა. არადა ბრძოლა ლამის ყველაზე დიდ ხანს გაგრძელდა. პირველად მთავარმა მსაჯმა დაგვიანებით აღმოაჩინა, რომ ერთ-ერთმა სუმოისტმა დაჯახებამდე არ დაჰკრა ორივე მუშტი დოჰიოს (რაც აუცილებელია), მეორე ორთაბრძოლის შედეგად კი ორივემ ერთდროულად დააბიჯა ფეხი რკალს გარეთ და მსაჯებს გაუჭირდათ გამარჯვებულის გამოვლენა. მესამე ჯერზე კი ქართველი მთელი ძალით მიაწვა იაპონელს, ნახევარი მეტრით უკანაც დახია, მაგრამ წონასწორობა ველარ შეინარჩუნა. გულწრფელად თანავუგრძნობთ კოკაის, როგორია ამხელა სუმოისტთან ზედიზედ სამჯერ გაბრძოლება. **ტოჩინოშინს (ლევან გორგაძე)** კი გვერდში დარტყმა-მიწოლით იოლად მოერია მე-6 მაეგაშირა **ტამანოშიმა.**

გუშინ კოკაიმ ისეთ სუმოისტთან წააგო, რომელსაც, მიუხედავად საკმაოდ მაღალი რანგისა (**ჰოკუტორიკი** პირველი მაეგაშირაა), ბაშოზე 1-13 ბალანსი ჰქონდა! ტოჩინოშინმა კი იმარჯვა, მან სუკუინაგეს ილეთით მე-4 მაეგაშირა **იოშიკაძე** დაამარცხა, რის გამოც იაპონელს უარყოფითი ბალანსით (7-8) მოუწია ბაშოს დასრულება. ტოჩინოშინმა ბაშო 6-9 ბალანსით დაასრულა, კოკაიმ, რომელმაც ბოლოს ზედიზედ 8 ორთაბრძოლა (!) წააგო, ტურნირი 5-10 ბალანსით დაასრულა.

15-29 მარტი. ოსაკა (იაპონია)

XIV დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი (მ 8)-იამამოტოიამა (მ 13) 0:1 (პიკიოტოში), ტოჩინოშინი (მ 10)-ტამანოშიმა (მ 6) 0:1 (ცუკიოტოში), ჰაკუჰო (ი)-კაიო (ო) 1:0, კოტოოშუ (ო)-ასაშორიუ (ი) 1:0, ჰარუმაფუჯი (ო)-ჩიოტაიკაი (ო) 1:0, ტაკეკაძე (მ 4)-კოტომიცუკი (ო) 1:0, ბარუტო (ს)-კისენოსატო (ს) 1:0, კიოკუტენჰო (ო)-ტოჩიოძანი (მ 2) 1:0, კოტოშოგიკუ (მ 2)-გოეიდო (კ) 1:0, კაკურიუ (მ 1)-ჰოკუტორიკი (მ 1) 1:0, დეჯიმა (მ 9)-ტოკიტენკუ (მ 3) 1:0, იოშიკაძე (მ 4)-მიაბიამა (მ 3) 1:0.

ბოლო დღე: მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი (მ 8)-ჰოკუტორიკი (მ 1) 0:1 (პიკიოტოში), ჰაკუჰო (ი)-ასაშორიუ (ი) 1:0, კოტოოშუ (ო)-ჩიოტაიკაი (ო) 1:0, ჰარუმაფუჯი (ო)-კაიო (ო) 1:0, ბარუტო (ს)-კოტომიცუკი (ო) 1:0, ტოჩიოძანი (მ 2)-კისენოსატო (ს) 1:0, გოეიდო (კ)-ტაკეკაძე (მ 4) 1:0, კიოკუტენჰო (კ)-მიაბიამა (მ 3) 1:0, კაკურიუ (მ 1)-ჰომაშო (მ 7) 1:0.

საბოლოო მდგომარეობა: 15-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა), 11-4: ასაშორიუ (იოკოძუნა), ჰომაშო (მაეგაშირა 7), 10-5: კოტოოშუ (ოძეკი), ჰარუმაფუჯი (ოძეკი), კაკურიუ (მაეგაშირა 1), არანი (მაეგაშირა 11), ჩიოჰაკუჰო (მაეგაშირა 13).

იმპერატორის თასი: ჰაკუჰო (მე-10)
ბრწყინვალე ასპარეზობა: არავის
მებრძოლი სული: ჰომაშო (მესამედ)
ტექნიკური რიკიში: კაკურიუ (მეორედ)
ჟიურის ჩემპიონი: ტოიოჰიბიკი (მეორედ)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი. ლეგიონერები

# ბოლოსკენ ბრძოლა მწვავდება

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ხუთი ტური დარჩა. საკმაოდ მწვავე ბრძოლა მიმდინარეობს როგორც ელიტაში დამრჩენთა, ისე პლეი ოფში თამაშის მსურველთა შორის. საგულისხმოა, რომ ყოველივე ამაში ქართველ მორაგბეთა კლუბები არიან ჩართულნი.

პირველ დივიზიონში დარჩენისთვის მებრძოლმა **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრმა" 21-ე ტურში **გია ლაბაძისა და დავით ქუბრიაშვილის** „ტულონს" უმასპინძლა, რომელსაც ანალოგიური პრობლემა აქვს გადასაჭრელი. „გლობუსას" გუნდმა შეხვედრა აღმავლობით ჩაატარა და მეტოქე-25:9 დაამარცხა. შედეგად კასტრელებმა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა, თუმცა არც იმდენად, რომ თავს დამშვიდების უფლება მისცენ.

ამ შეხვედრაში გიორგაძე მე-40 წუთიდან ჩაერთო. ქუბრიაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა და 36-ე წუთზე მატჩის არბიტრმა ათი წუთით გააძევა. ლაბაძე განაცხადში არ იყო.

„ტულონზე" უარესი სატურნირო მდგომარეობა აქვს **ირაკლი გიორგაძის** „დაქსს", რომელიც ამჯერად შინ დამარცხდა „პერპინიანთან"-13:16. ირაკლი განაცხადში არ იყო.

ბოლო ტურებში საგრძნობლად გააქტიურდა **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივი", რომელსაც პლეი ოფში მოხვედრის რეალური შესაძლებლობა გაუჩნდა. ბრიველებმა ამჯერად შინ მიიღეს „ბაიონი" და 13:6 დაამარცხეს. ხინჩაგიშვილი განაცხადში არ იყო. „ბრივი" 59 ქულით ახლა მე-5 ადგილზეა და ოთხი ქულით ჩამორჩება **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონს".

„ვულკანებმა" 21-ე ტურში გასვლითი შეხვედრა გამართეს **გოდერძი შველიძის** „მონტობანთან" და ფრეს დასჯერდნენ-19:19. ქართველ მორაგბეებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ.

სტუმრად „ბურგუენთან" წააგო **მამუკა გორგოძის** „მონპელიემ"-3:22. გორგოძე განაცხადში არ იყო.

საფრანგეთი. I დივიზიონი. XXI ტური: კასტრი - ტულონი 25:9, ბიარიცი - მონ დე მარსანი 37:7, მონტობანი - კლერმონი 19:19, ბურგუენი - მონპელიე 22:3, დაქსი - პერპინიანი 13:16, ბრივი - ბაიონი 13:6.

სატურნირო მდგომარეობა: 1. პერპინიანი - 73 ქულა, 2. ტულუზი - 70, 3. სტად ფრანსე - 66, 4. კლერმონი - 63, 5. ბრივი - 59, 6. ბაიონი - 55, 7. ბიარიცი - 50, 8. მონტობანი - 48, 9. მონპელიე - 45, 10. კასტრი - 37, 11. ბურგუენი - 34, 12. ტულონი - 33, 13. დაქსი - 29, 14. მონ დე მარსანი - 24.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა



# იანკოვიჩი ღრმა კრიზისია

სეზონის ზედიზედ მეორე მასტერსი სენსაციებით დაიწყო. ზედიზედ მეორე ტურნირის სასტარტო შეხვედრა წააგო მსოფლიოს მესამე ჩოგანმა **ელენა იანკოვიჩმა**. ამჯერად, 24 წლის სერბმა ორ სეტში დათმო მატჩი არგენტინელ **ხისელა დულკოსთან**. შეხვედრა ორ საათსა და 18 წუთს გაგრძელდა და თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მაგრამ ორივე სეტის ბოლოს სამხრეთამერიკელი უფრო ზუსტად თამაშობდა, რამაც კარიერაში იანკოვიჩის პირველად დამარცხების საშუალება მისცა.

ელენამ მაიამის ტურნირამდე ახსნა ამ სეზონში თავისი სუსტი თამაშის მიზეზი. მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს დედა ჰყავს ავად და მასზე მზრუნველობა არ აძლევს სრულფასოვანი ვარჯიშების ჩატარების საშუალებას. თანაც, ელენას ახალი სეზონისთვის განსხვავებული ფიზიკური დატვირთვები გამოუწერეს, რის გამოც ჩოგბურთელმა წონაში მოიმატა. იანკოვიჩის წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად ეს ფაქტორიც სახელდება.

კაცებშიც ერთი სენსაცია მოხდა. **დავიდ ნალბანდიანმა** თითქმის უბრძოლველად დათმო შეხვედრა სერბ **ვიქტორ ტროიცკისთან**. ეს ჩოგბურთელები ერთადერთხელ იყვნენ შეხვედრილნი და მაშინ, ორ სეტში არგენტინელმა გაიმარჯვა. ამჯერად სერბმა დამაჯერებელი რევანში აიღო. შეხვედრა საათსა და 14 წუთს გაგრძელდა, რომლის დროსაც ტროიცკიმ 6-დან ოთხი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, ნალბანდიანმა კი ერთხელაც ვერ შეძლო ბრეიკის აღება.

ასევე მოულოდნელი იყო პორტუგალიელი **ფრედერიკო ჟილის** გამარჯვება ხორვატ **ივო კარლოვიჩზე**. რეიტინგის 74-ე ნომერმა გაუძლო გიგანტი ხორვატის საფირმო მოწოდებებს, თავად კი ორი ბრეიკი აიღო და 6:4, 6:4 გაიმარჯვა.

სავარაუდოდ, ჟილის წარმატებული გამოსვლა აქ შეწყდება. შემდეგ წრეში პორტუგალიელი **რაფაელ ნადალს** უნდა შეხვდეს, რომელმაც ერთ კვირის წინ ინდიან უელსის მასტერსი მოიგო, აქ კი იოლად გაიარა პირველი ბარიერი. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ორ პარტიაში ერთნაირი ანგარიშით - 6:2 დაამარცხა რუსი **თეიმურაზ გაბაშვილი**.

ნადალს მაიამის ტურნირში არასოდეს მოუგია, თუმცა ორჯერ იყო ფინალში - 2005 წელს და შარშანდელ სეზონში, სადაც გადამწყვეტი მატჩი რუს **ნიკოლაი დავიდენკოსთან** წააგო. ამჯერად ამ მასტერსს ახალი ჩემპიონი ეყოლება, ვინაიდან დავიდენკო ტრავმის გამო დიდი ხანია აღარ თამაშობს.

**გია თვალაბეიშვილი**

**ATP**

**Sony Ericsson Open**

მაიამი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**II წრე**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 6:2, 6:2; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-ხუან მონაკო (არგ) 4:6, 6:3, 6:2; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 6)**-მარტინ ვასალო არგელო (არგ) 6:2, 6:2; **ფერნანდო ფერდასკო (ესპ, 8)**-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 6:3, 6:4; **დავიდ ფერერი (ესპ, 11)**-ჯონ ისნერი (აშშ) 6:3, 3:6, 6:2; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 12)**-იგორ კუნიცინი (რუს) 6:4, 6:4; **ვიქტორ ტროიცკი (სერ)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ, 14) 6:1, 6:3; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 16)**-ანდრეას სეპი (იტა) 7:5, 7:5; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 17)**-ამრე დელიჩი (აშშ) 6:3, 6:7 (7), 6:3; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 18)**-ბობი რეინოლდსი (აშშ) 7:5, 6:7 (3), 6:2; **იგორ ანდრეევი (რუს, 20)**-იენ ჰსუნ ლუ (ტაივ) 7:6 (4), 6:3; **ფრედერიკო ჟილი (პორ)**-ივო კარლოვიჩი (ხორ, 26) 6:4, 6:4; **ნიკოლას მასუ (ჩილ)**-მარდი ფიში (აშშ, 27) 5:7, 7:6 (4), 6:2; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ)**-იურგენ მელცერი (ავსტრია. 30), **ფელისიანო ლოპესი (ესპ, 32)**-სემ კუერი (აშშ) 6:7 (5), 7:5, 6:2; **ბიორნ ფაუ (გერ)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 6:4, 2:0; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-კევინ კიმი (აშშ) 6:3, 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-ფრენკ დანჩევიჩი (კან) 6:3, 6:2; **ენდი როდიკი (აშშ, 5)**-დიეგო ხუნკეირა (არგ) 6:1, 6:1; **ჟილ სიმონი (საფ, 7)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) 6:1, 6:2; **გაელ მონფილსი (საფ, 9)**-მაიკლ რასელი (აშშ) 6:2, 6:7 (5), 6:3; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 10)**-აგუსტინ კალერი (არგ) 6:1, 6:1; **ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 13)**-ჟულიან ბენეტო (საფ) 6:4, 6:4; **ტომი რობრედო (ესპ, 15)**-იან ჰერნიხი (ჩეხ) 6:4, 6:4; **ტეილორ დენტი (აშშ)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 19) 2:6, 6:2, 7:6 (7); **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 21)**-მიხაილ იუჟნი (რუს) 6:3, 3:6, 6:4; **მარატ საფინი (რუს, 22)**-ოსკარ ერნანდესი (ესპ) 6:4, 2:6, 6:1; **რობერტ კენდრიკი (აშშ)**-რობინ სიოდერლინგი (შვედ, 23) 6:4, 6:2; **დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 25)**-მიხაილ კუკუშკინი (ყაზ) 3:6, 7:6 (4), 6:3; **ნიკოლას კიფერი (გერ, 28)**-ფაბრის სანტორო (საფ) 5:7, 7:6 (5), 6:2; **რაინერ შუტლერი (გერ, 29)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 4:6, 6:2, 6:3; **პოლ-ანრი მატიო (საფ, 31)**-მარკოს ბალდატისი (კვიპ) 6:3, 2:6, 6:2.

**WTA**

**Sony Ericsson Open**

მაიამი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**II წრე**

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-ალექსა გლეტჩი (აშშ) 6:2, 6:3; **ხისელა დულკო (არგ)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 3) 6:4, 7:6 (5); **ვენუს უილიამსი (აშშ, 5)**-შაარ პეერი (იარ) 6:3, 6:3; **ვერა ზვონარევა (აშშ, 6)**-ტატიანა გარბინი (იტა) 6:4, 6:1; **ნადია პეტროვა (რუს, 9)**-მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ) 3:6, 6:4, 6:2; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 10)**-ტამარინე ტანასუგარნი (ტაივ) 4:6, 6:3, 6:2; **ალიზ კორნე (საფ, 14)**-ბარბოლა ზახვალოვა-სტრიკოვა (ჩეხ) 6:4, 7:6 (4); **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 16)**-კაროლინა შპრემი (ხორ) 6:4, 6:3; **ჟიე ჟენგი (ჩინ, 17)**-ჯულია გორჯესი (გერ) 6:4, 6:2; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 19)**-ალა კუდრიავცევა (რუს) 7:6 (3), 6:4; **კაია კანეპი (ესტ, 21)**-მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (რუს) 4:6, 6:4, 7:5; **ეკატერინა მაკაროვა (რუს)**-აი სუგიამა (იაპ, 23) 6:3, 6:4; **ივეტა ბენეშოვა (ჩეხ, 26)**-საბინ ლისიცკი (გერ) 6:2, 6:4; **ნა ლი (ჩინ)**-ალექსანდრა ვოზნიაკი (კან, 29) 7:5, 6:3; **ანა-ლენა გრონეფელდი (გერ)**-სარა ერანი (იტა, 30) 6:4, 6:3; **შუაი პენგი (ჩინ, 32)**-მარა სანტანჯელო (იტა) 7:5, 6:3; **დინარა საფინა (რუს, 2)**-მატილდ იოჰანსონი (საფ) 6:1, 6:3; **ელენა დემენტიევა (რუს, 4)**-ანასტასია პივოვაროვა (რუს) 6:0, 3:6, 6:3; **ანა ივანოვიჩი (სერ, 7)**-მარია კორიტცევა (უკრ) 6:0, 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 8)**-ტამირა პაჩეკი (ავსტრია) 2:6, 7:5, 6:1; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 11)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს) 6:2, 6:2; **ანასტასია იაკიმოვა (ბლრ)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 12) 6:4, 6:3; **კაროლინ ვოზნიაკი (დან, 13)**-ელენა დოკიჩი (ავსტრა) 6:3, 5:7, 6:2; **ფლავია პენეტა (იტა, 15)**-მარია კირილენკო (რუს) 6:4, 7:5; **პატი შნიდერი (შვეიც, 18)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 4:6, 6:1, 6:4; **ამელი მორესმო (საფ, 20)**-მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ) 6:3, 1:6, 6:2; **ანა ჩაკვეტაძე (რუს, 22)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) 6:3, 6:1; **ალისა კლეიბანოვა (რუს, 24)**-გალინა ვოსკობოევა (ყაზ) 6:2, 6:4; **აგნეს შავაი (უნგ, 25)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა) 2:6, 6:4, 6:2; **სამანტა სტოსური (ავსტრა)**-სიბილ ბამერი (ავსტრია, 27) 6:1, 6:1; **ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)**-ალიონა ბონდარენკო (უკრ, 28) 6:1, 6:0; **კარლა სუარეს ნავარო (ესპ, 31)**-ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ) 3:6, 6:4, 7:6 (3).

რაგბი. ზე 14

# დაუმარცხებელი აღარავინ დარჩა

ზე 14-ის გათამაშების ნახევარი მიილია. დღესდღეობით დაუმარცხებელი აღარავინ დარჩა. მე-7 ტურამდე ერთპიროვნული ლიდერი სამხრეთ აფრიკული „ბლუ ბულზი“ სტუმრად შეხვდა ზელანდიურ „ჰაილენდერზს“ და 12:36 დამარცხდა.

„ხარებმა“ მეტოქეს წინააღმდეგობა მხოლოდ მე-17 წუთამდე გაუწიეს. მასპინძლების მიერ მე-15 წუთზე გატანილ ლელოს აფრიკელებმა ორ წუთში ლელოთივე უპასუხეს. თავი „ხარების“ მხრიდან გარემარბმა **ჯერარდ ფან დე ჰივერმა**, გამოიჩინა, თუმცა **მორნი სტეინმა** გარდასახვის გატანა ვერ შეძლო და ანგარიშში წინ მასპინძლები დარჩნენ-5:7.

ამის შემდეგ ზელანდიური გუნდის უპირატესობა თვალნათელი გახდა. 53-ე წუთისთვის მათ კიდევ სამი ლელოს გატანა შეძლეს და ანგარიშში - 31:5 დაწინაურდნენ. „ლურჯი ხარები“ საკმაოდ უნიათოდ ირჯებოდნენ. ერთადერთი ნათელი წერტილი მათ შემადგენლობაში ათი ნომერი მორნი სტეინი იყო. მან 57-ე წუთზე ლელოს გატანა მოახერხა, რომელიც თვითონვე გარდასახა-12:31.

ბოლო სიტყვა მატჩში მაინც მასპინძლებმა თქვეს. ფულბეკმა **ისრაელ დაგმა** „ხარებს“ მეხუთე ლელო გაუტანა - 36:12. მომდევნო ტურში „ბლუ ბულზს“ არანაკლები გამოცდა ელის. აფრიკული გუნდის მეტოქე ამჯერად ზე 14-ის მოქმედი ჩემპიონი „კრუსეიდერზი“ იქნება.

ეს ზელანდიური გუნდი ნელ-ნელა გონს მოდის და ამჯერად 18 ქულით მე-7 ადგილზეა. მეოთხე ადგილზე მყოფ „ბულზთან“ ქულათა სხვაობა მხოლოდ ოთხია. ესე იგი, მომდევნო ტურში გამარჯვების შემთხვევაში „კრუსეიდერზს“ მნიშვნელოვნად დაწინაურება შეუძლია.

მანამდე კი ზელანდიელებმა სამხრეთაფრიკულ „სტრომერზს“ უმასპინძლეს და საკმაოდ ძნელი გამარჯვება იზეიმეს-11:7. ანგარიში სტუმრებმა მე-10 წუთზე გახსნეს მესამეხაზელი **ლუკ ვოტსონის** ლელოთი, რომელიც **ვილემ და ვაალმა** გარდასახა - 7:0.

საკუთარ მონაგარს სტრომერზელებმა ველარაფერი შემატეს. მასპინძლებმა კი ჯერ **სტეფან ბრეტის** საჯარიმოთი იხეირეს 25-ე წუთზე. რვა წუთში ამას გარემარბმა **ადამ ვაითლოკმა** ლელოც მიაყოლა-8:7.

მთელი მეორე ტაიმი უშედავათო, მაგრამ უშედეგო ბრძოლაში წარიმართა. ერთადერთი, რაც მასპინძლებმა მოახერხეს, 75-ე წუთზე ბრეტის მიერ გატანილი საჯარიმოა - 11:7.

სატურნირო ცხრილს სათავეში კიდევ ერთი სამხრეთ აფრიკული გუნდი, შარშანდელი ფინალისტი „ნატალ შარქსი“ მოექცა. „ზვიგენებმა“ შინ დამაჯერებლად სძლიეს ავსტრალიურ „ბრამბიზს“ - 35:14. მეტ-ნაკლებად თანაბარი ბრძოლა პირველ ტაიმში გამოვიდა. ანგარიში მასპინძელთა გარემარბმა **როჯერ პიეტერსენმა** მე-14 წუთზე გახსნა. მის მიერ გატანილი ლელო **რორი კოქოთმა** გარდასახა - 7:0. ოთხ წუთში ავსტრალიელთა ათმა ნომერმა **კრისტიან ლეალიიფანომ** მასპინძლებს 40-მეტრიანი რეიდი მოუწყო. ის ცრუ მოძრაობით რამდენიმე მეტოქეს დაუსხლტა ხელიდან და ლელო კარის ძელთან ახლოს გაიტანა. **მარკ ჯერარდმა** გარდასახა და ანგარიში გაათანაბრა-7:7.

თუმცა ტაიმის დასრულებამდე „ზვიგენებმა“ მაინც შეძლეს ანგარიშში დაწინაურება. ამჯერად თავი ფულბეკმა **სტეფან ტერბლანჩმა** გამოიჩინა, კოქოთმა გარდასახა-14:7.

მეორე ტაიმში აფრიკული გუნდი მთლიანად დომინირებდა. რორი კოქოთის, **იაკ ბოთას** და **რაიან კანკოვსკის** ლელოებს სტუმრებმა მხოლოდ **სალესი მააფუს** ლელოთი უპასუხეს - 35:14.

**ბესიკ ჯანგავაძე**



**VII ტური**

| | |
|---|---|
| ბლუზი (ზელ) - ვორათაზი (ავსტრ) | 22:27 |
| ჰაილენდერზი (ზელ) - ბულზი (ს.აფრ) | 36:12 |
| კრუსეიდერზი (ზელ) - სტრომერზი (ს.აფრიკა) | 11:7 |
| რედსი (ავსტრ) - ჩიფსი (ზელ) | 26:50 |
| შარქსი (ს.აფრ) - ბრამბიზი (ავსტრ) | 35:14 |
| ლაიონზი (ს.აფრ) - ჰარიკენზი(ზელ) | 32:38 |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. შარქსი - 26 ქულა, 2. ვორათაზი - 23, 3. ჩიფსი - 22, 4. ბულზი - 22, 5. ჰარიკენზი - 20, 6. ჰაილენდერზი - 18, 7. კრუსეიდერზი - 18, 8. ბლუზი - 18, 9. სტრომერზი - 13, 10. ბრამბიზი - 13, 11. რედსი - 12, 12. ფორსი - 11, 13. ლაიონზი - 12, 14. ჩიტაზი - 2.

**VIII ტური**

**3 აპრილი**

კრუსეიდერზი (ზელ) - ბულზი (ს.აფრ)
ფორსი (ავსტრ) - რედსი (ავსტრ)

**4 აპრილი**

ჩიფსი (ზელ) - ლაიონზი (ს.აფრ)
ვორათაზი (ავსტრ) - სტრომერზი (ს.აფრიკა)
ჩიტაზი (ს.აფრ) - ბრამბიზი (ავსტრ)
შარქსი (ს.აფრ) - ჰარიკენზი (ზელ)

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**27 მარტი**

**ვაშინგტონი–ტამპა ბეი 5:3**

3:1, 0:1, 2:1

გოლები: 1:0 ოვეჩკინი-52 (ბექსტრიომი-59, ლეიჩი-24), 2:0 ბექსტრიომი-20 (ოვეჩკინი-46, გრინი-38), 2:1 სენტ ლუისი-29 (პეტინგერი-6, ლემოფი-6), 2:2 ბექსტრიომი-21 (გრინი-39, ოვეჩკინი-47), 3:2 სტემკოსი-19 (მელოუნი-18, სენტ ლუისი-47), 3:3 პროსპალი-19 (სენტ ლუისი-48), 4:3 პოტიე-1 (ლეიჩი-25, კ. ოკუანი-2), 5:3 19:53, ოვეჩკინი-53 (ლეიჩი-26).

**ბაფალო–ტორონტო 5:3**

2:0, 2:1, 1:2

გოლები: 1:0 ჰეხტი-10 (გოსტადი-17, კალეტა-5), 2:0 კონოლი-15 (პომინვილი-40, ტალინდერი-10), 3:0 პეი-11 (მური-32, შპაჩეკი-29), 4:0 კონოლი-16 (ბატლერი-4, პომინვილი-41), 4:1 დევერო-1 (სტაიანი-36), 4:2 სტაიანი-15 (დევერო-3, ჰემილტონი-3), 4:3 კულემინი-13 (გრაბოვსკი-25, პონიკაროვსკი-34), 5:3 გოსტადი-10 (ჰეხტი-14, ტალინდერი-11).

**დეტროიტი–აილენდერსი 0:2**

0:0, 0:2, 0:0

გოლები: 0:1 ნილსენი-7 (ოკსოპო-17, ვიტი-9), 0:2 ბეილი-6 (ჯეკმანი-5).

**ჩიკაგო–ნიუ ჯერსი 3:2 (ო)**

1:2, 1:0, 0:0, 1:0

გოლები: 1:0 ვერსტეეგი-21 (ჰავლატი-41), 1:1 პარიზე-42 (ზაიაცი-40, ლანგენბრუნერი-39), 1:2 მარტინი-5 (ჯონტა-38, ზუბრუსი-24), 2:2 ჰავლატი-26 (კეიტი-34, სიბრუკი-16), 3:2 სიბრუკი-7 (ჰავლატი-42, ტეუვზი-33).

**კოლორადო–ვანკუვერი 1:4**

1:0, 0:1, 0:3

გოლები: 1:0 გილიარდი-1 (ლაპერიერი-12, ჰენანი-9), 1:1 ჰ. სედინი-18 (დემიტრა-31, უ. მიტჩელი-19), 1:2 დ. სედინი-28 (სუნდინი-13, ბიეკსა-30), 1:3 დემიტრა-18 (სუნდინი-14, კესლერი-31), 1:4 ედლერი-10 (დ. სედინი-45, ჰ. სედინი-54).

**ანაჰაიმი–ედმონტონი 3:5**

1:2, 1:2, 1:1

გოლები: 0:1 პენერი-16 (ჰორკოფი-32, ო'სალივანი-26), 0:2 პიზანი-5 (კოლიაჩო-19), 1:2 გეტცლაფი-24 (პერი-36, რაიანი-23), 2:2 გეტცლაფი-25 (პრონგერი-36, რაიანი-24), 2:3 პენერი-17 (სემ განიე-22, ჰემსკი-39), 2:4 ბროძიაკი-11, 3:4 პერი-27 (გეტცლაფი-55, ბრუკბანკი-3), 3:5 კოტალიკი-17 (ჰემსკი-40, სურიე-27).

**28 მარტი**

**პიტსბურგი–რეინჯერსი 4:3**

2:2, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 ტელბოტი-11 (ფედოტენკო-17, ორპიკი-17), 2:0 კუკი-10 (ტელბოტი-9, მალკინი-74), 2:1 კელეჰანი-20 (ეივერი-12, გომესი-39), 2:2 დუბინსკი-10 (ჟერდიოვი-34, მორისი-12), 3:2 ფედოტენკო-14 (სკუდერი-13, კენედი-16), 3:3 ანტროპოვი-27 (დრური-32, ჟირარდი-16), 4:3 კროსბი-29 (ფედოტენკო-18).

**ტორონტო–ბოსტონი 5:7**

3:3, 1:4, 1:0

გოლები: 1:0 კულემინი-14 (პონიკაროვსკი-35, ფინგერი-15), 1:1 კობესიუ-19 (ჰანვიკი-16, ლუჩიჩი-23), 1:2 რაიდერი-26 (ვიდემანი-33, კრეისი-44), 2:2 ჯ. მიტჩელი-10 (ჯეისონ ბლეიკი-34, ი. უაიტი-15), 3:2 პონიკაროვსკი-22 (გრაბოვსკი-26, ორეშკოვიჩი-1), 3:3 რეკი-18 (ჰანვიკი-17, რაიდერი-23), 4:3 პონიკაროვსკი-23 (გრაბოვსკი-27), 4:4 რეკი-19 (სავარი-56, ვიდემანი-34), 4:5 შ. ტორნტონი-6 (ჰანვიკი-18, ს. სტიუარტი-11), 4:6 კრეისი-22 (ლუჩიჩი-24, ვიდემანი-34), 4:7 უილერი-19 (აქსელსონი-22, სავარი-57), 5:7 ჰაგმანი-20 (ჯეისონ ბლეიკი-35, ჯ. მიტჩელი-17).

**მონრეალი–ბაფალო 3:4 (ბ)**

0:1, 3:1, 0:1, 0:0

გოლები: 0:1 მეირი-8 (ჰეხტი-15, ლიდმანი-17), 0:2 კონოლი-17, 1:2 ჰიგინსი-10 (დანდენო-6, გორჯესი-17), 2:2 კოვალიოვი-21 (ს. კოივუ-29, ტანგეი-24), 3:2 კოვალიოვი-22 (შნაიდერი-21, ტანგეი-25), 3:3 მაკარტური-15 (პომინვილი-42, კონოლი-22).

ბულიტები გაიტანეს: ლიდმანი (ბაფალო).

**ატლანტა–ოტავა 6:3**

2:2, 3:0, 1:1

გოლები: 0:1 სპეცა-28 (ფოლინო-13), 1:1 ოსტრიკი-4 (პერენი-14, კ. არმსტრონგი-15), 1:2 სპეცა-29 (მენონი-9, ბელი-14), 2:2 კოვალჩუკი-40 (ტ. უაიტი-48, ენსტრიომი-23), 3:2 ენსტრიომი-5 (ვიაჩ. კოზლოვი-45, კოვალჩუკი-47), 4:2 რისონერი-13 (პერენი-15, ბულტონი-10), 5:2 კ. არმსტრონგი-19 (პევერლი-26, ვიაჩ. კოზლოვი-46), 5:3 შენონი-7 (კუბა-35, სპეცა-38), 6:3 ვიაჩ. კოზლოვი-24 (ტ. უაიტი-49, ენსტრიომი-24).

**ნიუ ჯერსი–კაროლინა 1:2**

1:0, 0:0, 0:2

გოლები: 1:0 ელიაში-31 (ჯონტა-39, სალვადორი-12), 1:1 სამსონოვი-16 (კორვო-22, ბრინდამორი-33), 1:2 ტ. რუუტუ-24 (ე. სტაალი-33, კორვო-23).

**აილენდერსი–ფილადელფ 3:4 (ბ)**

1:0, 1:0, 1:3, 0:0

გოლები: 1:0 მარტინეკი-4 (ჯეკმანი-6, ტომპსონი-2), 2:0 ტამბელინი-6 (ოკსოპო-18, ნილსენი-23), 2:1 ლუპული-22, 2:2 ჰარტნელი-29 (ჯ. კარტერი-35, მ. კარლი-16), 2:3 ლუპული-23 (ჰარტნელი-30), 3:3 შტრაიტი-16 (ოკსოპო-19, ჟერვე-13).

ბულიტები გაიტანეს: ბრიერი (ფილადელფია), ნილსენი (აილენდერსი), მ. რიჩარდსი (ფილადელფია).

**ნეშვილი–ლოს ანჯელესი 4:3 (ო)**

1:1, 0:1, 2:1, 1:0

გოლები: 0:1 ბოილი-2, 1:1 ო'რაილი-1 (სალივანი-14, ერატი-30), 1:2 მ. გრინი-2 (კოპიტარი-37), 2:2 ჯ. კორდი-16 (ერატი-31), 3:2 მ. უებერი-21 (სალივანი-15, ერატი-32), 3:3 ჯ. ჯონსონი-5 (ჰანძუში-22, კალდერი-18), 4:3 სალივანი-9 (სატერი-37, ერატი-33).

**დალასი–ფლორიდა 3:6**

1:0, 1:3, 1:3

გოლები: 1:0 რიბეირო-20 (ოტი-22, ლ. ერიქსონი-25), 1:1 სტილმანი-16 (უეისი-42, ჰორტონი-22), 2:1 იისკანენი-6 (რიბეირო-50), 2:2 უეისი-13 (ფროლიკი-19, ბოუმისტერი-24), 2:3 ჰორტონი-20 (დვორაკი-21, სტილმანი-28), 2:4 კრეპსი-4 (პელტონენი-18), 3:4 კონერი-2 (გროსმანი-10, ბ. მორისონი-14), 3:5 ბოუმისტერი-15 (ბოინტონი-16, სტილმანი-29), 3:6 დვორაკი-14.

**სენტ ლუისი–კოლამბუსი 4:3 (ბ)**

2:1, 1:0, 0:2, 0:0

გოლები: 1:0 ტკაჩუკი-22 (ვინჩესტერი-6, მაკკი-5), 1:1 ვერმეტი-15 (უმბერგერი-19), 2:1 ბერგლუნდი-20 (პერონი-34, პოლაკი-14), 3:1 სტინი-8 (კრომბინი-10, მაკლემანი-12), 3:2 ჰუსელიუსი-21 (ჯეისონ უილიამსი-25), 3:3 ნეში-35 (პეიდა-16, ტოუტინი-25).

ბულიტები გაიტანეს: ბოიესი (სტ. ლუისი), ნეში (კოლამბუსი), პერონი (სტ. ლუისი).

**კალგარი–მინესოტა 3:2**

2:1, 1:1, 0:0

გოლები: 0:1 ბრუნეტი-19 (კლატენბაკი-6, ფოსტერი-1), 1:1 ლუნდმარკი-7 (ფანოფი-33), 2:1 ლენგკოუ-20 (ბერტუცი-29, ლუნდმარკი-8), 2:2 შეპარდი-5 (უელერი-2, ველი-8), 3:2 ნისტრიომი-5 (იგინლა-53, ო. იოკინენი-26).

**სან ხოსე–ფინიქსი 3:2**

0:0, 2:2, 1:0

გოლები: 0:1 ზაუერი-1 (პანჟალი-19), 1:1 შელი-2, 2:1 კავენაგი-1 (სეტოგუჩი-32, მ. მიხალეკი-33), 2:2 ლომბარდი-14 (ზ. მიხალეკი-20), 3:2 პაველსკი-23 (ერჰოფი-29, სეტოგუჩი-33).

კრივი

# უკრაინული კონტრაბანდა

## ვლადიმირ კლიჩკო ჰეისთან იჩხუბებს




უკრაინელი მძიმეწონოსანი **ვიტალი კლიჩკო** ფრანკფურტის აეროპორტში დააკავეს. პოლიციას ეჭვი ჰქონდა, რომ WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონს გერმანიაში კონტრაბანდა შეჰქონდა. საქმე ეხება შვეიცარიულ IWC-ის საათსა და Montblanc-ის ჩანთას. ამ ინფორმაციას გერმანული ტაბლოიდი "ბილდი" აქვეყნებს. უკრაინელი მოკრივე 25 მარტს დააკავეს, თუმცა ინციდენტის შესახებ მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი.

37 წლის ვიტალი კლიჩკო ფრანკფურტში კიევიდან ჩაფრინდა. ის კიევის საქალაქო საბჭოს დეპუტატის სტატუსით სტუმრობდა გერმანიას. ვიტალი თავისი ძმის **ვლადიმირისთვის** დაბადების დღის მილოცვასა და მასთან ერთად ჯგუფ AC/DC-ის კონცერტზე წასვლას აპირებდა.

აეროპორტის გასასვლელში უკრაინელ მძიმეწონოსანს ორი მებაჟე მიუახლოვდა. ისინი დაინტერესდნენ, თუ საიდან ჰქონდა ვიტალის საათი, რომლის ღირებულება ათას ევროს აღემატება. მოკრივემ მებაჟეებს უპასუხა, რომ ეს საათი ორი წლის წინ "სპორტული ოსკარების" გადაცემის ცერემონიის დროს აჩუქეს. ნივთების შემოწმების შემდეგ კლიჩკო ერთ საათში გაათავისუფლეს.

"ბილდი" წერს, რომ ამ ინციდენტთან დაკავშირებით ვიტალი თავისი ადვოკატის სამსახურს მიმართავს.

■ ■ ■

ამასობაში გაირკვა, რომ მძიმე წონაში სამი ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი ვლადიმირ კლიჩკო 20 ივნისს გერმანიაში შეხვდება ბრიტანელ **დევიდ ჰეის**.

უკრაინელი მოკრივის მენეჯერებმა ოფიციალურად დაადასტურეს გაჭიანურებული მოლაპარაკებების დასრულების შესახებ. მათი ინფორმაციით, მომავალი ბრძოლის კონტრაქტს უახლოეს დღეებში მოეწერება ხელი.

დოპინგი

# დოპინგი რუსების საქმეა

რუსული სპორტი კიდევ ერთ დოპინგსკანდალში გაეხვია. ამჯერად ამ ქვეყნის ქალ მოთხილამურეთა ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს **ოლგა მატვეევას** აღმოუჩინეს ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი.

რუს სპორტსმენს დოპინგტესტი ახალი წლის შემდეგ გამართული მსოფლიოს თასის პირველ ეტაპზე, კანადის კურორტ უისტლერში ჩაუტარდა. მატვეევას სისხლში ერითროპოეტინის შემცველობა აღმოაჩინეს.

A სინჯში აკრძალული პრეპარატის არსებობის შესახებ მარტის მეორე ნახევარში გახდა ცნობილი და ამის გამო მატვეევამ მონაწილეობა ვერ მიიღო შვედეთში მსოფლიოს თასის დასკვნით ეტაპზე.

ამის შემდეგ კი B სინჯის ანალიზი ჩატარდა, რომელსაც კანადაში თავად სპორტსმენიც ესწრებოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, განმეორებითმა სინჯმაც დადებითი შედეგი აჩვენა. ახლა მატვეევას ორიდან ოთხ წლამდე დისკვალიფიკაცია ელის. რუსს ორწლიანი სასჯელიც რომ აკმარონ, ახალი წესების თანახმად, მას არამარტო ვანკუვერის (2010), არამედ სოჭის ზამთრის თამაშების (2014) გამოტოვებაც მოუწევს. ასე რომ, მატვეევასთვის კარიერა პრაქტიკულად დასრულებულია.

წელს ამ მოთხილამურეს კარიერაში საუკეთესო სეზონი ჰქონდა. მან სპრინტში ორი ეტაპის მოგება შეძლო.

ცურვა

# ჩხუბისთავი ციხეს გადაურჩა

სკანდალურად ცნობილი ავსტრალიელი მოცურავე **ნიკ დ'არსი** პატიმრობას გადაურჩა. ის სასამართლოს წინაშე თანაგუნდელ **საიმონ კოულის** ცემისა და მისთვის მძიმე ტრავმების მიყენების გამო წარდგა.

სასამართლომ დ'არსის 14-თვიანი პირობითი სასჯელი აკმარა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოცურავემ მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მიიღო. წელს, საწყლოსნო სპორტის სახეობებში პლანეტის პირველობა აგვისტოს დასაწყისში რომში გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ სასამართლო გარჩევა გამოიწვია ინციდენტმა, რომელიც 2008 წლის 31 მაისს, სიდნეის ერთ-ერთ ბარში მოხდა, სადაც მოცურავეები პეკინის ოლიმპიადაზე გასამგზავრებელ შემადგენლობაში მოხვედრას ზეიმობდნენ. დ'არსიმ იმ დღეს ზედმეტი დალია და თანაგუნდელ კოულის ჩხუბი აუტეხა, რის შემდეგაც ამ უკანასკნელს ცხვირი და ყბა გაუტყდა და მხედველობაც დაუზიანდა. ამ ინციდენტის შემდეგ ავსტრალიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ჩხუბისთავს პეკინის თამაშებზე გამგზავრება აუკრძალა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

### 27 მარტი

**ორლანდო-მილუოკი 110:94**

21:20, 28:23, 31:27, 30:24

ო: ლუისი (19+8 მოხსნა+3 დაფარება), თურქოგლუ (18+9 მოხსნა), დ. ჰოვარდი (18+8 მოხსნა), კ. ლი (16), ელსტონი (11+3 ჩაჭრა), გორტატი (10+11 მოხსნა).

მ: ჩ. ბელი (19), სეშენსი (19), რ. ჯეფერსონი (13+7 მოხსნა), ვილანუევა (11).

**ფილადელფია-შარლოტი 95:100**

23:29, 10:21, 27:23, 35:27

ფ: იგუოდალა (25), ტ. იანგი (21+7 მოხსნა), ლ. უილიამსი (14), რ. ევანსი (10+3 ჩაჭრა).

შ: დიაო (24+6 პასი), ფელტონი (20+3 ჩაჭრა), ჯ. უოლასი (14+11 მოხსნა), რ. ბელი (13+8 მოხსნა+4 ჩაჭრა), ოგუსტინი (13).

**ტორონტო-ოკლაჰომა 112:96**

28:18, 23:22, 33:25, 28:31

ტ: ბოში (21+13 მოხსნა+6 პასი+3 დაფარება), მერიონი (20+11 მოხსნა), კალდერონი (15), ბარნიანი (14+9 მოხსნა), ჯ. პარკერი (12), უკიჩი (8+10 პასი).

ო: კოლისონი (21+7 მოხსნა), დურანტი (18+3 ჩაჭრა), ჯ. გრინი (11), კრსტიჩი (11), უესტბრუკი (10).

**ატლანტა-ბოსტონი 93:99**

25:28, 17:24, 18:25, 33:22

ა: ჯ. სმიტი (22+11 მოხსნა+3 დაფარება), ჯ. ჯონსონი (22), ბიბი (19), მერფი (11), ჰორფორდი (6+14 მოხსნა).

ბ: რ. ალენი (22), პირსი (21), გ. დევისი (19+12 მოხსნა), პაუსი (12), მარბერი (11), მური (2+10 მოხსნა).

**კლივლენდი-მინესოტა 107:85**

27:18, 29:21, 23:25, 28:21

კ: ლ. ჯეიმსი (25+12 მოხსნა+7 პასი), მ. უილიამსი (22), დ. უესტი (13+6 პასი), გიბსონი (12), ილგაუსკასი (11), ვარეჟაო (10+9 მოხსნა).

მ. ლავი (18), ფოიე (18), კ. სმიტი (10).

**ნიუ ჯერსი-ლეიკერსი 95:103**

25:31, 24:20, 21:30, 25:22

ნ-ჯ: კარტერი (20+7 მოხსნა), ჯ. მეიესი (19), ბ. ლოპესი (16+10 მოხსნა), დ. ჰარისი (13+14 პასი).

ლ: პ. გასოლი (36+11 მოხსნა+7 პასი), ფიშერი (18), ბრაიანტი (14+9 პასი+4 ჩაჭრა), ოდომი (12+11 მოხსნა), არიზა (11).

**ნიუ იორკი-ნიუ ორლეანი 103:93**

23:26, 19:23, 35:16, 26:28

ნ-ი: ჰარინგტონი (23+8 მოხსნა), დ. ლი (18+11 მოხსნა), დუჰონი (15+7 პასი), ჩენდლერი (15+8 მოხსნა), ჰოუზი (11+6 პასი+3 ჩაჭრა).

ნ-ო: დ. უესტი (29+7 მოხსნა), პოლი (22+10 პასი+3 ჩაჭრა), ჯ. რაიტი (11+14 მოხსნა).

**დალასი-დენვერი 101:103**

26:25, 26:32, 24:29, 25:17

დალ: ნოვიცკი (26+11 მოხსნა), ბარეა (22), ტერი (20).

დენ: ენტონი (43+11 მოხსნა), სმიტი (22), მარტინი (10), კ. ანდერსენი (7+9 მოხსნა).

**სან ანტონიო-კლიპერსი 111:98**

39:19, 18:27, 39:26, 15:26

ს-ა: ტ. პარკერი (18+6 პასი), ჯინობილი (14+7 პასი+3 ჩაჭრა), გუდენი (14), დანკანი (13), ფინლი (11), ბონერი (10), კ. ტომასი (10).

კ: მ. ტეილორი (23), ე. გორდონი (18), ზ. რენდოლფი (16), ტორნტონი (16).

**საკრამენტო-მემფისი 95:113**

22:32, 15:27, 30:23, 28:31

ს: მარტინი (31), ტომპსონი (17+8 მოხსნა), ნოჩიონი (14), გარსია (10+7 მოხსნა).

მ: მ. გასოლი (27), გეი (23+9 მოხსნა), კონლი (20), უორიკი (13).

### 28 მარტი

**ჩიკაგო-ინდიანა 112:106**

21:35, 33:23, 33:22, 25:26

ჩ: ბ. გორდონი (25+3 ჩაჭრა), სალმონსი (22), ტაირუს ტომასი (18+8 მოხსნა+7 დაფარება), ბ. მილერი (17+3 ჩაჭრა), დ. როუზი (16+9 მოხსნა+8 პასი).

ი: გრეინჯერი (32+3 ჩაჭრა), ბ. რაში (29), ფორდი (14+7 მოხსნა+6 პასი), ჯეკი (10+9 პასი), ფოსტერი (7+18 მოხსნა).

**შარლოტი-ნიუ იორკი 96:85**

20:27, 30:17, 23:23, 23:18

შ: ჯ. უოლასი (23+9 მოხსნა+8 პასი+3 დაფარება), ოგუსტინი (19), რ. ბელი (14+8 მოხსნა), ოკაფორი (13+14 მოხსნა), დიაო (12+8 მოხსნა).

ნ-ი: ჩენდლერი (18+9 მოხსნა+3 დაფარება), ჰარინგტონი (18+4 ჩაჭრა), დ. ლი (14+10 მოხსნა), რობინსონი (13).

**ვაშინგტონი-დეტროიტი 96:98**

26:29, 27:31, 19:24, 24:14

ვ: ჯეიმისონი (21), არენასი (15+10 პასი), ბლეტჩი (15), ნ. იანგი (13), კ. ბატლერი (11+10 მოხსნა).

დ: ჰემილტონი (31), პრინსი (19), სტაკი (13+6 პასი), მაქსიელი (10+7 მოხსნა), მაკდაისი (8+11 მოხსნა), კ. ბრაუნი (0+11 მოხსნა).

**მაიამი-მილუოკი 102:85**

28:23, 30:20, 19:20, 25:22

მაი: უეიდი (27+7 პასი+3 ჩაჭრა), ჰასლემი (16+12 მოხსნა), ჯ. ჯონსი (11), ბიზლი (11), ჯ. ო'ნილი (10).

მილ: რ. ჯეფერსონი (32), გაძურიჩი (18+12 მოხსნა), სეშენსი (10+8 პასი).

**ჰიუსტონი-კლიპერსი 110:93**

30:17, 27:19, 28:23, 25:34

ჰ: იაო მინი (21+15 მოხსნა), ბრუქსი (21), ბატიე (15), არტესტი (13), სკოლა (13), ვაფერი (11), ჩ. ჰეიესი (4+10 მოხსნა).

კ: ე. გორდონი (17), კამანი (16), ტორნტონი (12), ზ. რენდოლფი (12+8 მოხსნა), მ. ტეილორი (11+6 პასი), ნოვაკი (10).

**დენვერი-გ. სტეიტი 129:116**

26:25, 40:32, 38:17, 25:42

დ: ენტონი (31), კლეიზა (22), ბილაპსი (14+6 პასი), კ. მარტინი (11+4 დაფარება), სმიტი (10), ბელკმენი (10), კ. ანდერსენი (10+11 მოხსნა), ე. კარტერი (3+13 პასი).

გ-ს: კროუფორდი (30), აზუბუიკე (21+9 მოხსნა), მორო (18), ელისი (17+7 მოხსნა), უოტსონი (13+7 მოხსნა), ე. რენდოლფი (10+14 მოხსნა+3 ჩაჭრა+4 დაფარება).

**იუტა-ფინიქსი 104:99 (ო)**

27:24, 25:11, 17:23, 21:32, 14:9

ი: ოქური (26+11 მოხსნა), დ. უილიამსი (21+13 პასი), ბუზერი (14+10 მოხსნა), რ. ბრიუერი (12+7 მოხსნა).

ფ: ნეში (20+6 პასი), ჰილი (19+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), შ. ო'ნილი (16+10 მოხსნა+4 ჩაჭრა), დადლი (15+8 მოხსნა), ბარნსი (14+10 მოხსნა).

**პორტლენდი-მემფისი 86:66**

25:16, 23:20, 20:11, 18:19

პ: როი (21+8 მოხსნა), ოლდრიჯი (18+7 მოხსნა), ოდენი (12+9 მოხსნა), პრჟიბილა (7+10 მოხსნა).

მ: მაიო (12), გეი (10), მ. გასოლი (10).

ცხელი ხაზი

| კალათბურთი | |
|---|---|
| **NBA** | |
| კლივლენდი-დალასი | 102:74 |
| ატლანტა-ლეიკერსი | 86:76 |
| მინესოტა-ნიუ ჯერსი | 108:99 |
| ტორონტო-ჩიკაგო | ძ.დ. 119:119 |
| **გერმანია** | |
| კიოლნი-ულმი | 78:80 |
| ალბა-ჯაიანტსი | 88:78 |
| ტელეკომი-გეტინგენი | 82:68 |
| ჰესენი-ლუდვიგსბურგი | 71:78 |
| ოლდენბრუგი-ტრირი | 91:66 |
| სკაილაინერსი-ბროსე | 60:67 |
| ბრემერჰავენი-ტუბინგენი | 85:92 (ო) |
| დიუსელდორფი-ბრაუნშვაიგი | 74:72 |
| არტლანდი-პადერბორნი | 77:73 |
| **ესპანეთი** | |
| ბარსელონა-უნიკახა | 95:94 (ო) |
| ფუენლაბრადა-გრანადა | 90:74 |
| ესტუდიანტესი-მანრესა | 86:65 |
| ვალენსია-კახასოლი | 89:98 |
| სარაგოსა-ბრუესა | 79:92 |
| მურსია-ტაუგრესი | 85:94 |
| ხუვენტუდი-ბილბაო | 98:77 |
| გრან კანარია-რეალი | 72:68 |
| **იტალია** | |
| ფორტიტუდო-ვირტუსი | 74:75 |
| სნაიდერო-მილანი | 85:88 |
| სკავოლინი-ბენეტონი | 54:81 |
| კაზერტა-ბიელა | 81:85 |
| ტერამო-რიეტი | 85:58 |
| კანტუ-მონტეგრანარო | 86:74 |
| რომა-ფერარა | 88:93 |
| მონტეპასკი-აველინო | გადაიდო |
| **საფრანგეთი** | |
| ბეზანსონი-ვიში | 96:90 (ო) |
| ჰავრი-შალონი | 61:68 |
| ნანსი-რუანი | 96:73 |
| პო ორტეზი-სტრასბური | 82:74 |
| როანი-გრაველენი | 68:61 |
| ტულონი-ორლეანი | 65:72 |
| შოლე-დიჟონი | 66:74 |

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ავსტრია** | |
| ზალცბურგი-კლაგენფურტი | 1:4 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-მანჰაიმი | 4:0 |
| ჰანოვერი-დიუსელდორფი | 5:2 |
| **დანია** | |
| ჰერნინგი-სენდერიისკი | 2:2 |
| **ნორვეგია** | |
| სპარტა-ვოლერენგა | 0:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| სლოვანი-სკალიცა | 2:2 |
| **ფინეთი** | |
| კალპა-იუვიასკიულა | 1:4 |
| კერპეტი-კიეკო | 3:2 |
| **ჩეხეთი** | |
| კარლოვი ვარი-სპარტა | 4:1 |
| **შვეიცარია** | |
| დავოსი-ფრიბურგი | 4:3 |
| **შვედეთი** | |
| ჰვ71-ფრიოლუნდა | 4:2 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. მაიამი** | |
| როდიკი-ტურსუნოვი | 7:6, 6:2 |
| რობრედო-დენტი | 5:7, 3:6 |
| სიმონი-შუტლერი | 3:6, 6:1, 6:1 |
| ფედერერი-კიფერი | 6:4, 6:1 |
| მონფილსი-საფინი | 5:7, 7:5, 7:6 |
| **WTA. მაიამი** | |
| აზარენკა-ჩაკეტაძე | 6:1, 6:4 |
| დემენტიევა-ს. ნავარო | 6:2, 6:2 |
| კლეიბანოვა-იაკიმოვა | 6:3, 3:6, 6:4 |
| კუზნეცოვა-ვაიდიშოვა | 6:1, 6:4 |
| ივანოვიჩი-შავაი | 4:6, 6:4, 1:6 |
| საფინა-სოსური | 1:6, 4:6 |
| კორნე-ჟენგი | 4:6, 0:6 |
| ვოზნიაჩკი-შნიდერი | 6:4, 6:4 |
| ა. რადვანსკა-კანეპი | 6:4, 6:3 |
| დულკო-ბენეშოვა | 3:6, 2:6 |
| ვ. უილიამსი-გრონეფელდი | 7:5, 6:3 |
| ზვონარევა-ნა ლი | 4:6, 6:3, 2:6 |

TV პროგრამა

### 30 მარტი. ორშაბათი

**I არხი**

23:00 საფეხბურთო მიმოხილვა - გოლი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:30 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. რუსეთი-აზერბაიჯანი.
08:20 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ისრაელი-საბერძნეთი.
10:10 ამხანაგური მატჩი. ინგლისი-სლოვაკეთი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. რუმინეთი-სერბეთი.
14:10 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. პორტუგალია-შვედეთი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. რუსეთი-აზერბაიჯანი.
18:10 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი ძატჩი. ისრაელი-საბერძნეთი.
20:00 ამხანაგური მატჩი. ინგლისი-სლოვაკეთი.
21:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:15 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. რუმინეთი-სერბეთი.
00:05 საფეხბურთო ღამე.
00:35 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
02:15 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. პორტუგალია-შვედეთი.
04:05 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. რუსეთი-აზერბაიჯანი.
05:55 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ისრაელი-საბერძნეთი.

**EUROSPORT**

10:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. I დღე. პეკინი (LIVE).
13:30 ნიჩბოსნობა. ტრადიციული რეგატა. ოქსფორდი-კემბრიჯი. ლონდონი. ბრიტანეთი.
14:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. მასსტარტი. კაცები. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი.
14:45 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. მასსტარტი. ქალები. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი.
15:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. I დღე. პეკინი.
18:30 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. მასსტარტი. კაცები. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი.
19:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/16 ფინალი. მაიამი. აშშ.
22:45 მულტისპორტი.
23:00 არმრესტლინგი.
00:25 მულტისპორტი.
00:30 ბრძოლა წესების გარეშე.
01:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩების მიმოხილვა.
02:30 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი კროსში. კაცები. ამანი. იორდანია.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. ავსტრალია.
11:00 ახალი ამბები.
12:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. 1/4 ფინალი. I მატჩი. ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი)-რაინ ნეკარი (გერმანია).
13:00 ახალი ამბები.
13:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. 1/4 ფინალი. I მატჩი. ზაგრები (ხორვატია)-კილი (გერმანია).
14:30 ახალი ამბები.
15:00 სერფინგი. ავსტრალია.
15:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ტელეჟურნალი.
15:30 ახალი ამბები.
16:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. 1/4 ფინალი. I მატჩი. სიუდადა რეალი (ესპანეთი)-ვეჟპრემი (უნგრეთი).
17:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-შოტლანდია.
17:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ჩერნოგორია-იტალია.
18:15 წყალბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ტელეჟურნალი.
18:45 ახალი ამბები.
19:00 მოტოკროსი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იტალია.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 უნივერსიადა 2009. ტელეჟურნალი.
21:45 ახალი ამბები.
22:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ტელეჟურნალი.
22:15 უნივერსიადა 2009. ტელეჟურნალი.
22:30 ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი.
00:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩების მიმოხილვა.
01:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
02:00 ახალი ამბები.

ფორმულა 1. ავსტრალიის გრანპრი




# ბრავო, ბრაუნი!!!

**ჯენსონ ბატონი** უკვე გახდა წლევანდელი სეზონის მთავარი სენსაციის ავტორი. ბრიტანელმა ავსტრალიის გრანპრი მოიგო. არანაკლებ გაგვაკვირვა ბატონის საჯინიბომ - "ბრაუნ გრანპრიმ", რომელმაც დუბლის შესრულება შეძლო - **რუბენს ბარიკელო** ფინიშზე მეორე მივიდა.

შაბათს "ბრაუნი" ბოლო 39 წლის განმავლობაში პირველი გუნდი გახდა, რომელმაც სადებიუტო გრანპრიში პოული მოიგო. იყოჩაღა ბატონმა, რომლისთვისაც ეს მეოთხე წარმატება იყო კარიერაში, ბარიკელომ კი კვალიფიკაციაში მეორე ადგილი დაიკავა.

საკვალიფიკაციო დუბლმა გვარიანად შეაშინა კონკურენტები.

*"უბრალოდ, დაუჯერებლია! ჯერ კიდევ ერთი თვის წინ ისინი სახლში ისხდნენ და მომავლის არანაირი იმედი არ ჰქონდათ. დღეს კი "ბრაუნი" ჩემპიონის ტიტულისთვის საბრძოლველად არის მზად"*, - გაკვირვებას ვერ მალავდა **ფერნანდო ალონსო**. *"თუ ისინი ასეთ ტემპში გააგრძელებენ, ჩემპიონატს სეზონის შუაში მოიგებენ და სეზონს ყოველგვარ ინტრიგას დაუკარგავენ"*, - ეს ფელიპე მასას სიტყვებია.

გუშინდელი გრანპრის მსვლელობას ქვემოთ - რბოლის სტენოგრამაში გაეცნობით, ჩვენ კი ავსტრალიური ეტაპის მთავარი მომენტები გამოვყოთ.

"ბრაუნის" (ყოფილი "ჰონდა") ტრიუმფი ბოლო ორ სეზონში გაწეული დაძაბული მუშაობის შედეგია. და ამ სამუშაოს სულისჩამდგმელი ბრიტანული საჯინიბოს ამჟამინდელი მფლობელი, გენიალური **როს ბრაუნი** გახლავთ.

არ გაუმართლა მესამე ადგილის მფლობელ **იარნო ტრულის**. იტალიელმა პოდიუმზე შამპანურის წვიმაში კი იბანავა, მაგრამ მოგვიანებით, რბოლის სტიუარდებმა განიხილეს მისი და **ლუის ჰემილტონის** ინციდენტი და მესამე ადგილი ჩამოართვეს "ტოიოტას" პილოტს. **ფეტელისა** და **კუბიცას** ავარიის შემდეგ ტრასაზე პეისკარი გამოვიდა და სწორედ ამის შემდეგ გაასწრო ტრულიმ მოქმედ ჩემპიონს, რაც წესებით აკრძალული გახლავთ. იარნომ 25-წამიანი ჯარიმა მიიღო და ამან ის 12-ე ადგილამდე ჩამოაგდო. არადა, "ტოიოტასთვის" ეს ბრწყინვალე რბოლა იყო. იაპონური გუნდის წევრებმა სტარტი პიტლეინიდან აიღეს და ამის მიუხედავად, ქულათა ზონაში შევიდნენ.

სამწუხარო იყო რობერტ კუბიცასა და სებასტიან ფეტელის ინციდენტი. ფინიშამდე სამი წრით ადრე მათ მეორე ადგილისთვის ბრძოლა გააჩაღეს და ავარიაში მოყვნენ. სტიუარდებმა ამ ინციდენტში ახალგაზრდა გერმანელი დაადანაშაულეს და მომავალ გრანპრიში (მალაიზია) ფეტელს სასტარტო ბილიკზე ათი პოზიციით დაახევინებენ უკან, "რედ ბული" 50 ათასი დოლარს გადაიხდის იმის გამო, რომ მისმა პილოტმა დამტვრეული მანქანით რბოლა გააგრძელა და სხვა ბოლიდებს საფრთხე შეუქმნა. ისე კი, ფეტელმაც და კუბიცამაც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. "BMW-ზაუბერი" არჩეული ტაქტიკის გამო უნდა შევაქოთ - საშუალო ტიპის საბურავი რბოლის ბოლო ნაწილისთვის გამოიყენეს, რამაც პოლონელს ფეტელთან ჩამორჩენის მინიმუმამდე დაყვანის საშუალება მისცა.

მთელი უიქ ენდის განმავლობაში "მაკლარენის" წვალების მიუხედავად, ბრიტანული საჯინიბო ავსტრალიას ჰემილტონის ექვსი ქულით ტოვებს. მალაიზიის რბოლამდე მხოლოდ ერთი კვირა დარჩა და "მაკლარენს" დრო არ ეყოფა სისწრაფის მომატებისთვის, თუმცა ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ ეს გუნდი ლიდერებში აუცილებლად დაბრუნდება. თანაც ნუ დაგვავიწყდება, რომ ჰემილტონმა პოდიუმს ბოლო ადგილიდან მიაღწია.

ასევე ბევრი იწვალა "რენომ" და [illegible] უნდა გამოუკეთოს ხასიათი ფრანგული საჯინიბოს ხელმძღვანელებსა და ტექნიკურ შტაბს.

და პირიქით, კარგ განწყობაზე ვერ იქნებიან "უილიამსის" მესვეურები. ამ გუნდის ლიდერი **ნიკო როსბერგი** თავისუფალი პრაქტიკების დროს დომინირებდა, ფინიშზე კი მხოლოდ მეექვსე იყო. "უილიამსის" ბოლიდი დროდადრო კარგ სიჩქარეს აჩვენებდა (გუშინ წრეზე საუკეთესო დრო სწორედ ნიკოს ჰქონდა), მაგრამ "უილიამსს" მაინც რაღაც არ ეყო.

აუცილებლად უნდა შევაქოთ ჩემპიონატის ერთადერთი დებიუტანტი **სებასტიან ბუემი** ("ტორო როსო"). შვეიცარიელმა თითქმის იდეალური რბოლა ჩაატარა და ამისთვის ჯილდოდ ორი ქულა მიიღო. იტალიურ გუნდს სატესტო დღეები არ ეყო ბოლიდის დასახვეწად, თუმცა გუნდს პოტენციალი აშკარად აქვს.

დაბოლოს, ზედიზედ მეორე წელია, ავსტრალიაში ფიასკო განიცადა "ფერარიმ". შარშანდელისგან განსხვავებით, წელს **მასა** რეალურად უმიზნებდა პოდიუმს, მაგრამ მექანიკური პრობლემების გამო მოუწია ბრძოლის შეწყვეტამ.

**გია თვალაბეიშვილი**

**ავსტრალიის გრანპრი. I ეტაპი**

**ალბერტ-პარკი (58 წრე, 307.574 კმ)**

| | |
|---|---|
| 1(1). ჯენსონ ბატონი (ბრაუნი, ბრიტანეთი) | 1:34.15,784 (2 პიტსტოპი) |
| 2(2). რუბენს ბარიკელო (ბრაუნი, ბრაზილია) | +0,807 (2) |
| 3(18). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +2,914 (2) |
| 4(19). ტიმო გლოკი (ტოიოტა, გერმანია)+4,435 (2) | |
| 5(10). ფერნანდო ალონსო (რენო, ესპანეთი) | +4,879 (2) |
| 6(5). ნიკო როსბერგი (უილიამსი, გერმანია) | +5,722 (2) |
| 7(13). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | +6.004 (2) |
| 8(17). სებასტიან ბურდე (ტორო როსო, საფრანგეთი) | +6.298 (2) |
| 9(16). ადრიან სუტილი (ფორს-ინდია, გერმანია) | +6,335 (2) |
| 10(9). ნიკ ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი, გერმანია) | +7,085 (3) |
| 11(15). ჯანკარლო ფიზიკელა (ფორს-ინდია, იტალია) | +7.374 (2) |
| 12(20). იარნო ტრული (ტოიოტა, იტალია)+26,604 (2) | |
| 13(8). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | 1 წრე (2) |
| 14(3). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | 2 წრე (2) |
| 15(4). რობერტ კუბიცა (BMW-ზაუბერი, პოლონეთი) | 3 წრე (2) |
| 16(7). კიმი რაიკონენი (ფერარი, ფინეთი)3 წრე (5) | |
| 17(6). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია)12 წრე (3) | |
| 18(14). ნელსინიო პიკე (რენო, ბრაზილია)34 წრე (1) | |
| 19(11). კაზუკი ნაკაჯიმა (უილიამსი, იაპონია) | 41 წრე (0) |
| 20(12). ჰეიკი კოვალაინენი (მაკლარენი, ფინეთი) | 55 წრე (1) |

*საუკეთესო წრე: ნიკო როსბერგი - 1.27,706 (217.668 კმ/სთ); 48-ე წრე*

**საერთო ჩათვლა**: 1. ჯენსონ ბატონი - 10 ქულა; 2. რუბენს ბარიკელო - 8; 3. ლუის ჰემილტონი -6; 4. ტიმო გლოკი - 5; 5. ფერნანდო ალონსო - 4; 6. ნიკო როსბერგი - 3; 7. სებასტიან ბუემი - 2; 8. სებასტიან ბურდე - 1.

**კონსტრუქტორთა თასი**: 1. ბრაუნი - 18 ქულა; 2. მაკლარენი - 6; 2. ტოიოტა - 5; 4. რენო - 4; 5. უილიამსი - 3; 6. ტორო როსო - 2.

## რბოლის ქრონიკა

**სტარტი.** პრობლემები შეექმნა **ბარიკელოს** - ბრაზილიელმა ნელა აიღო სტარტი და წინ ბევრი პილოტი გაატარა. **ბატონმა** იოლად მოიგო სტარტი.

**პირველი წრე.** ბატონი ლიდერობს. შემდეგ მოდიან **ფეტელი, მასა, კუბიცა, რაიკონენი, როსბერგი, ბარიკელო, ნაკაჯიმა**... **უებერი** ბოქსებში შევიდა, **კოვალაინენის** ბოლიდი დაზიანდა. გამეორებაზე გამოჩნდა, რომ ბარიკელომ და **ჰაიდფელდმა** უებერი შეავიწროვეს - გერმანელი მოცურდა და ტრასიდან გადავარდა, მარკის "რედ ბული" კი დაზიანდა.

**მე-2 წრე.** კოვალაინენის მანქანა ბოქსებში შეიყვანეს. ფინელისთვის რბოლა დასრულდა.

**მე-5 წრე.** ბატონმა ფეტელი უკვე 4.4 წამით ჩამოიტოვა უკან, მასას 6.1 წამს უგებს. **პიკე** და **ჰემილტონი** მეცხრე ადგილისთვის იბრძვიან.

**მე-6 წრე.** ბატონმა წრეზე საუკეთესო დრო აჩვენა - 1.28,787.

**მე-7 წრე.** ჰემილტონის პიკეზე მორიგი შეტევა წარმატებით დასრულდა. ბრიტანელი მეცხრეა.

**მე-8 წრე.** საუკეთესო დრო ფეტელისაა - 1.28, 235.

**მე-9 წრე.** ამ მომენტისთვის ასეთი მდგომარეობაა: ბატონი ლიდერობს, შემდეგ მოდიან ფეტელი (+4,0), მასა (+12,5), კუბიცა (+14,5), რაიკონენი (+16,9), როსბერგი (+17,2), ბარიკელო (+17,6), ნაკაჯიმა (+22,4).

**მე-10 წრე.** როსბერგმა და ბარიკელომ რაიკონენს გაასწრეს. რუბენსისა და კიმის ბოლიდებს შორის მცირე კონტაქტი იყო.

**მე-12 წრე.** მასა და ჰემილტონი პირველები შედიან ბოქსებში.

**მე-13 წრე.** კუბიცაც ბოქსებშია. BMW-ის მექანიკოსებმა ულტრარბილი საბურავები საშუალოთი შეცვალეს.

**მე-17 წრე.** ფეტელი და როსბერგი პირველ პიტსტოპზე არიან. სებას გრაფიკის მიხედვით მოემსახურნენ (საშუალო ტიპის საბურავები), როსბერგი კი აშკარად შეაყოვნეს ბოქსებში.

**მე-18 წრე.** ნაკაჯიმამ თავისი "უილიამსი" დაამტვრია და რბოლას გამოეთიშა. მანქანა ტრასაზე სახიფათოდ დგას. ყვითელი დროშები გამოიფინა.

**მე-19 წრე.** ტრასაზე პეისკარი გამოდის. ნაკაჯიმას ავარიის შემდეგ რამდენიმე პილოტმა მოახერხა ბოქსებში შესვლა, მათ შორის იყო ბარიკელო, რომელმაც რბოლის დასაწყისში დაზიანებული წინა ანტიფრთა შეცვალა. **ფიზიკელამ** კინაღამ საკუთარი მექანიკოსები გაიტანა.

**22-ე წრე.** უსაფრთოების მანქანა კვლავინდებურად ტრასაზეა. მას უკან რბოლის ლიდერი ბატონი მიჰყვება, შემდეგ მოდიან: ფეტელი, მასა, კუბიცა, რაიკონენი, როსბერგი, პიკე, **ტრული, ბუემი**, ბარიკელო, **გლოკი**, ჰემილტონი, **ალონსო**, ფიზიკელა, **ბურდე**, ჰაიდფელდი. პელოტონი შემჭიდროვდა.

**25-ე წრე.** რესტარტი. პიკე როსბერგის გასწრებას შეეცადა და მოულოდნელად სწორ მონაკვეთზე მოსრიალდა. ბრაზილიელი ტრასის მიღმა აღმოჩნდა. ალონსომ და ჰემილტონმა გლოკს გაასწრეს.

**27-ე წრე.** პირველი სამეული ოდნავ გაიწელა. ბატონი ორი წამით უსწრებს ფეტელს, სამწამ-ნახევრით - მასას.

**31-ე წრე.** მასა დაგეგმილ პიტსტოპზე შედის - 10,9 წამი. საწვავი რბოლის ბოლომდე ეყოფა. ფელიპე ტრასაზე მე-14 ბრუნდება. მესამეზე კუბიცა გადადის.

**36-ე წრე.** კუბიცამ წრეზე საუკეთესო დრო აჩვენა - 1.27,988.

**40-ე წრე.** კუბიცა (7.6 წამი) და რაიკონენი (7.8) ბოქსებში არიან. პილოტები ტრასაზე მე-7 და მე-10 პოზიციებზე ბრუნდებიან.

**41-ე წრე.** გლოკმა ერთ-ერთი მოსახვევის წინ გვიან დაამუხრუჭა და მოცურდა. რაიკონენმა უკან ჩამოიტოვა გერმანელი.

**44-ე წრე.** ჰემილტონი ბოქსებშია (7.8 წამი). ბრიტანელი მეცხრე ადგილზე ინაცვლებს.

**45-ე წრე.** როსბერგი და ჰაიდფელდი საწვავს იმატებენ. რაიკონენი ტრასიდან გადავარდა და ოდნავ შეეხო დამცავ ბარიერს.

**46-ე წრე.** ფეტელი მეორედ შედის ბოქსებში და მეორე პოზიციაზე ბრუნდება. მას კვალში უდგას ბარიკელო, რომელიც ვერ ახერხებს სებას გასწრებას. ფეტელი ძალიან მალე გაექცა ბრაზილიელს.

**47-ე წრე.** "ფერარის" პრობლემები აქვს. მასა ნელი სიჩქარით ბრუნდება ბოქსებში. ბატონიც ბოქსებშია. ინგლისელი ტრასაზე ლიდერის რანგში რბილი საბურავებით დაბრუნდა.

**52-ე წრე.** ალონსო და ბარიკელო ბოქსებში შედიან. ესპანელი მეშვიდე პოზიციაზე ბრუნდება, ბარიკელო - მეხუთეზე, კუბიცასა და როსბერგის უკან. გლოკმა ალონსოს გაასწრო.

**53-ე წრე.** ბარიკელომ როსბერგს გაუსწრო, კუბიცამ შეამცირა ბატონთან და ფეტელთან ჩამორჩენა. პოლონელი ლიდერთან 4 წამს აგებს.

**54-ე წრე.** კუბიცასა და ფეტელს შორის სხვაობა მხოლოდ 1.3 წამია! მე-5 ადგილისთვის ბრძოლაში ტრულიმ როსბერგი ჩამოიტოვა უკან.

**55-ე წრე.** კუბიცა კვალში უდგას ფეტელს. პოლონელმა შეუტია! ფეტელი არ ნებდება და ბოლიდები ერთმანეთს ეჯახებიან. ორივეს მანქანა ძალიან დაზიანდა, თუმცა პილოტებმა რბოლა გააგრძელეს და მალე დამცავ ბარიერებს დაეჯახნენ. პოდიუმის ნაცვლად, ეს დუეტი ქულების გარეშე დარჩა. ფეტელი რადიოთი ბოდიშს უხდის თავის გუნდს.

**57-ე წრე.** ფეტელი სამი საბურავით აგრძელებს ტრასაზე მოძრაობას, მაგრამ ბოლოს ტრასის მიღმა აჩერებს მანქანას.

**ფინიში.** ბატონსა და ბარიკელოს "ბრაუნისთვის" სადებიუტო რბოლაში პირველი გამარჯვება და პირველი დუბლი მოაქვთ.

